

ბიოლოგია

სახელმძღვანელო

6





AZƏRBAYCAN RESPUBLİKASININ DÖVLƏT HİMNİ

*Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,
sözləri Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırlız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayraqınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



ՀԵՅՋԱՆ ԱԼԻՅԵՎ

ԱԶԵՐԲԱՅՋԱՆԻ ԿԱՌԱՍ ՍԱՐԿՈՅ ԷՐԵՎԱՆԻ ՀՈԴԵՐԸ

ՀԱՅԱՍՏԱՆ

იაშარ სეიიდლი
ჰუმარ აჰმედბეილი
ნაილია ალიევა



**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-6 კულასისათვის ბიოლოგიის საგნის
სახელმძღვანელო**

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება, შენიშვნები და წინადადებები გამოაზიავნოთ bn@bakineshr.az და derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე. წინასწარ მადლობას მოგახსენებთ წევნთან თავისი მომლობისათვის!

B A K I N S E O S R

6

პიოლოგია

შინაარსი

1 პიოლოგია - მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმების შესახებ

თავი 1. პიოლოგიის კვლევის ობიექტები

| | |
|--|----|
| 1. ჩვენი სამყობლოს პუნქტი | 10 |
| 2. პიოლოგია – ცოცხალი ორგანიზმების შემსრულებელი მეცნიერება | 13 |
| 3. ცოცხალი ორგანიზმების ძირითადი ნიშნები | 16 |
| 4. ცოცხალი ორგანიზმების კლასიფიკაცია | 19 |
| 5. ადამიანის აღგილი სისტემატიკაში | 22 |
| • შემაჯამებელი დავალებები | 24 |

2 ცოცხალი ორგანიზმების აგებულება

თავი 2. ორგანიზმების უპრედული აგებულება, ქსოვილები,

ორგანოები და ორგანოთა სისტემები

| | |
|---|----|
| 6. ლაპორატორიული აღზურვილობა | 26 |
| 7. უპრედულის ზოგადი აგებულება | 29 |
| 8. პროცენტული ორგანიზმები | 32 |
| 9. გაძტერიების გავრცელება და მათი როლი პუნქტიში. დაავადებების გამომწვევი გაძტერიები. ვირუსები | 34 |
| 10. უპრედულის გაყოვა და განვითარება | 37 |
| 11. ერთაუჯრებიანი და მრავალუჯრებიანი ორგანიზმები | 39 |
| 12. მცენარეთა ცარმომოწი, მფარვვი და მეძანიური ქსოვილები | 41 |
| 13. მცენარეთა გამჭარი, ძირითადი და გამოყოფილი ქსოვილები | 43 |
| 14. ცხოველთა ქსოვილები | 45 |
| 15. ცხოველთა ორგანოები და ორგანოთა სისტემები | 47 |
| • შემაჯამებელი დავალებები | 50 |

| | | |
|----------------|---|-----|
| თავი 3. | მცენარეთა ვეგეტატიური ორგანოები | |
| 16. | ყვავილოვანი მცენარეების ძირითადი ორგანოები | 52 |
| 17. | ყლორტისა და კვირტის აგეპულება. კვირტის განვითარება | 54 |
| 18. | ღეროს შინაგანი აგეპულება | 56 |
| 19. | ფოთლის შინაგანი აგეპულება. ფოთლების განლაგება | 58 |
| 20. | ფოთლის უჯრედული აგეპულება | 61 |
| 21. | ფესვის აგეპულება. ფესვებისა და ფესვთა სისტემების სახეები | 63 |
| 22. | მცენარეთა მიზისპვები ორგანოების სახეცვლილებები | 66 |
| 23. | მცენარეთა მიზისზედა მოგანახული სახეცვლილებები | 69 |
| | • შემაჯამებელი დავალებები | 72 |
| თავი 4. | მცენარეთა გენერაციული ორგანოები | |
| 24. | ყვავილი | 73 |
| 25. | ყვავილედები | 76 |
| 26. | თესლის აგეპულება | 79 |
| 27. | ნაყოფი | 82 |
| | • შემაჯამებელი დავალებები | 86 |
| 3 | ორგანიზმების ცხოველებები | |
| თავი 5. | ცოცხალი მოგრძელებების მოძრაობა, კვება, სუნთქვა და საყრდენი სისტემა | |
| 28. | ცოცხალი მოგრძელებების მოძრაობა და საყრდენი სისტემა | 88 |
| 29. | მცენარეთა საყრდენი სისტემები | 91 |
| 30. | მცენარეთა კვება ნიაზაგიდან | 94 |
| 31. | მცენარეთა კვება ჰაერიდან. ფოტოსინთეზი | 96 |
| 32. | ცხოველთა კვება | 99 |
| 33. | სოკოგისა და პაკტერიების კვება | 102 |
| 34. | მცენარეთა სუნთქვა | 105 |
| 35. | ცხოველთა სუნთქვა | 107 |
| | • შემაჯამებელი დავალებები | 109 |
| თავი 6. | ცოცხალი მოგრძელებების დამახასიათებელი ნიშნები: გამრავლება, განვითარება, გამოყოფა და ნივთიერებების ტრანსპორტი | |
| 36. | მცენარეების მიერ წყლის აორთქლება. ფოთოლფენა | 110 |
| 37. | ცხოველური მოგრძელებების სატრანსპორტო სისტემა | 112 |
| 38. | გამოყოფა | 114 |
| 39. | უსქესონ გამრავლება | 116 |

| | | |
|-----|--|-----|
| 40. | ყვავილოვანი მცენარეების ვეგეტაციური გამრავლება | 118 |
| 41. | დამტვრება | 121 |
| 42. | ორგანიზმების სქესოპრივი გამრავლება | 124 |
| 43. | თესლის გაღივება | 127 |
| 44. | ცხოველთა ზრდა-განვითარება | 130 |
| | • შემაჯამებელი დავალებები | 134 |

4 ორგანიზმი და გარემო

| | | |
|----------------|---|-----|
| თავი 7. | გარემოს გავლენა ორგანიზმები და პუნქტივი თანასაზოგადოებები | |
| 45. | ცოცხალი ორგანიზმების გაცრცელება და განსახლება გარემოში | 136 |
| 46. | გარემოსა და ორგანიზმის ურთიერთდამოკიდებულება . . | 139 |
| 47. | პუნქტივი თანასაზოგადოებები | 141 |
| 48. | ადამიანი და ცოცხალი პუნქტი | 144 |
| 49. | აზერბაიჯანის ნაკრძალები | 146 |
| | • შემაჯამებელი დავალებები | 148 |
| თავი 8. | ცხოველთა და მცენარეთა როლი ადამიანის ცხოვრებაში | |
| 50. | კულტურული მცენარეების როლი ადამიანის ცხოვრებაში . | 149 |
| 51. | სამსურნალო მცენარეები | 152 |
| 52. | ცხოველთა მოშინაურება და მათი როლი ადამიანის ცხოვრებაში | 154 |
| 53. | ცოცხალი ორგანიზმების გავლენა ადამიანის ჰანმორთელობაზე | 156 |
| 54. | სწორი კვება | 158 |
| | • შემაჯამებელი დავალებები | 160 |

გაეცნოთ სახელმძღვანელოს

- 1 მოტივაცია. თემა იწყება საინტერესო სიტუაციის, მოვლენის ან ფაქტის აღწერით და სრულდება შეკითხვით. კითხვები დაგეხმარებათ გაიაზროთ, თუ რის შესწავლა მოგიწევთ.
- 2 საქმიანობა. მოცემულია სხვადასხვა სახის დავალებები და ლაპორატორიული სამუშაოები, რომელთა მიზანია გამოსაკვლევ მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა. ეს დავალებები დაგეხმარებათ, გაანალიზოთ ინფორმაცია, ჩაატაროთ ცდები და გამოკვლევები.
- 3 განმარტება. აქ თქვენ იპოვით პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებიც გაგიჩნდებათ და გაეცნობით გაკვეთილის შინაარსს.
- 4 იცით თუ არა, რომ? მოცემულია თემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია.
- 5 ეს საინტერესოა. მოცემულია საინტერესო ინფორმაცია შესასწავლი თემის შესახებ.





8

- 6 შეძენილი ცოდნის გამოყენება. მოცემულია შეძენილი ცოდნის განმამტკიცებელი დავალებები და ცდები.
- 7 რა შეიტყვეთ. წინადადებაში გამო-ტოვებული საკვანძო სიტყვების ჩამატებით განიმტკიცებთ ცოდნას ძირითადი ცნებების შესახებ.
- 8 საკვანძო სიტყვები. მოცემულია ძირითადი ცნებები თითოეული შესასწავლი თემის შესახებ.
- 9 შეამოწმეთ თქვენი ცოდნა. დავალების შესრულება დაგეხმარებათ, გაიგოთ, როგორ აითვისეთ თემა.
- 10 შემაჯამებელი დავალებები თავის ბოლოს მოცემული დავალებების შესრულება დაგეხმარებათ, გაიგოთ, როგორ აითვისეთ თითოეული თავის მასალა.

გვ. 9-24

პიოლოგია – მაცნეერება ცოცხალი ორგანიზმების შესახებ

1



თავი 1

ბიოლოგის კულევის ობიექტები

1. ჩვენი სამშობლოს ბუნება
2. ბიოლოგია – ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელი მეცნიერება
3. ცოცხალი ორგანიზმების ძირითადი ნიშნები
4. ცოცხალი ორგანიზმების კლასიფიკაცია
5. ადამიანის ადგილი სისტემატიკაში
 - შემაჯამებელი დავალებები




1. ჩვენი სამშობლოს ბუნება

ჩვენი სამშობლოს ბუნება მდიდარი და მრავალფეროვანია – მწვანედ შემოსილი ხეები, მჩქეფარე მდინარეები და მორაკრაკე ნაკადულები, მოსარკული ტბები და ზოიადი მთები.

- რა არის ბუნება?
- როგორ გესმით გამოთქმა „ადამიანი ბუნების ნაწილია“?

საქმიანობა. გამოიყენეთ სურათები და სხვა წყაროები, დაწერეთ მცირე ესე თემაზე „აზერბაიჯანის ბუნება“ შემდეგი გეგმით: 1. აზერბაიჯანის მდებარეობა. 2. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავრცელებულ რომელ ცხოველებს ვიცნობ? 3. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავრცელებულ რომელ მცენარეებს ვიცნობ? 4. რა ვიცი ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა მხარისთვის დამახასიათებელი ცოცხალი ორგანიზმების შესახებ? 5. შეადარეთ აზერბაიჯანის ბუნება სხვა ქვეყნების ბუნებას.



ჩვენი სამშობლოს ფლორა* და **ფაუნა***. ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორია რამდენიმე კლიმატურ სარტყელზეა გადაჭიმული. ამ ტერიტორიაზე გავრცელებულია უამრავი სამკურნალო, დეკორატიული, ნაყოფის მომცემი, ტექნიკური და სხვა სახეობის სასარგებლო მცენარე, ბინადრობს მრავალი ამ კლიმატური სარტყელებისთვის დამახასიათებელი სახეობის ცხოველი. სწორედ ასეთი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების გამო გამოირჩევა ჩვენი სამშობლო მდიდარი ცხოველური და მცენარეული სამყაროთი.

მცენარეული საფარი. აზერბაიჯანში გვხვდება ისეთი ხეები, როგორებიცაა: რკინის ხე, ლენქორანის აკაცია, ელდარის ფიჭვი, ნაპლფოთოლა მუხა, ბზა, ურთხელი და სხვ. ის მცენარეები, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გვხვდება, მთელ კავკასიაში გავრცელებულ მცენარეთა სახეობების ნახევარზე მეტს შეადგენს.

ცხოველთა სამყარო. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბინადრობენ ისეთი ცხოველები, როგორებიცაა: აზიური ჯიქი, მურა დათვი, მგელი, ზოლებიანი აფთარი, ფულცხვერი, სიასამური, შველი, ტახი, ტურა, მაჩვი, მელა, გარეული კატა და სხვ. აზერბაიჯანში აგრეთვე გვხვდება სხვადასხვა სახეობის ფრინველები, ქვეწარმავლები, წყალხმელეთა და სხვა ცხოველები.

გადაშენების პირას მყოფი ცხოველები. აზერბაიჯანში დაახლოებით 140 სახეობის მცენარე და 108 სახეობის ცხოველი, მათი რაოდენობის მკვეთრი შემცირების გამო, გადაშენების პირას აღმოჩნდა. ამიტომ ისინი შეტანილია აზერბაიჯანის „წითელ წიგნში“. ასე, მაგალითად, კასპიის ზღვაში ბინადრობს ერთადერთი ძუძუმწოვარი – კასპიური სელაპი, რომელიც შეტანილია „წითელ წიგნში“.

უნიკალური ფლორისა და ფაუნის შენარჩუნების მიზნით ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილია ნაკრძალები, აღკვეთილები და ეროვნული პარკები.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს მრავალფეროვნება



რკინის ხე



ლენქორანის აკაცია



კასპიური სელაპი




კავკასიური გიურზა



ზოლებიანი აფთარი



გარეული კატა



აზიური ჯიქი



ერაზიული ფოცხვერი

***ფლორა** (ყვავილებისა და გაზაფხულის ყვავილობის რომაული ქალღმერთი, ლათ. flora – ყვავილი) – რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარეთა სახეობების ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობლიობა.

***ფაუნა** (ლათ. fauna – ცხოველთა ჯოგების მფარველი ტყეებისა და ველების ქალღმერთი) – რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე გავრცელებული ცხოველთა სახეობების ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობლიობა.

ადამიანი თავისი სამეურნეო საქმიანობით პირდაპირ ან ირიბად დიდ ზე-გავლენას ახდენს გარემომცველ ბუნებაზე. ჩვენი პლანეტის მცენარეული და ცხოველური სამყაროს მრავალფეროვნების შენარჩუნება თანამედროვე კა-ცობრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა და ამოცანაა. ბუნებასა და ბუნების ძეგლებზე ზრუნვა, მათი მომავალი თაობებისათვის შენარჩუნების მიზნით, ჩვენი სამოქალაქო ვალი.

შეპანიჭი ცოდნის გამოყენება

ქვემოთ მოყვანილი სიიდან ამოარჩიეთ იმ ცხოველებისა და მცენარეების სახელწოდებები, რომლებიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გვხვდება. ზაფრანა, თეთრი დათვი, ნაბღლუოთოლა მუხა, რკინის ხე, ბანანი, ანაკონდა, ჟირაფი, პინგვინი, სელაპი, ფეიხოა, ლელვი, ბაობაბი, შველი, ზუთხი, ფოცხვერი, სპილო, გარგარი, ბეჭემოთი, ბრონეული.

| მცენარეები | ცხოველები |
|------------|-----------|
| | |
| | |

რა შეიძლება

დაასრულეთ წინადადებები, გამოიყენეთ მოცემული საკვანძო სიტყვები.

საკვანძო სიტყვები
ფლორა
ფაუნა
„წითელი წიგნი“

მცენარეთა სახეობების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთობლიობას, რომელიც გავრცელებულია განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ეწოდება –, ცხოველთა ერთობლიობას კი –. აზერბაიჯანის – შეტანილია მცენარეთა დაახლოებით 140 და ცხოველთა 108 სახეობა.

შეამოვათ თავისი ცოდნა

1. მოძებნეთ ცხრილში მცენარეთა სახელწოდებები და ჩანერეთ რვეულში.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | ს | კ | ვ | ი | ტ | ნ | პ |
| ლ | ი | ი | ნ | პ | ა | რ | ო |
| ვ | ა | ლ | ი | ო | რ | კ | ს |
| ე | ს | ტ | ი | რ | ი | ჟ | ი |
| ნ | ა | ჩ | პ | ი | ტ | ე | ჭ |
| ძ | მ | ა | ი | ვ | რ | ჯ | ვ |
| ე | ა | ნ | ნ | ი | ნ | ხ | ო |
| ლ | ა | ი | ლ | ი | პ | კ | პ |

2. შეაერთეთ შესაბამისი მარცვლები ისე, რომ მიიღოთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მობინადრე ცხოველების სახელწოდებები.

| | | | | | | | | |
|-----|---------|-----|----|------|----|------|-----|-----|
| მე | სა | დათ | ჯი | სია | ტა | გოურ | ყან | ძურ |
| ოცი | საშუალი | ჩა | ლა | ლააი | ეი | ვი | ხი | ზა |

2. ბიოლოგია – ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელი მეცნიერება

სახლის წინ ამოსული ხეები, ჰაერში მოლივლივე ფრინველები, ყვავილიდან ყვავილზე მოფარფატე პეპლები. ჩვენი პლანეტის ასეთი ჩვეულებრივი ბინა-დარნიც კი უამრავ კითხვას ბადებენ ადამიანის გონებაში: „რატომაა ფოთლები მწვანე?“ „რატომ ფრენენ ფრინველები?“ „რატომ ეტანებიან ყვავილებს პეპლები?“ „როგორ არიან აგებული ცოცხალი ორგანიზმები?“ და ა.შ.


- რაში სჭირდება ადამიანს ეს ცოდნა?
- მეცნიერების რომელი დარგი შეისწავლის ამ ყველაფერს?

საქმიანობა 1. დაათვალიერეთ სურათები. ჩაინტერესონ რვეულებში ამ ცხოველებისა და მცენარეების მნიშვნელობა ბუნებისა და ადამიანისათვის.




ბიოლოგიის წარმოშობა. უძველეს დროში ადამიანები საკმაოდ დიდ ცოდნას ფლობდნენ ცოცხალი ორგანიზმების შესახებ. ისინი ცდილობდნენ, დაემახსოვრებინათ ცნობები ცხოველებისა და მცენარეების შესახებ და შემდეგ ეს ცოდნა მომავალი თაობებისთვის გადაეცათ. მოგვიანებით შეადგინეს სასარგებლო ცხოველებისა და მცენარეების სია, აღნერეს მათი თვისებები, გაზრდისა და მოყვანის მეთოდები. ცოცხალი ორგანიზმების შესახებ დაგროვილი ცოდნა საფუძვლად დაედო ახალ მეცნიერებას – ბიოლოგიას.

ჯერ კიდევ ძვ. წ. IV–III სს. შეიქმნა პირველი სამეცნიერო წაშრომები ცოცხალ ორგანიზმებზე, რომელთა ავტორები არისტოტელე („ცხოველთა ისტორია“) და თეოფრასტე („მცენარეთა ისტორია“) იყვნენ.



არისტოტელე
ძვ. წ. IV–III სს.




თეოფრასტე
ძვ. წ. IV ს.

ბიოლოგია (ბერძ. *bios* – სიცოცხლე და *logos* – მოძღვრება) – მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმების შესახებ. ბიოლოგია შეისწავლის მცენარეების, ცხოველების, სოკოების და ბაქტერიების წარმოშობას, აგებულებასა და ცხოველებების, მათ ზემოქმედებას ერთმანეთსა და გარემოზე.

შეუძლებელია დედამიწის წარმოდგენა ცოცხალი ორგანიზმების გარეშე. ისინი ბინადრობენ ხმელეთზე, წყალში, ჰაერში და სხვა ცოცხალი არსებების ორგანიზმშიც კი. ადამიანთა ცოდნის ზრდამ და გაღრმავებამ გამოიწვია ბიოლოგიური მეცნიერების დაყოფა ახალ დამოუკიდებელ მეცნიერებებად. დროთა განმავლობაში ეს ცოდნა საფუძვლად დაედო ბიოლოგიურ მეცნიერებათა უძველეს დარგებს – ბოტანიკასა და ზოოლოგიას.

ბიოლოგიის დარგები




ამრიგად, **ბოტანიკა** (ბერძნ. *botane* – სიმწვანე, ბალახი, მცენარე) შეის-ნავლის მცენარეთა სამყაროს, ხოლო **ზოოლოგია** (ბერძნ. *zoon* – ცხოველი და *logos* – მოძღვრება) – ცხოველთა სამყაროს.

საქმიანობა 2. გაიხსენეთ 2-3 ანდაზა, გამონათქვამი და გამოცანა ცხოვე-ლებსა და მცენარეებზე.

მოგვიანებით წარმოიშვა სხვა ბიოლოგიური მეცნიერებები: მიკოლოგია (ბერძნ. *mykos* – სოკო) – მეცნიერება სოკოების შესახებ და ბაქტერიოლოგია (ბერძნ. *bacteria* – ჩინი) – მეცნიერება ბაქტერიების შესახებ. ბიოლოგიის დარგს, რომელიც ვირუსებს შეისწავლის (ლათინ. *virus* – შხამი), ვირუსოლოგია ეწოდება. ეკოლოგია (ბერძნ. *oikos* – სახლი) არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ცხოველების, მცენარეებისა და მიკროორგანიზმების დამოკი-დებულებას ერთმანეთთან და გარემოსთან.

შემარტივი ცოდნის გამოყენება

სახელმძღვანელოს ტექსტის გამოყენებით კროს-ვორდში შეიტანეთ ბიოლოგიური მეცნიერებების სახელწოდებები. მოკლედ განმარტეთ ეს მეცნი-ერებები.



რა შეიძლება

- მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმების შესახებ. მცენარეთა თავისებურებებს შეისწავლის – , ცხოველებისას – . სოკოებს შეისწავლის – , ბაქტერიებს კი – . მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ცოცხალი ორგანიზმების დამოკიდებულებას ერთმანეთთან და გარემოსთან, ეწოდება – . ბიოლოგიის დარგს, რომელიც ვირუსებს იკვლევს, ეწოდება – .

საკვანძო სიტყვები
ბიოლოგია
ბოტანიკა
ზოოლოგია
მიკოლოგია
ბაქტერიოლოგია
ვირუსოლოგია
ეკოლოგია

შეარცხოთ თავითი ცოდნა

1. გამოიყენეთ დამატებითი წყაროები და მოამზადეთ მოკლე ინფორმაცია რომელიმე ბიოლოგიური მეცნიერების შესახებ (ინფორმაცია + ილუსტრაცია).
2. შეარჩიეთ ცოცხალი ბუნების რომელიმე სამეფოს ერთ-ერთი წარმომადგენელი და მოამზადეთ ინფორმაცია მის შესახებ.


3. ცოცხალი ორგანიზმების ძირითადი ნიშნები

მიმოიხედე, გარშემო და დაინახავ მწვანე ხალიჩის მსგავს მდელოს, სოკოებს ხეების ქვეშ, ფრინველებსა და ცხოველებს, რომლებიც ჰაერში დაფრინავენ, მინაზე დარბიან ან წყალში დაცურავენ. არსებობენ სულ ციცქა, თვალით უხილავი ცოცხალი არსებებიც. ისინი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ბევრი საერთო ნიშან-თვისებაც აქვთ.

- რა ნიშნები განასხვავებს ცოცხალს არაცოცხალისგან?


საქმიანობა. რა მოვლენებია გამოსახული სურათებზე? რა მნიშვნელობა აქვს მათ ცოცხალი არსებებისთვის? გადაიტანეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი რვეულში და ჩაწერეთ პასუხები შესაბამის სტრიქონზე.

| № | სურათზე გამოსახული მოვლენა (პროცესი) | მნიშვნელობა ცოცხალი ორგანიზმისთვის |
|-----|---|------------------------------------|
| 1 | | |
| 2 | | |
| ... | | |



ცოცხალი ორგანიზმების უმრავლესობას უჯრედული აგებულება აქვს, ანუ უჯრედებისგან შედგება. უჯრედი ცოცხალი ორგანიზმების აგებულების უმცირესი ერთეულია. ერთნაირი უჯრედების ერთობლიობა ქმნის ქსოვილს, ქსოვილები კი – ორგანოებს. ორგანოები ქმნის ორგანოთა სისტემებს, ორგანოთა სისტემები კი – ორგანიზმს.

ცოცხალ ორგანიზმთა ორგანიზაციის დონეები




ცოცხალი ორგანიზმების ძირითადი ნიშან-თვისებები. ორგანიზმები შთა-მომავლობას იძლევიან, ბერდებიან და კვდებიან. მშობლების თვისებების მქონე ორგანიზმების რაოდენობის ზრდას გამრავლების პროცესი უზრუნველყოფს.

შტამომავლობა, თავისი ინდივიდუალური განვითარების პროცესში, (ჩა-სახვიდან სიკვდილამდე) ცვლილებებს განიცდის, იზრდება. ზრდა ორგანიზ-მის მასისა და ზომის მატებითაა. მცენარეები მთელი სიცოცხლის განმავ-ლობაში იზრდება, ცხოველების უმრავლესობა კი მხოლოდ გარკვეულ ასა-კამდე.

ორგანიზმი მოიხმარს ნივთიერებებს, რომლებიც მას კვებისა და სუნ-თქვის საშუალებით გარემოდან მუდმივად მიეწოდება. მათი დაშლის შედეგად წარმოქმნილი ორგანიზმისთვის გამოუსადეგარი პროდუქტები კი გარემოში გამოიყოფა. სასიცოცხლოდ აუცილებელი ნივთიერებების შეთვი-სებისა და ორგანიზმიდან დაშლის პროდუქტების გამოყოფის პროცესს ნივთიერებათა ცვლა ეწოდება. ნივთიერებათა ცვლა ცოცხალი ორგანიზ-მებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია.

ცოცხალი ორგანიზმების მეორე ძირითადი თვისებაა მოძრაობა. მოძრა-ობის საშუალებით ცხოველი მოიპოვებს საკვებს, თავს აღწევს საფრთხეს. მცენარეებისთვის აქტიური მოძრაობა დამახასიათებელი არ არის, მათი პასიური მოძრაობა კი პრაქტიკულად შეუმჩნეველია. თუმცა სწორედ ასეთი

ნივთიერებათა ცვლა ცხოველებსა და მცენარეებში



პასიური მოძრაობის საშუალებით ახერხებს მცენარე ღეროსა და ფოთლების მზის სინათლისკენ მიტრიალებას. ცოცხალი ორგანიზმისთვის დამახასიათებელია რაღაც ფორმით უპასუხოს გარემოში მომხდარ ცვლილებას. გარემოში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეულ ორგანიზმის რეაქციას გაღიზიანებადობა ენოდება.

დფლ თუარჩარები? ცოცხალი ორგანიზმების ძირითადი ნიშან-თვისებებია:

- ზრდა და განვითარება • მოძრაობა • გაღიზიანებადობა • გამრავლება • ნივთიერებათა ცვლა (კვება • სუნთქვა • გამოყოფა).

შეასრულეთ ცოდნის შემოსახული

შეავსეთ ცხრილი თემის დასაწყისში მოცემული სურათების გამოყენებით

| № | სურათზე გამოსახული მოვლენა (პროცესი) | მნიშვნელობა ცოცხალი ორგანიზმებისთვის | ნიშან-თვისება |
|-----|---|---|---------------|
| 1 | | | |
| ... | | | |

რა შეიძლება

ცოცხალი ორგანიზმები სივრცეში გადაადგილდებია — საშუალებით, გარემოში მომხდარ ცვლილებებზე რეაგირებენ — საშუალებით. სასიცოცხლოდ აუცილებელი ნივთიერებების შეთვისების და ორგანიზმიდან დაშლის პროდუქტების გამოყოფის პროცესს — ენოდება. ცოცხალი ორგანიზმები — შედეგად ქმნიან ახალ თაობას და მემკვიდრეობით ნიშნებს გადასცემენ შთამომავლობას.

საკვანძო სიტყვები
გამრავლება
ნივთიერებათა ცვლა
მოძრაობა
გაღიზიანებადობა

შეამოხეთ თქვენი ცოდნა

1. გადაიწერეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი რვეულში და შეავსეთ.

| ცოცხალი ორგანიზმების ძირითადი ნიშან-თვისებები | მცენარეებში | ცხოველებში |
|---|-------------|------------|
| კვება | | |
| სუნთქვა | | |
| მოძრაობა | | |
| გაღიზიანებადობა | | |
| გამრავლება | | |

2. შეადგინეთ ბიოლოგიური ხასიათის მოკლე ტექსტი; გამოიყენეთ ცნებები „ზრდა და განვითარება“, „კვება“, „სუნთქვა“, „გამრავლება“, „მოძრაობა“. შეეცადეთ, ტექსტში ამ პროცესებს შორის კავშირი ასახოთ.

4. ცოცხალი ორგანიზმების კლასიფიკაცია

დედამიწაზე გავრცელებული ცოცხალი ორგანიზმები განსხვავდებიან ზომით, ფერით, სიცოცხლის ხანგრძლივობით, ორგანიზმის სირთულით, საბინადრო ადგილით და ა.შ. ჯერ კიდევ უძველეს დროში სწავლულები ცდილობდნენ ცოცხალი ორგანიზმები გარკვეული ნიშნებით დაეჯგუფებინათ. თავდაპირველად კლასიფიკაცია ადამიანისთვის სარგებლობის ან ზიანის მოტანის მიხედვით ხდებოდა, მაგ., შეამაინი და სამკურნალო მცენარეები, შინაური და გარეული ცხოველები.

- თქვენი აზრით, რა პრინციპის მიხედვით შეიძლება ცოცხალი ორგანიზმების დაჯგუფება?
- არსებობს თუ არა ორგანიზმებს შორის ნათესაური კავშირი?

საქმიანობა.

დააჯგუფეთ



ცოცხალი



ბუნების



ობიექტები რაიმე



ნიშნის მიხედვით.



მოიფიქრეთ



სახელწოდება ამ



ჯგუფებისთვის.



ორგანიზმების კლასიფიკაცია. ცოცხალი ბუნების ობიექტების უფრო სრული და დეტალური შესწავლისთვის მეცნიერებმა (ბიოლოგებმა) ისინი გარკვეული ნიშან-თვისებების მიხედვით დააჯგუფეს. მეცნიერებას, რომელიც ცოცხალი ორგანიზმების მრავალფეროვნებას შეისწავლის, სისტემატიკა ეწოდება. სისტემატიკის უმცირეს ერთეულს სახეობა წარმოადგენს.

ცუთთუ ანა, რომე? სახეობა არის აგებულებით, მემკვიდრეობითი ნიშნებით, საბინადრო გარემოთი მსგავსს ინდივიდთა ერთობლიობა, რომელთაც შეუძლიათ შეჯვარება და ნაყოფიერი შთამომავლობის მოცემა.

კარლ ლინემ სახეობის აღსანიშნავად მეცნიერებაში დაამკვიდრა ჯერ კიდევ მისი წინამორბედი მეცნიერების მიერ შემოთავაზებული ორმაგი ლათინური სახელწოდება. მაგ., *canis familiaris* – შინაური ძაღლის ლათინური სახელწოდებაა, რომელშიც პირველი სიტყვა აღნიშნავს გვარს, მეორე კი – სახეობას.



კარლ ლინე
(1707–1778)

- შვედი ნატურალისტი. მან შეიმუშავა პირველი მეცნიერული კლასიფიკაცია, რომლის უმცირესი ერთეული იყო სახეობა.

მსგავსი სახეობები ერთიანდება გვარებად, გვარები – ოჯახებად, ოჯახები – რაზმებად (ცხოველებში) ან რიგებად (მცენარეებში). მსგავსი რაზმები ერთიანდება კლასებად, კლასები – ტიპებად (ცხოველებში) ან განყოფილებად (მცენარეებში), რომლებიც, თავის მხრივ, ქმნის სამეფოებს. არსებობს ცოცხალი ორგანიზმების ოთხი ძირითადი სამეფო – ბაქტერიების, სოკოების, მცენარეებისა და ცხოველების.

ცოცხალი ორგანიზმების კლასიფიკაცია დაფუძნებულია მეცნიერულ მონაცემებზე. კლასიფიკაციას საფუძვლად ნათესაური კავშირები და წარმომავლობა უდევს. ორგანიზმების განლაგება მათი ორგანიზაციის გართულების (მარტივიდან რთულისკენ) მიხედვით ხდება, რაც ასახავს კიდეც ორგანული სამყაროს ისტორიული განვითარების პროცესს.

ცოცხალი ორგანიზმების კლასიფიკაცია



ცოცხალი ორგანიზმების მნიშვნელობა. ჩვენი პლანეტა ცოცხალი არსებების გარეშე წარმოუდგენელია. ისინი მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან და ასე უზრუნველყოფენ სიცოცხლის არსებობას. მაგალითად, მცენარეები ფოტოსინთეზის პროცესში შთანთქავს ნახშირორუჟანგს, გამოყოფს სუნთქვისათვის აუცილებელ ჟანგბადს და ამ გზით განაპირობებს აირთა თანაფარდობის მუდმივობას დედამიწაზე. ფოტოსინთეზის პროცესში მცენარეში წარმოქმნილი ორგანული ნივთიერებები წარმოადგენს საკვებს ბალახისმჭამელი ცხოველებისთვის, რომლებითაც, თავის მხრივ, მტაცებლები იკვებებიან. ცხოველებისა და მცენარეების ნაშთები ბაქტერიებისა და სოკოების მიერ იშლება (იხრწნება), რაც ამდიდრებს მიწას ორგანული ნივთიერებებით და ქმნის ნიადაგს. ორგანული ნივთიერებების ხრნის შედეგად წარმოქმნილ მინერალურ ნივთიერებებს მცენარეები ითვისებს.

შეძენილი ცოდნის გამოყოფა

გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ.

| | ბუნებაში | ადამიანის ცხოვრებაში |
|-------------------------|----------|----------------------|
| მცენარეების მნიშვნელობა | | |
| ცხოველების მნიშვნელობა | | |

რა შეიძლება

მსგავსი სახეობები ერთიანდება —, გვარები —, ოჯახები ერთიანდება — (ცხოველებში) და — (მცენარეებში). მსგავსი რაზმები (ცხოველებში) და რიგები (მცენარეებში) ერთიანდება —, რომლებიც ერთიანდება — (მცენარეებში) და — (ცხოველებში). ისინი, თავის მხრივ, ერთიანდება —. მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ცოცხალი ორგანიზმების კლასიფიკაციას, ეწოდება —

საკვანძო სიტყვები

გვარი
ოჯახი
რაზმი
რიგი
კლასი
ტიპი
განყოფილება
სამეფო
სისტემატიკა

შეაძლოთ თქვენი ცოდნა

- დაათვალიერეთ სურათები და განსაზღვრეთ, რომელ სამეფოს მიეკუთვნება ეს ორგანიზმები. რომელი სამეფოს ნარმომადგენლებზეა ლაპარაკი ქვემოთ მოცემულ ტექსტში? გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით შესაბამისი სამეფოს სახელწოდება: სახეობების რაოდენობის მიხედვით ... ყველაზე მრავალრიცხვანი სამეფოა. თითქმის ყველა იკვებება მზაორებებით, რაც მათ ... განასხვავებს და ... აახლოებს.



1



2




3



4

- გადაიტანეთ სქემა რვეულში და ჩაწერეთ მასში მცენარეებისა და ცხოველების განმასხვავებელი და საერთო ნიშნები.



განმასხვავებელი ნიშნები საერთო ნიშნები

5. ადამიანის ადგილი სისტემატიკაში

ერთხელ ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა სოკრატემ მეგობარ ფილოსოფოს ჰქონდა: „რით განსხვავდება ადამიანი სხვა ცხოველებისგან?“. პასუხი ასეთი იყო: „ადამიანი ორფეხა არსებაა, რომელსაც ბუმბული არ აქვს“. სოკრატეს არაფერი უთქვამს, მაგრამ მომდევნო შეხვედრისას ტომრიდან ბუმბულგაცლილი მამალი ამოიყვანა და წარმოთქვა: „აი, ისიც – ადამიანი!“

- თქვენი აზრით, რაში ცდებოდა ფილოსოფოსი?

საქმიანობა. მოძებნე მსგავსება და განსხვავება სქემაზე გამოსახულ არსებებს შორის.



ადამიანის ადგილი კლასიფიკაციის სისტემაში. ადამიანი, ისევე როგორც სხვა ცოცხალი არსებები, ბუნების განუყოფელი ნაწილია. კლასიფიკაციის სისტემაში მეცნიერები ადამიანს ცხოველთა სამეფოს აკუთვნებენ. განვითარების ადრეულ სტადიებზე ადამიანს, ისევე როგორც სხვა ხერხემლიან ცხოველებს, უყალიბდება ღერძული ჩინჩხი – ქორდა. ამიტომ მას ქორდიანთა ტიპს მიაკუთვნებენ. ახალშობილთა დედის რით კვების გამო ადამიანები ძუძუმწოვართა კლასში ერთიანდებიან. ბევრი სხვა ცხოველისგან განსხვავებით, ადამიანს თვალები თავის წინა მხარეს აქვს მოთავსებული.

გარდა ამისა, სახეზე მიმიკური კუნთები აქვს, რომელთა საშუალებითაც ადვილად იცვლის გამომეტყველებას, ხუთი თითით დაბოლოებულ კიდურებზე კი – ბრტყელი ფრჩხილებია. ასეთი თავისებურებები ახასიათებთ ადამიანის მსგავსს მაიმუნებსაც – გორილას, შიმპანზეს, რომლებიც პრიმატების ჯგუფს მიეკუთვნებიან. თუმცა, მიუხედავად ბევრი მსგავსებისა, ადამიანს გააჩნია ისეთი ნიშნები, რომლებითაც იგი პრინციპულად განსხვავდება მათგან. ასე, მაგალითად, მაიმუნებისგან განსხვავებით, ადამიანის ქალის ტვინის

| | |
|---------|--|
| სახეობი | ცხოველები |
| ტიპი | ქორდიანები |
| კლასი | ძუძუმწოვრები |
| რაზე | პრიმატები |
| ოჯახი | პომინიდები |
| გვარი | <i>homo</i> (ადამიანი) |
| სახეობა | <i>homo sapiens</i> (გონიერი დამიანი) |

ნაწილი სახის ნაწილზე დიდია. ეს კი განაპირობებს მის გონებრივ განვითარებას და ხელის, როგორც შრომის იარაღის, ფორმირებას. ამ ნიშნებით მას აკუთვნებენ გვარ *homo*-ს (ადამიანი). ამჟამად ამ გვარის ერთადერთი სახეობა არსებობს – *homo sapiens* (გონიერი ადამიანი).

ადამიანის ბიოსოციალური ბუნება. ადამიანი ბიოლოგიური არსებაა, რადგან მისი ცხოველქმედება დაფუძნებულია ბიოლოგიურ პროცესებზე – კვებაზე, სუნთქვაზე, გამოყოფაზე, მოძრაობაზე, გამრავლებაზე. მაგრამ ცხოველებისგან განსხვავებით ადამიანი სოციალური არსებაცაა, რადგან მის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ცხოვრების საზოგადოებრივმა წესმა, შრომამ, მეტყველებამ, აზროვნებამ.

ადამიანი თავისი საქმიანობით გავლენას ახდენს გარემომცველ ბუნებაზე და გარდაქმნის მას, ქმნის მისთვის მნიშვნელოვან მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, აკეთებს ახალ აღმოჩენებს. ამ ყველაფრის გაკეთება ადამიანს მარტოს არ შეუძლია.

საზოგადოებრივი ცხოვრების წესმა განაპირობა ურთიერთობის ისეთი ფორმის წარმოშობა, როგორიცაა მეტყველება, რომელიც მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. მეტყველების წარმოშობამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო აბსტრაქტული აზროვნების განვითარებას. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ორგანიზმი აგებულებით ცხოველის მსგავსია, აზროვნება და შრომითი საქმიანობა განასხვავებს მას ცხოველთა სამეფოს დანარჩენი წარმომადგენლებისგან.



გორილისა და თანამედროვე ადამიანის ქალა

შიმპანზისა და ადამიანის ტერჯი

შექმნილი ცოდნის გამოყენება

დაადგინეთ შესაბამისობა

- ა) ადამიანის ბიოლოგიური თავისებურებები
- ბ) ადამიანის სოციალური თავისებურებები

1. შრომის იარაღებს დამზადება
2. ბრტყელი ფრჩხილები თითებზე
3. თმოვანი საფარველის არარსებობა ხელისგულებზე
4. მეტყველება
5. დიდი მოცულობის ტვინი
6. საზოგადოებრივი ცხოვრების წესი

რა შეიძლება

ადამიანი მიეკუთვნება — რაზმს. დღეს არსებობს ადამიანის მხოლოდ ერთი სახეობა — . ადამიანის, როგორც სოციალური არსების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა — , — , — და — .

საკუანძო სიტყვები

პრიმატები/გონიერი ადამიანი/შრომა/აზროვნება/მეტყველება/საზოგადოებრივი ცხოვრების წესი


შეამოცათ თქვენი ცოდნა

1. გაარკვით, რომელია მართებული მსჯელობა: ა) ადამიანი მიეკუთვნება ქორდიანთა ტიპს; ბ) ადამიანი მიეკუთვნება ხერხემლიანთა ტიპს; გ) სახეობა — გონიერი ადამიანი — ცხოველთა სამეფოს ერთ-ერთი სახეობაა; დ) ადამიანი მიეკუთვნება პრიმატების რაზმს; ე) ადამიანი მიეკუთვნება ხერხემლიანთა კლასს.
2. აღნიშნეთ, რომელი გამოსახულება მიეკუთვნება ადამიანს და რომელი — მაიმუნს.



შემაჯამებელი დავალებები

1. დაადგინეთ შესაბამისობა ცოცხალი ბუნების სამეფოებსა და იმ მეცნიერებებს შორის, რომლებიც მათ შეისწავლის.



მეცნიერებები

- ა. მიკოლოგია; ბ. ბოტანიკა; გ. ზოოლოგია; დ. ბაქტერიოლოგია.

2. გამოიყენეთ აღნიშნული ცნებები და შეადგინეთ მართებული წინადადებები:

- ა) ადამიანი მიეკუთვნება ფეხსახსრიანების/ქორდიანების ტიპს.
 ბ) ადამიანი მიეკუთვნება პრიმატების/ქორდიანების ტიპს.
 გ) თანამედროვე ადამიანი მიეკუთვნება მარჯვე ადამიანის/გონიერი ადამიანის სახეობას.
 დ) ადამიანი მიეკუთვნება პრიმატების/ხერხემლიანების რაზმს.
 ე) ადამიანი მიეკუთვნება ძუძუმწოვრების/ხერხემლიანების კლასს.
 ვ) ადამიანი მიეკუთვნება ცხოველების/მრავალუჯრედებიანების სამეფოს.

3. ცხრილის შესაბამის უჯრებში თანამიმდევრობით განათავსეთ ცხოველთა და მცენარეთა სისტემატიკური კატეგორიების სახელწოდებები.

გვარი, ტიპი, ოჯახი, რაზმი, კლასი, სახეობა, განყოფილება, რიგი

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|------------|---|---|---|---|---|---|--------|
| ცხოველები | | | | | | | სამეფო |
| მცენარეები | | | | | | | სამეფო |

4. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შესაბამისი საკვანძო სიტყვებით:

საკვანძო სიტყვები: **მცენარეები, იშვიათი ცხოველები და მცენარეები, სახეობა, კასპიური სელაპი, ეკოლოგია.**

- ა) მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ცოცხალი ორგანიზმების ერთმანეთთან და გარემოსთან ურთიერთობას, – ეწოდება.
 ბ) სისტემატიკის ძირითად ერთეულს წარმოადგენს – .
 გ) – შენარჩუნების მიზნით ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილია ნაკრძალები, აღკვეთილები და ეროვნული პარკები.
 დ) „წითელ წიგნში“ შეტანილი – ზღვის ყველაზე პატარა ძუძუმწოვარი ცხოველია.
 ე) – სამეფოს წარმომადგენლების უმრავლესობა განუწყვეტლივ იზრდება.

გვ. 25-86

ცოცხალი ორგანიზაციის აგებულება

2

თავი 2

ორგანიზმების უჯრედული
აგებულება. ქსოვილები,
ორგანოები და ორგანოთა
სისტემები

6. ლაბორატორიული აღჭურვილობა
7. უჯრედის ზოგადი აგებულება
8. პროკარიოტული ორგანიზმები
9. ბაქტერიების გავრცელება და
მათი როლი ბუნებაში.
დაავადებების გამომწვევი
ბაქტერიები. ვირუსები
10. უჯრედის გაყოფა და
განვითარება
11. ერთუჯრედიანი და
მრავალუჯრედიანი
ორგანიზმები
12. მცენარეთა ნარმომშობი,
მფარავი და მექანიკური
ქსოვილები
13. მცენარეთა გამტარი, ძირითადი
და გამომყოფი ქსოვილები
14. ცხოველთა ქსოვილები
15. ცხოველთა ორგანოები და
ორგანოთა სისტემები
• შემაჯამებელი დავალებები

თავი 3

მცენარეთა ვეგეტატიური ორგანოები

16. ყვავილოვანი მცენარეების ძირითადი
ორგანოები
17. ყლორტისა და კვირტის აგებულება.
კვირტის განვითარება
18. ღეროს შინაგანი აგებულება
19. ფოთლის შინაგანი აგებულება.
ფოთლების განლაგება
20. ფოთლის უჯრედული აგებულება
21. ფესვის აგებულება. ფესვებისა და
ფესვთა სისტემების სახეები
22. მცენარეთა მინისქვეშა ორგანოების
სახეცვლილებები
23. მცენარეთა მინისზედა ორგანოების
სახეცვლილებები
• შემაჯამებელი დავალებები

თავი 4

მცენარეთა გენერაციული ორგანოები

24. ყვავილი
25. ყვავილედები
26. თესლის აგებულება
27. ნაყოფი
• შემაჯამებელი დავალებები

25



თავი 2

ორგანიზმების უჯრედული აგებულება.
ქსოვილები, ორგანოები და ორგანოთა სისტემები

6. ლაბორატორიული ალფურვილობა

დაახლოებით 400 წლის წინ ჰილდანდის ქალაქ მიდელბურგში ცხოვრობდა ერთი ოსტატი, რომელიც სათვალეებს ამზადებდა და ყიდდა. ერთხელ მისმა ვაჟებმა სპილენძის მიღს ორივე ბოლოზე სათვალის მიწები მიამაგრეს და შემდეგ ამ მილიდან გაიხედეს. ალმოჩნდა, რომ მიღი საგნებს მნიშვნელოვან ადიდებდა. როდესაც ეს ამბავი შეიტყო, ბიჭების მამა შეეცადა გაეუმჯობესებინა „ხელსაწყო“ და ამისთვის გრძელი, გასაშლელი მიღი გამოიყენა. ასე შემთხვევით 1590 წ. შეიქმნა პირველი მიკროსკოპი. მის გამომგონებლად ზაქარია იანსენი ითვლება, უფრო სწორად, მისი ვაჟები.

- რომელ გამადიდებელ ხელსაწყოებს იცნობთ?
- როგორ იყენებთ მათ?

საქმიანობა 1. რა

ხელსაწყოებია
გამოსახული სურათებზე?
გადაიტანეთ ცხრილი
რვეულში და შეავსეთ იგი.
როგორ შეიძლება ამ
ხელსაწყოების გამოყენება
ცოცხალი ორგანიზმების
შესასწავლად?



| ხელსაწყო | როგორ გამოყენება |
|----------|------------------|
| 1 | |
| ... | |

ლაბორატორიული ალფურვილობა, რომელიც ბიოლოგიური ობიექტების შესასწავლად გამოიყენება. ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის სხვადასხვა სახის პინცეტებს (ნაჭდევებიანს, უნაჭდევოს, კბილებიანს და ა.შ.), საპრეპარაციო ნემსებს, მეტალის ან პლასტიმასის ქილებს, პიპეტებს, მაკრატლებს, ლანცეტებს და სხვა ინსტრუმენტებს იყენებენ.



ლაბორატორიულ ჭურჭელს – სხვადასხვა სახის სინჯარებსა და კოლბებს – ნივთიერებების გასათბობად, შესარევად და შესანახავად იყენებენ. ცოცხალი ორგანიზმების აგებულების უფრო დეტალური შესწავლის მიზნით გამადიდებელი ხელსაწყოები – ლუპა და მიკროსკოპი გამოიყენება.

იცით თუ არა, რომ? დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ორგანიზმს (ცირუსების გარდა) უჯრედული აგებულება აქვს. თითქმის ყველა უჯრედი ძალიან მცირე ზომისაა, ამიტომ ცოცხალი ორგანიზმების უფრო დეტალური შესწავლა მხოლოდ გამადი-დებელი ხელსაწყოების გამოგონების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

გამადიდებელი ხელსაწყოები. სამეცნიერო გამოკვლევების ჩასატარებლად გამოიყენება გამადიდებელი ხელსაწყოები – ლუპა და მიკროსკოპი.

ლუპა – ყველაზე მარტივი გამადიდებელი ხელსაწყო – შედგება ტარიანი, ჩარჩოში ჩასმული ორმხრივად ამოზნექილი მინისაგან. მას შეუძლია საგნების 2 – 25-ჯერ გადიდება.

მიკროსკოპი. ცოცხალი ორგანიზმების აგებულების დაწვრილებით შესასწავლად გამოიყენება სხვადასხვა სახის მიკროსკოპი (ბერძნ. *mikros* – პატარა და *skopeo* – ვხედავ):

ა) სინათლის მიკროსკოპი. ამ ხელსაწყოს შეუძლია საგნის გამოსახულების 3600-ჯერ გადიდება.


ბ) ელექტრონული მიკროსკოპი. ეს ხელსაწყო საგნების გამოსახულებას ათობით და ასობით ათასჯერ ადიდებს. მისი საშუალებით შეიძლება უჯრედის უმცირესი სტრუქტურები დავინახოთ.



ელექტრონული მიკროსკოპი

საქმიანობა 2.

გაეცანით ტექსტს.
რვეულებში ჩანარეთ
მიკროსკოპის
ნაწილების
სახელწოდებები
შესაბამისი
ნუმერაციით.



ტუბუსი (სამზერი მილი) მიკროსკოპის შტატივზეა მიმაგრებული. ხრახნების საშუალებით ის შეიძლება მივუახლოოთ ან დავაშოროთ დაკვირვების საგანს. შტატივი მიკროსკოპის საყრდენია, რომელზეც მისი დანარჩენი ნაწილები მაგრდება.

ოკულარი (ლათ. *oculus* – თვალი) ტუბუსის ზემო ნაწილშია მოთავსებული და ჩარჩოში ჩასმული ორი გამადიდებელი მინისგან შედგება.

ობიექტივი (ლათ. *objektum* – საგანი) მოთავსებულია ტუბუსის ქვედა ნაწილში და შედგება ჩარჩოში ჩასმული რამდენიმე გამადიდებელი მინისგან.

სასაგნე მაგიდა შტატივზეა მიმაგრებული. მაგიდის ცენტრში ხვრელია, რომელშიც სინათლის კონა გადის.

სარკე სინათლეს სასაგნე მაგიდის ხვრელის საშუალებით პრეპარატისკენ (შესასწავლი საგნის თხელი ანათალი) მიმართავს.

რცხოთ თუ არა, რომ? იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ რამდენჯერ ადიდებს მიკროსკოპი, ერთმანეთზე უნდა გადავამრავლოთ ობიექტივისა და ოკულარის გადიდების მაჩვენებლები. ასე, მაგალითად, თუ ობიექტივზე გამოსახულია ციფრი $X 8$, ხოლო ოკულარზე კი 10 , მაშინ მიკროსკოპი $8 \times 10 = 80$ -ჯერ ადიდებს.

შესაბამისობა

დაადგინეთ შესაბამისობა:

1. მისი დახმარებით ტუბუსი შეიძლება მივუახლოოთ ან დავაშოროოთ დაკვირვების საგანს.
 2. მიკროსკოპის საყრდენი.
 3. მიკროსკოპის სამზერი მილი.
 4. მისი სახელწოდება მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან, რომელიც „საგანს“ ნიშნავს.
 5. ტუბუსის ზედა ნაწილშია მოთავსებული.
- a. ტუბუსი;
ბ. ხრახნი;
- გ. ოკულარი;
დ. შტატივი;
- ე. ობიექტივი.

საკუთარი სიტყვები

ყველაზე მარტივი გამადიდებელი ხელსაწყო არის —. სასაგნე მაგიდა და ტუბუსი მიმაგრებულია — შტატივზე. ხელსაწყო, რომელიც ყველაზე მეტად ადიდებს შესასწავლ საგანს არის —.

საკუთარი სიტყვები

სინათლის მიკროსკოპი ელექტრონული მიკროსკოპი ლუპა

შესაბამისობა

1. დაადგინეთ შესაბამისობა შესწავლის ობიექტსა და იმ გამადიდებელ ხელსაწყოს შორის, რომლის გამოყენებაც უფრო მოსახერხებელია ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში. შედეგები შეიტანეთ ცხრილში (სამუშაო რეგულში).

| ლუპა | სინათლის მიკროსკოპი |
|------|---------------------|
| | |
- 2) ბუზის ფრთა
3) ბაქტერია
4) სისხლის უჯრედი
დ) ხოჭოს ფეხი

2. სურათების მიხედვით შეაგვეთ ცხრილი (რვეულში):

| ლაბორატორიული ალტურვილობა | ფუნქცია |
|---------------------------|---------|
| | |
| | |
| | |
| | |

7. უჯრედის ზოგადი აგებულება

1665 წ. ხის საცობის თხელი ანათალის მიკროსკოპით დათვალიერების დროს რობერტ ჰენრი შეამჩნია, რომ მისი სტრუქტურა უძინველესი ზომის უჯრებისგან შედგებოდა და ფიჭს წააგავდა. მან პირველმა უწოდა მათ უჯრედები. ჰენრის თანამედროვე ანტონი ვან ლევენჰეიკი უფრო გაუმჯობესებული მიკროსკოპით ერთუჯრედიან ორგანიზმებს დააკვირდა. ამის შემდეგ ინტერესი მიკროსკოპის მიმართ მკვეთრად გაიზარდა და დაიწყეს მისი გამოყენება მეცნიერული კვლევებისთვისაც.



რობერტ ჰენრი
(1635-1703)

ინგლისელი მეცნიერი, ბუნებისმეტყველი. გააუმჯობესა მიკროსკოპი, პირველმა შემოიტანა მეცნიერებაში ტერმინი „უჯრედი“.



XVII ს-ის
მიკროსკოპი

- რატომ გახდა ორგანიზმების უჯრედული აგებულების შესწავლა შესაძლებელი მხოლოდ მიკროსკოპის გამოგონების შემდეგ?

საქმიანობა 1.

ლაბორატორიული სამუშაო: ხახვის კანისგან დამზადებული პრეპარატის მიკროსკოპული გამოკვლევა.

ალქიმიკობა: ხახვის კანის მზა პრეპარატი. მიკროსკოპი.

სამუშაოს მსვლელობა:

- მასწავლებლის მიერ დამზადებული და იოდის ხსნარით შეღებილი ხახვის კანის პრეპარატი მიკროსკოპით დაათვალიერეთ ჯერ მცირე და შემდეგ დიდი გადიდებით.
- ნანახი ჩაიხატეთ.
- სურათზე მიაწერეთ უჯრედის ძირითადი ნაწილების სახელები.

ვიმსჯელოთ შედეგებზე:

- უჯრედის რომელი ნაწილი ჩანს ყველაზე მკაფიოდ ხახვის კანის პრეპარატის იოდის ხსნარით შეღებვის შემდეგ?
- რა ფუნქციას ასრულებს უჯრედში ეს ნაწილი?

უჯრედის ზოგადი აგებულება. ცოცხალი ორგანიზმების უმრავლესობის უჯრედები შედგება გარსის, ციტოპლაზმისა და ბირთვისგან.

უჯრედის ზოგადი აგებულება



გარსი უჯრედს გარედან ფარავს და გარემოს მავნე ზემოქმედებიგან იცავს. მცენარეებისა და სოკოების გარსის გარეთა ნაწილი უჯრედის მყარ კედელს ქმნის. გარსის შიგნითა ნაწილს პლაზმურ მემბრანას უწოდებენ.


ციტოპლაზმა ბლანტი, ნახევრად თხევადი უჯრედშიდა ნივთიერებაა, რომელიც სხვადასხვა უჯრედული სტრუქტურების (ორგანოების) შემაკავ-შირებელ გარემოს ქმნის და ასე უზრუნველყოფს მათ ერთობლივ მუშაობას.

ბირთვი. მცენარეების, ცხოველებისა და სოკოების უჯრედებს გააჩნია ბირ-თვი. ორგანიზმებს, რომელთა უჯრედებსაც ჩამოყალიბებული ბირთვი აქვს, ეუკარიოტებს უწოდებენ. ბირთვში ქრომოსომებია (ბერძნ. *xromo* – ფერი, *soma* – სხეული) – სტრუქტურები, რომლებშიც მემკვიდრული ინფორმაცია ინახება.

პლასტიდები. მცენარეების უჯრედების ციტოპლაზმაში, ცხოველებისა და სოკოების უჯრედებისგან განსხვავებით, დიდი რაოდენობითაა მცირე ზომის კომპონენტები, რომლებსაც პლასტიდებს უწოდებენ. მნვანე პლასტიდებს ქლოროპლასტები ეწოდება. მათი მნვანე ფერი პიგმენტ ქლოროფილით არის განპირობული. პლასტიდებს, რომლებიც მცენა-რეთა ნაწილებს სხვადასხვა შეფერილობას აძლევს, ქრომოპლასტები ეწოდება; უფერულ პლასტიდებს ლეიკოპლასტები ეწოდება.

ვაკუოლი. მცენარეებისა და სოკოების (განსაკუთრებით, გადაბერებული სოკოების) ციტოპლაზმაში ვაკუოლია (ლათ. *vacuus* – ცარიელი) – ღრუ, რომელიც უჯ-

პლასტიდების შემცველი მცენარის ნაწილები



რედის წვენითაა სავსე. უჯრედის წვენის შემადგენლობაში შედის გახსნილი შაქრები და სხვა ორგანული და არაორგანული ნივთიერებები.

იცოთ უჯრედის მიზანი დედამიწაზე მცხოვრები ცოცხალი ორგანიზმები, უჯრედის აგებულების მიხედვით, ორ დიდ ჯგუფად – პროკარიოტებად, ანუ უბირთვოებად და ეუკარიოტებად, ანუ ბირთვიანებად იყოფა.

შემარტივი ცოდნის გამოყენება

წაიკითხეთ განმარტებები და რვეულში ჩანერეთ შესაბამისი ტერმინები:

- უჯრედის ბლანტი, ნახევრად თხევადი შიგთავსი – ____.
- უჯრედის შეფერილი ან უფერული სტრუქტურები – ____.
- გარემოს ზემოქმედებისგან იცავს უჯრედის შიგთავს – ____.
- უჯრედის სტრუქტურები, გამჭვირვალე პარკები, რომლებიც უჯრედის წვენითაა სავსე – ____.

რა შეიძლება


უჯრედი შედგება —, — და —. გარედან უჯრედი დაფარულია —. გარსის შიგნითა შრე არის —. ორგანიზმებს, რომელთა უჯრედებიც ბირთვს შეიცავს, — უწოდებენ.

საკვანძო სიტყვები
გარსი
ციტოპლაზმა
ბირთვი
ეუკარიოტები
პლაზმური მემბრანა

შეამოხვათ თქვენი ცოდნა

1. რვეულში ჩამოწერეთ სახვის კანის უჯრედის შემადგენელი ნაწილები:

-
-
-
-



2. მწვანე პომიდორი სითბოში თანდათან წითლდება, კარტოფილი სინათლეში თანდათან მწვანე ფერს იღებს, შემოდგომაზე მწვანე ფოთლებს მონარინჯისფრო, მოყვითალო ან მოწითალო ფერი ედება. თქვენი აზრით, რატომ ხდება ასე?

8. პროკარიოტული ორგანიზმები

ბაქტერიები დედამიწაზე ამჟამად მცხოვრებ ორგანიზმთა შორის უძველესია. პირველი ბაქტერიები, სავარაუდოდ, 3,5 მლრდ. წლის წინ გაჩნდა. მათი, როგორც ცოცხალი ბუნების პირველი წარმომადგენლების, აგებულება ძალიან პრიმიტიული იყო. მას შემდეგ მათი აგებულება შედარებით გართულდა, თუმცა დღესაც ბაქტერიები ყველაზე პრიმიტიულ ერთუჯრედიან ორგანიზმებად ითვლება.

- როგორ ფიქრობთ, რითი განსხვავდება ბაქტერიები მცენარეებისა და ცხოველებისგან?


საქმიანობა 1. შეადარეთ ერთმანეთს სურათები.

სამუშაო რვეულებში ჩაიწერეთ სურათებზე

გამოსახულ უჯრედებს შორის არსებული

განმასხვავებელი ნიშნები.

| მცენარეული უჯრედი | ბაქტერია |
|-------------------|----------|
| | |



მცენარეული უჯრედი


ბაქტერია

უბირთვო ორგანიზმები (პროკარიოტები). ორგანიზმებს, რომელთა უჯრედებიც ბირთვი არ არსებობს, პროკარიოტებს უწოდებენ. ასეთ ორგანიზმებს მიეკუთვნება ბაქტერიები.

ბაქტერიების აგებულება. ბაქტერიული უჯრედის ციტოპლაზმას გარს აკრავს პლაზმური მემბრანა, რომელსაც გარედან სქელი და მყარი უჯრედის კედელი აქვს. ზოგჯერ უჯრედის კედელი დაფარულია ლორწოვანი კაფსულით, რომელიც დაცვით ფუნქციას ასრულებს.

ზოგიერთ ბაქტერიას გადაადგილებისათვის უჯრედის ზედაპირზე ერთი ან რამდენიმე შოლტი აქვს. თუმცა არსებობს ბაქტერიების უმოძრაო ფორმებიც, რომლებსაც შოლტები არ გააჩნია. ბაქტერიებს არ აქვს ჩამოყალიბული ბირთვი; თუმცა უჯრედის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს მეკვიდრული მასალა, რომელიც უჯრედის ბირთვის ფუნქციას ასრულებს და რიბოსომები, რომლებიც ცილის სინთეზში მონაწილეობს.

საქმიანობა 2. სამუშაო რვეულში შეიტანეთ ბაქტერიული უჯრედის ძირითადი ნაწილების სახელწოდებები.



სპორების წარმოქმნა. არახელსაყრელ პირობებში (საკვების ნაკლებობა, ტემპერატურის მკვეთრი მერყეობა, გამოშრობა) ზოგიერთი ბაქტერია იკრავს სქელ გარსს – წარმოქმნის სპორას (ბერძნ. *spora* – თესლი). სპორები ქარის საშუალებით ადვილად ვრცელდება. ხელსაყრელ პირობებში მოხვედრისას სპორის გარსი იშლება

და ბაქტერია ნორმალურ ცხოველქმედებას აგრძელებს.

ბაქტერიების ფორმები. ბაქტერიებს სხვადასხვა ფორმა აქვს: სფერული (კოკები), სპირალისებრი (სპირილები), ჩხირისებრი (ბაცილები), მძიმისებრი (ვიბრიონები). უკიდურესად მცირე ზომების გამო, ბაქტერიების დანახვა მხოლოდ მიკროსკოპის საშუალებით შეიძლება.

ბაქტერიების ფორმები



სფერული
(კოკები)



სპირალისებრი
(სპირილები)



ჩხირისებრი
(ბაცილები)



მოღუნული ჩხირის
ფორმის ანუ
მძიმისებრი (ვიბრიონები)

დცვით თუ არა, რომ? ზოგიერთი ქიმიური ნივთიერება (მაგალითად, ეთილის სპირტი, იოდის ხსნარი და სხვ.) ბაქტერიებს კლავს. ამიტომ მათ ხშირად იყენებენ კანის დაზიანების დროს. ქიმიური ნივთიერებების საშუალებით ბაქტერიების განადგურების მეთოდს დეზინფექცია ეწოდება.

შემავიზუაცია ცხვირის გამოხარისხისა

გამოითვალეთ ერთი საათის განმავლობაში წარმოქმნილი ბაქტერიების რიცხვი, თუ ერთი ბაქტერია ყოველ 20 წთ-ში ორად იყოფა.

1 სთ.

| | | |
|--------|-----|--|
| 20 წთ. | → 2 | |
| 20 წთ. | → ? | |
| 20 წთ. | → ? | |

რა შეიძლება

ბაქტერიები მიეკუთვნება — . არსებობს შემდეგი ფორმის ბაქტერიები: — , — , — , და — . ბაქტერიები შეიცავს — , რომლებიც ცილის სინთეზში მონაწილეობს. არახელსაყრელ პირობებში ბაქტერიები წარმოქმნის — .

საკვანძო სიტყვები
პროკარიოტები
კოკები
სპირილები
ვიბრიონები
ბაცილები
რიბოსომები
სპორა

შემოხვევით თევანი ცოდნა

დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

- ბაქტერიებს მიაკუთვნებენ პროკარიოტებს, რადგან ისინი —
- ბაქტერიის უჯრედი განსხვავდება მცენარის უჯრედისგან —
- ბაქტერიები არახელსაყრელ პირობებში წარმოქმნის —

9. ბაქტერიების გავრცელება და მათი როლი ბუნებაში. დაავადებების გამომწვევი ბაქტერიები. ვირუსები

ცნობილია, რომ ადამიანის საერთო მასიდან 2 კგ მის ორანიზმში მცხოვრებ ბაქტერიებზე მოდის. მხოლოდ ერთ ფას ნაწლავის ჩხირს ერთი დღე-ლამის განმავლობაში შეუძლია მოგვცეს 2 კმ^2 ფუძისა და 1 კმ სიმაღლის პირამიდის ზომის შთამომავლობა.

- როგორია ბაქტერიების როლი ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში?
- რა პირობებში შეიძლება დასწებოვნდეს ადამიანი დაავადებების გამომწვევი ბაქტერიებით?

საქმიანობა 1.

ლაბორატორიული სამუშაო. „ბაქტერიების ფორმების შესწავლა“.

მიზანი: ბაქტერიების აგებულებისა და ფორმების გაცნობა.

აღჭურვილობა: ბაქტერიული პრეპარატი, მიკროსკოპი.

სამუშაოს მსვლელობა:

1. მიკროსკოპის დიდი გადიდებით დაათვალიერეთ ბაქტერიული პრეპარატი.
 2. ყურადღებით დააკვირდით ბაქტერიების ფორმასა და აგებულებას.
- ვიმსჯელოთ შედეგებზე:**
1. როგორი ფორმა და აგებულება აქვს ბაქტერიებს, რომლებსაც ვაკვირდებით?
 2. დახატეთ, რაც ნახეთ და შეადარეთ ბაქტერიების ზოგადი აგებულების სქემატურ სურათს.

ბაქტერიების გავრცელება და როლი. ბაქტერიების გამრავლების სიჩქარე ძალიან მაღალია და, შესაბამისად, დედამინაზე არსებული ბაქტერიების რაოდენობაც უზარმაზარია. განსაკუთრებით დიდია მათი რაოდენობა ნაყოფიერ ნიადაგში. ბაქტერიები მონაწილეობს ნივთიერებათა წრებრუნვაში. მათი ცხოველებების შედეგად ცხოველთა და მცენარეთა ნარჩენები ლპება, მინერალიზდება და მინერალური მარილების სახით უბრუნდება ნიადაგს, საიდანაც მცენარეების მიერ შეიწოვება. გარდა ამისა, ბაქტერიების ცხოველებებისათვისაც დაკავშირებული რძისგან მანვნის მიღება ან კომბინირებას დამწნილება. სამწუხაროდ, კვების პროდუქტების გაფუჭებაც ბაქტერიების ზემოქმედებით ხდება. ასეთი პროცესის თავიდან ასაცილებლად კვების პროდუქტებს აშრობენ, ამარილებენ, შეკრავენ და აკონსერვებენ. მაღალი ტემპერატურა დაკონსერვების დროს ანადგურებს როგორც



რძემუავა
ბაქტერიები



ნიადაგის
ბაქტერიები

ბაქტერიებს, ისე მათ სპორებს. გარდა ამისა ბაქტერიების ცხოველქმედება სუსტდება მზის სხივების, მაღალი კონცენტრაციის შაქრისა და მარილის ზემოქმედებით.

საქმიანობა 2.

იმსჯელეთ კითხვებზე:

- რა მეთოდები შეიძლება გამოვიყენოთ კვების პროდუქტების ხანგრძლივად შესანახავად?
- რაზეა დამყარებული ეს მეთოდები?

დაავადებების გამომწვევი ბაქტერიები. ბაქტერიები ისეთ მძიმე დაავადებს, იწვევს როგორებიცაა: მუცლის ტიფი, ქოლერა, დიფტერია, ტუბერკულოზი, ტეტანუსი (გაშეშება), ანგინა, ციმბირის ნყლული, ბრუცელოზი და სხვ. ხშირად ბაქტერიებით დასნებოვნება ავადმყოფთან კონტაქტისას ნერ-ნევის საშუალებით ხდება, რომელიც ლაპარაკისა და ხველის დროს ჰაერში წვეობის სახით გამოიყოფა.

გარდა ამისა, ადამიანი შეიძლება დასნებოვნდეს დაბინძურებული ნყლისა და კვების პროდუქტების გამოყენების დროსაც. ანტისანიტარიული პირობები, ჰიგიენის ელემენტარული წესების დაუცველობა, მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე ხელსაყრელ გარემოს ქმნის ბაქტერიების ზრდისა და გამრავლებისათვის. ასეთ დროს დაავადებების მასობრივად გავრცელების (ეპიდემიების) საშიშროება იქმნება.

ბაქტერიები მცენარებსა და ცხოველებსაც ასნებოვნებს. ასე, მაგალითად, ბაქტერიები იწვევს ბამბის გომოზს, ბრუცელოზსა და ციმბირის ნყლულს ცხოველებში. ადამიანი შეიძლება ცხოველისგანაც დასნებოვნდეს, მაგალითად, ბრუცელოზით დაავადებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის აუდუღარი რძის მიღებით.

დაავადების გამომწვევი ბაქტერიები



ციმბირის ნყლულის
გამომწვევი



ქოლერის
ვიბროონი



შავი ჭირის ჩხირი



დიფტერიის
ბაცილა

ანგინის
გამომწვევი
სტრეპტოკოკი



ვირუსები. უჯრედული აგებულების მქონე ორგანიზმების გარდა, ბუნებაში არსებობს სიცოცხლის არაუჯრედული ფორმები – ვირუსები. ვირუსები პარაზიტობს უჯრედში, მრავლდება და, როგორც წესი, ანადგურებს მას. გრიპის, ყვავილის, წითელას, შიდსის (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის) გამომწვევი ვირუსია.



შეძენილი იმუნო-დეფიციტის
სინდრომის
(შიდსის) ვირუსი



თამბაქოს მოზაიკის
ვირუსი



გრიპის ვირუსი

შეპარიტი ცოდნის გამოყალიბა

გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ იგი.

| | | | |
|----------|-----------------|-------------------------|-------------------------------------|
| ბაქტერია | საარსებო გარემო | მნიშვნელობა ბუნებაში | მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში |
| | | | |

კა შეიძლებათ

შავ ჭირს, მუცლის ტიფს, ქოლერას და სხვ. იწვევს — — არ აქვს უჯრედული აგებულება.

საკუთრივი სიტყვები
დაავადებების გამომწვევი ბაქტერიები
ვირუსები

შეამოვათ თავისი ცოდნა

ტექსტში არსებული სურათების გამოყენებით, ცხრილის შესაბამის გრაფებში ჩანარეთ დაავადებების სახელწოდებები და ამ დაავადებების გამომწვევი ბაქტერიების ფორმები.

- ქოლერა
- დიფტერია
- ანგინა
- ციმბირის წყლი

| კოკები | ბაცილები | ვიბრიონები |
|--------|----------|------------|
| | | |

2. უპასუხეთ კითხვებს:

- სიდის ხის საყრდენები სანახევროდ წყალშია ჩაძირული. თქვენი აზრით, რომელ ნაწილში მიმდინარეობს ლპობის პროცესი უფრო სწრაფად: ჰაერში, წყალში თუ მათ საზღვარზე?
- კვების პროდუქტების გაფუჭების თავიდან ასაცილებლად ზოგჯერ მათ აშრობენ. რატომ „ძნელდება“ ლპობის პროცესი გამომშრალ პროდუქტებში? ბაქტერიებისგან კვების პროდუქტების დაცვის კიდევ რომელ მეთოდებს იცნობთ?

10. უჯრედების გაყოფა და ზრდა-განვითარება

მურა დათვის ახალშობილი ნაშიერი, რომლის მშობლებიც 700-800 კგ-ს იწონიან, დაახლოებით 500 გ-ს იწონის. ნიადაგში მოხვედრილი პატარა რკოსგან კი უზარმაზარი მუხა ამოიზრდება.

- როგორ ფიქრობთ, რა არის ასეთი ცვლილებების მიზეზი?

ორგანიზმის ზრდა უჯრედების გაყოფის გზით ხდება. უჯრედების გაყოფა რთული პროცესია, რომლის დროსაც ერთი დედისეული უჯრედისგან ორი შვილეული უჯრედი წარმოიქმნება. გაყოფის პროცესში მთავარ როლს ასრულებს ქრომოსომები, რომლებიც უჯრედის პირთვში მდებარეობს.

საქმიანობა 1. დაათვალიერეთ სურათი, რომელზეც გამოსახულია უჯრედის გაყოფის პროცესი და უპასუხეთ კითხვებს.

- რამდენი ქრომოსომაა დედისეულ უჯრედში?
- რამდენი ქრომოსომაა თითოეულ ახლად წარმოქმნილ უჯრედში?




უჯრედის გაყოფა. უჯრედის გაყოფის წინ მასში ქრომოსომების რიცხვი ორმაგდება. გაორმაგებული ქრომოსომები ეკვატორის გასწვრივ განლაგდება, შემდეგ კი სცილდება ერთმანეთს და უჯრედის პოლუსებისკენ მიემართება. პოლუსებთან განლაგებული ქრომოსომების ირგვლივ ბირთვის მემბრანა წარმოიქმნება. ამის შემდეგ უჯრედის ციტოპლაზმა ორ ნაწილად იყოფა და ორი შვილეული უჯრედი წარმოიქმნება.

მიტოზი (ბერძნ. *mitos* – ძაფი). უჯრედის გაყოფის ფორმას, რომლის დროსაც ერთი უჯრედიდან წარმოიქმნება ორი შვილეული უჯრედი ქრომოსომების იმავე რიცხვით, მიტოზი ეწოდება. მიტოზური გაყოფა ძირითადად სხეულის უჯრედებს ახასიათებს.

ცცილთუანა, რომე? ზოგიერთ შემთხვევაში ერთი დედისეული უჯრედის გაყოფის დროს წარმოიქმნება ოთხი შვილეული უჯრედი ქრომოსომების განახევრებული რიცხვით. უჯრედის გაყოფის ამ სახეს მეიოზი (ბერძნ. *meiosis* – შემცირება) ეწოდება. მეიოზური გაყოფა ორგანიზმის ყველა უჯრედს არ ახასიათებს. ასეთი გზით წარმოიქმნება სასქესო უჯრედები, რომლებიც საწყისი (დედისეული) უჯრედის ქრომოსომების წახევარს შეიცავს. სქესობრივი გამრავლების დროს სასქესო უჯრედების შერწყმის შედეგად წარმოქმნილი ქრომოსომების სრული რიცხვის მქონე უჯრედი დასაბამს აძლევს ახალ ორგანიზმს.

უჯრედის განვითარება. გაყოფის პროცესის დასრულების შემდეგ წარმქნილი შვილეული უჯრედები იზრდება და გარკვეული ზომის მიღწევისთანავე ისევ იწყებს გაყოფას. ამრიგად, უჯრედების გაყოფისა და ზრდის შედეგად ხდება ორგანიზმის ზრდა-განვითარებაც.


მცენარეული უჯრედის ზრდა



უჯრედის გაყოფის მნიშვნელობა. გაყოფის შედეგად სწრაფად იზრდება ერთუჯრედიანი ორგანიზმების რიცხვი, რაც მათ ფართო გავრცელებას განაპირობებს. მრავალუჯრედიანი ორგანიზმების უჯრედების გაყოფა კი იწვევს მათ ზრდასა და განვითარებას. ასევე, უჯრედების გაყოფის შედეგად ხდება ქსოვილების დაზიანებული უჯრედების აღდგენა.

შეკვეთი ცოდნის გამოყენება

აღადგინეთ უჯრედის გაყოფის ეტაპების სწორი თანამიმდევრობა. სამუშაო რვეულში ჩაიწერეთ თითოეული ეტაპის თავისებურება.



კა შეიძლეთ

— შედეგად ერთი — წარმოიქმნება. — გაყოფის დროს მთავარ როლს ასრულებს უჯრედის ბირთვში არსებული —.

საკვანძო სიტყვები
ქრომოსომები
დედისეული უჯრედი
შვილეული უჯრედები
მიტოზი

შეამოხათ თავისი ცოდნა

- რამდენი ახალი უჯრედი წარმოიქმნება მიტოზის დროს ერთი დედისეული უჯრედისგან?
ა) 1; ბ) 2; გ) 3; დ) 4.
- მიტოზის შედეგად 8-ქრომოსომიანი ბირთვიდან წარმოიქმნება ბირთვები:
ა) 4 ქრომოსომით;
ბ) 6 ქრომოსომით;
გ) 8 ქრომოსომით;
დ) 12 ქრომოსომით.

11. ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი ორგანიზმები

ერთხელ ჰოლანდიელმა მეცნიერმა ლევენშტუკმა დოქტიდან ნადგომი წყლის წვეთი აიღო და მიკროსკოპით დაათვალიერა. წყლის წვეთში ასობით პანაზინა განუწყვეტლივ მოძრავი არსება აღმოჩნდა. მეცნიერმა მათ „ანიმალულუსა“ უწოდა, რაც ლათინურად პატარა ნადირს ნიშნავს. თავიდან ლევენშტუკმა ივარაუდა, რომ დოქტი ეს „ნადირები“ წვიმის წვეთებთან ერთად მოხვდა, მაგრამ როცა შემდეგ მიკროსკოპით წვიმის წვეთი დაათვალიერა, ეს არსებები ვერ აღმოაჩინა და მიხვდა, რომ მისი ვარაუდი მცდარი იყო. საბოლოოდ მეცნიერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პანაზინა არსებები ნადგომ წყალში ნარმოიქმნება.

- რომელი ცოცხალი ორგანიზმები შეიძლება ყოფილიყო წყლის წვეთში?
- რატომაა ისინი დიდი რაოდენობით ნადგომ წყალში?

საქმიანობა. დაავირდით სურათზე გამოსახულ ერთუჯრედიან ორგანიზმებს. აღნიშნეთ მათი აგებულების თავისებურებები.

ვიმსჯელოთ შედეგებზე:

- რით განსხვავდება ერთმანეთისგან სურათზე გამოსახული ერთუჯრედიანი ორგანიზმები?



ერთუჯრედიანი ორგანიზმები. ისინი გვხვდება ცხოველებს, მცენარეებს, სოკოებსა და ბაქტერიებს შორის. მათი ორგანიზმი ერთი უჯრედისგან შედგება. მათი ცხოველებების ყველა პროცესი: კვება, სუნთქვა, გამოყოფა, გამრავლება ერთ უჯრედში მიმდინარეობს. ზოგიერთ მათგანს გადაადგილებაც შეუძლია. ამისათვის მათ სპეციალური საშუალებები აქვთ: შოლტები (ზოგიერთი ბაქტერია, მწვანე ევგლენა), წამნამები (ინფუზორია — ქალამანა) და ცრუფეხები (ამება).


კოლონიური ერთუჯრედიანი ორგანიზმები. ზოგჯერ ერთუჯრედიანი ორგანიზმების ჯგუფები კოლონიებს ქმნის. კოლონიური ორგანიზმების უჯრედები არ არის სპეციალიზებული, ამიტომ მათ დამოუკიდებლად არსებობაც შეუძლია. ასეთი ორგანიზმების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ზოგიერთი ბაქტერია, ვოლვოქსი.

მრავალუჯრედიანი ორგანიზმები. მრავალუჯრედიანი ორგანიზმები ბევრი უჯრედისგან შედგება და ყოველი მათგანი სპეციალიზებულია, ანუ რაღაც გარკვეულ ფუნქციას ასრულებს: უზრუნველყოფს კვებას, გამოყოფას, გამრავლებას და სხვ. მრავალუჯრედიან ორგანიზმებს მიეკუთვნება ცხოველების, მცენარეებისა და სოკოების სამეფოს წარმომადგენლები. უჯრედები ერთიან-

ერთუჯრედიანი ორგანიზმები



კოლონიური ერთუჯრედიანები




დება და ქმნის ქსოვილებს. ქსოვილები ქმნის ორგანოებს. ორგანოები, თავის მხრივ, ქმნის ორგანოთა სისტემებს. მაგრამ ისეთ ორგანიზმებს, როგორებიცაა წყალმცენარეები, სოკოები, ცხოველების წარმომადგენლები – ლრუბელები და ნაწლავლრუიანები – ქსოვილები და ორგანოები არ გააჩ-ნია. ყველაზე მაღალგანვითარებული მრავალუჯრედიანი ორგანიზმებია უმაღლესი მცენარეები და ქორდიანი ცხოველები.

მრავალუჯრედიანი
ორგანიზმები



წყალმცენარე
ულვა

მტკნარი წყლის
ჰიდრა



შეპარები ცოდნის გამოყენება

გადაიტანეთ ცხრილი სამუშაო რვეულში და შეავსეთ:

| ერთუჯრედიანები | მრავალუჯრედიანები |
|-----------------|-------------------|
| წარმომადგენლები | თავისებურებები |
| | |

კა შეიტყვათ

— ორგანიზმებში ცხოველქმედების ყველა პროცესი ერთი უჯრედის შიგნით მიმდინარეობს. — მოხდა უჯრედების სპეციალიზაცია.

საკვანძო სიტყვები
ერთუჯრედიანები
მრავალუჯრედიანები

შეამოცათ თქვენი ცოდნა


- რის საშუალებით გადაადგილდება სურათზე გამოსახული ორგანიზმები?



მწვანე
ევგლენა



წყალმცენარე
ქლამიდომონადა



ინფუზორია –
ქალამანა



ჩვეულებრივი
ამება

- მოძებნეთ მსგავსება და განსხვავება კოლონიურ და მრავალუჯრედიან ორგანიზმებს შორის.

კოლონიურები მრავალუჯრედიანები

12. მცენარეთა ნარმომშობი, მფარავი და მექანიკური ქსოვილები

XIX საუკუნეში მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მცენარეებიცა და ცხოველებიც უჯრედებისგან შედგება. უჯრედები ორგანიზმში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. ორგანიზმის ნორმალური ცხოველქმედებისათვის აუცილებელია, ყველა უჯრედი გამართულად და შეთანხმებულად მუშაობდეს.

- რატომ ასრულებს უჯრედები სხვადასხვა ფუნქციას?
- რისთვის არის საჭირო უჯრედების შეთანხმებული მუშაობა?

საქმიანობა.

ალქურვილობა: ნაწილებად დაჭრილი უმი და მოხარშული კარტოფილი.

მუშაობის მსვლელობა:

- შეეცადეთ, კარტოფილის ნაჭრებს ხელით გააცალოთ კანი. რით განსხვავდება სტრუქტურის მიხედვით კარტოფილის კანი და რბილობი?
- შეეცადეთ დააქუცმაცოთ კარტოფილის ნაჭრები.

ვიმსჯელოთ შედეგებზე:

შეადარეთ უმ და მოხარშულ კარტოფილზე დაკვირვების შედეგები. რით შეიძლება ეს განსხვავება აიხსნას?

ქსოვილი. ერთნაირი აგებულების, ნარმომშობისა და ფუნქციის მქონე უჯრედებისა და უჯრედშორისი ნივთიერების ერთობლიობას ქსოვილი ეწოდება. არსებობს ცხოველური და მცენარეული ქსოვილები.

მცენარეული ქსოვილები. ისინი იყოფა რამდენიმე ჯგუფად: ნარმომშობი, ძირითადი, მფარავი, გამტარი, მექანიკური და გამოყოფი.


ნარმომშობი ქსოვილი ანუ მერისტება (ბერძნ. *meristos* – გაყოფადი). ასეთი ქსოვილის უჯრედები წვრილია, თხელკედლიანი, მსხვილი ბირთვი აქვს და მუდმივად იყოფა. უზრუნველყოფს მცენარის მუდმივ ზრდას და დასაბამს აძლევს სხვა ქსოვილებს.

მფარავი ქსოვილი. იცავს მცენარეს დაზიანებისა და გარემოს არახელ-საყრელი ფაქტორების ზემოქმედებისგან. ფოთლებისა და ნორჩი ყლორტების ზედაპირი ნარმოქმნილია მფარავი ქსოვილის ერთ-ერთი სახით – კანით, ანუ ეპიდერმისით (ბერძ. *epi* – ზედ, *derma* – კანი). კანი შედგება გამჭვირვალე გარსით დაფარული ერთმანეთზე მიჯრილი ცოცხალი უჯრედებისგან. მცენარეთა კანით დაფარულ ორგანოებში აირთა ცვლა განსაკუთრებული ნარმონაქმნებით – ბაგეებით ხდება. შემოდგომაზე კანი მფარავი ქსოვილის სხვა ფორმით – საფევით (კორპით) იცვლება.


მცენარეული ქსოვილების ჯგუფები



მფარავი



ნარმომშობი




მექანიკური

საფევი. სქელგარსიანი მკვდარი უჯრედებია, გაულენთილია ცხიმისმაგვარი ნივთიერებით. საფევი მცენარეს გადახურებისა და გამოშრობისგან იცავს. საფევით დაფარულ მცენარეში აირთა ცვლა პატარა ბორცვისებური წარმონაქმნებით, მეჭეჭებით, ხდება. მცენარის ასაკთან ერთად საფევის სისქეც იზრდება.

მექანიკური ქსოვილი. მდებარეობს ღეროში, ყუნწსა და ფოთლის ძარღვებში. უზრუნველყოფს მცენარის სიმყარესა და დრეკადობას, ასრულებს საყრდენ ფუნქციას. ძირითადად შედგება მკვდარი (იშვიათად, ცოკხალი) უჯრედებისგან.

სახვის კანის
უჯრედები



შემოწილით ცოდნის გამოყენება

- გამოიყენეთ სახელმძღვანელოს ტექსტი და თქვენს სამუშაო რეეულებში შეავსეთ ცხრილი.

| ქსოვილი | მდებარეობა | ფუნქცია | უჯრედების თავისებურება |
|---------|------------|---------|------------------------|
| | | | |

რა შეიძლება

— უზრუნველყოფს მცენარეების მუდმივ ზრდას. — იცავს მცენარეს გარემოს არახელსაყრელი ფაქტორების ზემოქმედებისგან. — აძლევს მცენარეს სიმყარეს.

საკვანძო სიტყვები

წარმომშობი ქსოვილი / მფარავი ქსოვილი / მექანიკური ქსოვილი

შემოცველი თავისი ცოდნა

მოძებნეთ შესაბამისობა მცენარის ქსოვილსა და მის თვისებებს შორის.

- | | | |
|-----------------------|----|--|
| 1. მფარავი ქსოვილი | 5 | უზრუნველყოფს ფესვის სიმყარესა და ელასტიკურობას |
| 2. მექანიკური ქსოვილი | 6 | იცავს მცენარის შიდა ქსოვილებს მიკრობებისა და მტვრის ნანილაკების შეჭრისა და გაუწყლოებისგან. |
| 3. წარმომშობი ქსოვილი | 7 | წარმოადგენს წვრილ, თხელკედლიან, მსხვილბირთვიან უჯრედებს, რომლებიც მუდმივად იყოფა. |
| | 8 | უზრუნველყოფს მცენარის ზრდას. |
| | 9 | იცავს მცენარეს დაზიანებისა და გარემოს არახელსაყრელი ფაქტორების ზემოქმედებისგან. |
| | 10 | წარმოადგენს საყრდენს მცენარისა და მისი ორგანოებისთვის. |

13. მცენარის გამტარი, ძირითადი და გამოყოფი ქსოვილები

ადამიანები სიამოვნებით იყენებენ ბაობაბის გემრიელ, წვნიან რბილობს, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს. ეს უზარმაზარი ხე წვიმების სეზონზე დიდი რაოდენობით წყალს იგროვებს და ამიტომ ხანგრძლივ გვალვასაც მშვენივრად უძლებს. ტერმიტები (მწერები) ვერ აღწევენ ბაობაბის ქერქის შიგნით იმ სპეციფიკური სითხის წყალობით, რომელსაც ის ღრუბელივით გამოყოფს.

- რომელი ქსოვილი უზრუნველყოფს მცენარის ასეთ თვისებებს?
- მცენარის კიდევ რომელ ქსოვილს იცნობთ?
- რა ფუნქციას ასრულებს ეს ქსოვილები?

საქმიანობა. ხის პატარა ტოტი გარკვეული დროის განმავლობაში მოათავს ეთ შეფერილ წყალში. 2-3 დღის შემდეგ მასზე გააკეთეთ განივი და გასწვრივი განაკვეთი. რა შეამჩნიეთ?

გამტარი ქსოვილი. წყალი და მინერალური მარილები ვერტიკალურად, ღეროს მთელ სიმაღლეზე, ჭურჭლებით (ქსილების ჭურჭლებით) მიემართება. ისინი წარმოქმნილია სქელკედლიანი მკვდარი უჯრედებისგან, რომელთა შორის ტიხარი არ არის. ის ორგანული ნივთიერებები, რომლებიც მწვანე ფოთლებსა და ყლორტებში სინთეზდება, მცენარის სხვადასხვა ორგანოში ფლოემის (ლაფინის) საცრისებრი მილების საშუალებით გადაადგილდება. საცრისებრი მილების ცოცხალი უჯ-რედების ურთიერთდამაკავშირებელი ტიხრები საცერივითა დასვრეტილი.


პარენქიმა (ძირითადი ქსოვილი) შედგება თხელკედლიანი, ცოცხალი უჯრედებისგან. გვხვდება მცენარის ყველა ორგანოში და ავსებს სივრცეებს მათ შორის. ძირითადი ქსოვილი მონაწილეობს ნივთიერებების წარმოქმნასა და დაგროვებაში.

ა) მაფოტოსინთეზებელი ქსოვილი ძირითადი ქსოვილის ნაირსახეობაა. მისი უჯრედების ციტოპლაზმაში დიდი რაოდენობით ქლოროპლასტებია. ეს ქსოვილი მცენარის მწვანე ნაწილებში გვხვდება, განსაკუთრებით ფოთლებში. მისი ძირითადი ფუნქცია ფოტოსინთეზი და ორგანული ნივთიერებების წარმოქმნაა.

ბ) სამარაგო ქსოვილი. ამ ქსოვილის უჯრედებს აქვს მსხვილი ვაკუოლები, რომელთა წვენში გვხვდება სამარაგო საკვები ნივთიერებები – სახამებლის მარცვლები, ცხიმის წვეთები, შაქრის ხსნარი და სხვ. სამარაგო საკვები ნივთიერებები მცენარეების ზრდის პროცესში იხარჯება.

გამტარი ქსოვილი

ჭურჭლები



საცრისებრი მილები

მაფოტოსინთეზებელი ქსოვილი
(პარენქიმა)



გამომყოფი ქსოვილი. ეს ქსოვილი ქმნის მცენარეთა სანექტრეებს და არხებს, რომლებიც სხვადასხვა ნივთიერებას გამოყოფს. გამომყოფი ქსოვილის უჯრედებში ისეთი ქიმიური ნივთიერებებია, რომლებიც იზიდავს მწერებს, იცავს მცენარეებს, რომ ცხოველებმა არ შეჭამონ და სხვ.

შეკვეთი ცოდნის გამოყენება

მოძებნეთ შესაბამისობა ცხრილის სხვადასხვა სვეტში მოცემულ ინფორმაციებს შორის.

| ქსოვილი | ფუნქცია | აგებულება |
|---------------|---|---|
| 1. ნარმომშობი | ა) სიმტკიცის და საყრდენის უზრუნველყოფა | I. სქელედლიანი მკვდარი უჯრედები |
| 2. მფარავი | ბ) საკვები ნივთიერებების მომარაგება | II. მუდმივად გაყოფადი წვრილი უჯრედები |
| 3. მექანიკური | გ) დაცვა | III. ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრილი უჯრედები |
| 4. ძირითადი | დ) ზრდა | IV. უჯრედები ქმნის გამტარ მიღებს |
| 5. გამტარი | ე) წყლისა და ნივთიერებების გადაადგილება მცენარეში | V. უჯრედებში დიდი რაოდენობით ქლოროპლასტებია |

ჩავიდოთ

მცენარეებში ნივთიერებების ტრანსპორტი — დახმარებით ხდება. — ქსოვილი მცენარის ყველა ორგანოში გვხვდება. მცენარეთა სანექტრეები მიეკუთვნება — .

საკვანძო სიტყვები
გამტარი ქსოვილი
ძირითადი ქსოვილი
გამომყოფი ქსოვილი

შეამოხვათ თავისი ცოდნა

განსაზღვრეთ ჩამოთვლილი ობიექტების ქსოვილთა ჯგუფები:

- ჭადრის ღეროს გულგული (ღეროს შიგნითა რბილი ნაწილი);
- პომიდვრის რბილობი;
- ჭინჭრის ბუსუსები;
- ფესვის წვერი;
- ფოთლის ძარღვი.

14. ცხოველური ქსოვილები

ცოცხალი ორგანიზმების უმრავლესობას გარეგანი საფარველი აქვს. მაგალითად, სპილოს კანის სისქე 1,8 სმ აღწევს, ხოლო ნილოსის ბეჟემოტის კანისა – 2,5 სმ-ს.

- თქვენი აზრით, განსხვავდება თუ არა ცხოველებისა და მცენარეების მფარავი და სხვა ქსოვილები ერთმანეთისგან?

საქმიანობა. ცხოველებისა და მცენარეების მფარავი ქსოვილების შესწავლა.

- შეადარეთ ცხოველებისა და მცენარეების მფარავი ქსოვილების გამოსახულებები.
- აღნიშნეთ ამ ქსოვილების აგებულების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები.
- რატომ უწოდებენ ამ ქსოვილებს მფარავს?



ცხოველებში, ისე როგორც მცენარეებში, მსგავსი უჯრედების ჯგუფებს, რომლებიც ერთმანეთთან უჯრედშორისი ნივთიერებითაა დაკავშირებული, ქსოვილს უწოდებენ.

ცხოველური ქსოვილები. განასხვავებენ ცხოველური ქსოვილის ოთხ ტიპს – ეპითელურს, შემაერთებელს, კუნთოვანსა და ნერვულს.


ეპითელური ქსოვილი. შედგება ერთ ან რამდენიმე რიგად განლაგებული, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი უჯრედებისგან. ეს ქსოვილი ქმნის ცხოველის სხეულის საფარველს, კანის რქოვან წარმონაქმნებს (ფრჩხილებს, რქებს და სხვ.), გვევდება ჯირკვლებსა და სასუნთქ გზებში. აგებულების თავისებურებებისა და შესრულებული ფუნქციების მიხედვით არჩევენ ბრტყელ, ჯირკვლოვან, კუბურ, ნამწამოვან და სხვა სახის ეპითელურ ქსოვილს.

შემაერთებელი ქსოვილი. ქმნის ცხოველთა ორგანოების უმრავლესობას. შემაერთებელი ქსოვილი ორგანიზმში საყრდენ და დამცავ ფუნქციას ასრულებს. შესრულებული ფუნქციების მიხედვით განარჩევენ შემაერთებელი ქსოვილის შემდეგ სახეებს: ძვლოვანს, ხრტილოვანს, ცხიმოვანს, ბოჭკოვანს და სისხლს. შემაერთებელ ქსოვილებში, როგორც ნესი, დიდი რაოდენობითაა უჯრედშორისი ნივთიერება.

კუნთოვანი ქსოვილი. კუნთოვანი ქსოვილის შეკუმშვის საშუალებით ცხოველები მოძრაობენ, სისხლი სისხლძარღვებში მოძრაობს, საკვები საყლაპავ მილში გადაადგილდება. განარჩევენ გლუვ და განივზოლიან (ჩონჩხისა და გულის კუნთის) კუნთოვან ქსოვილებს.

ა) ეპითელური ქსოვილი

ჯირკვლების არხები ნამწამები



მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმი (კანი) ჯირკვლოვანი ეპითელიუმი (სასუნთქი) ნამწამოვანი ეპითელიუმი (ჯირკვლებში) გზები

ბ) შემაერთებელი ქსოვილი




ბოჭკოვანი ცხიმოვანი ხრტილოვანი სისხლი

ნერვული ქსოვილი. ნერვული ქსოვილის ძირითადი თვისება აგზნებადობა და აგზნების გატარებაა. ეს ქსოვილი ქმნის ცხოველთა ნერვულ სისტემას. ნერვული რეგულაციის წყალობით ორგანოები და ორგანოთა სისტემები ერთ მთლიანობას წარმოადგენს.

კუნთოვანი ქსოვილის სახეები




განივზოლიანი



გლუვი

ნერვული ქსოვილი



შეკვეთი ცოდნის გამოყენება

შეავსეთ ცხრილი.

| ქსოვილის სახე | მდებარეობა | აგებულების თავისებურებები | ფუნქციები |
|---------------|------------|---------------------------|-----------|
| ეპითელური | | | |
| შემაერთებელი | | | |
| კუნთოვანი | | | |
| ნერვული | | | |

რა შეიძლება

ცხოველთა ორგანიზმი შედგება —, —, — და — ქსოვილებისგან. ცალკეული ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების ერთობლივი მუშაობა უზრუნველყოფილია —.

საკვანძო სიტყვები

ეპითელური
შემაერთებელი
კუნთოვანი
ნერვული

შეამოცათ თავისი ცოდნა

1. მცდარი დებულებები შეცვალეთ მართებულით:

- კუნთები შემაერთებელი ქსოვილია.
- ნერვული ქსოვილის ძირითადი თვისება აგზნებადობა და კუმშვადობაა.
- ცხიმოვანი, ძვლოვანი, ხრტილოვანი ქსოვილები და სისხლი მიეკუთვნება ეპითელურ ქსოვილს.
- ორგანიზმის შინაგანი ღრუები ამოფენილია კუნთოვანი ქსოვილით.

2. ამოარჩიეთ სწორი პასუხები: 1) რომელი ქსოვილი ქმნის ცხოველთა კანის ზედაპირს? 2) რომელ ქსოვილს ახასიათებს აგზნებადობა და აგზნების გატარება? 3) რომელი ქსოვილის უჯრედებია ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი? 4) რომელ ქსოვილს მიეკუთვნება ადამიანის სისხლი და ძვლები? 5) რომელ ქსოვილს ახასიათებს კუმშვადობა?

⑤ შემაერთებელი;

⑥ კუნთოვანი;

⑧ ეპითელური;

④ ნერვული.

15. ცხოველთა ორგანოები და ორგანოთა სისტემები


ერთხელ ორგანოები შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, ხელმძღვანელი აერჩიათ. წამოდგა თავი და ამაყად განაცხადა: – ხელმძღვანელი მე უნდა ვიყო, მე ხომ ყველას ზემოდან დაყურებ, სწორედ ჩემია მართვის ცენტრი – ტვინი. – არა, მე ვარ ყველა თქვენგანზე ძლიერი. თუ ჩემი მძლავრი კუნთები ვერ გადაქაჩავს სისხლს, თქვენ ყველა დაიღუპებით, – წინ წამოიწია გულმა. – შეწყვიტეთ კამათი! – ჩაერია ღვიძლი. – ეს მე ვწმენდ სხეულს შხამებისგან, ჩემ გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია, ასე რომ, ხელმძღვანელი მე უნდა ვიყო. – ვითომ რატომ შენ? – აღშფოთდნენ ფილტვები. – აი, ახლავე შევწყვეტთ სუნთქვას და მაშინ ნახავთ, ვინ არის აქ მთავარი!

- როგორ ფიქრობთ, რომელი მათგანია მართალი ამ კამათში?

ცხოველთა ორგანოები და ორგანოთა სისტემები. ცხოველებში ქსოვილები ორგანოებს ქმნის. ორგანო (ბერძნ. *organon* – იარაღი, ინსტრუმენტი) – სხეულის ნაწილია, რომელსაც განსაზღვრული მდებარეობა აქვს ორგანიზმი, შედგება ქსოვილთა რამდენიმე ჯგუფისგან და ერთ ან რამდენიმე ფუნქციას ასრულებს. ერთმანეთთან კავშირში მყოფი ორგანოები, რომლებიც საერთო ფუნქციას ასრულებს, ორგანოთა სისტემას ქმნის.

საქმიანობა.

ორგანოთა რომელი სისტემებია გამოსახული სურათებზე? რომელი სისტემა უზრუნველყოფს ორგანოთა უჯრედებს საჭირო ნივთიერებებით, ქმნის პირობებს օრგანიზმიდან არასაჭირო და მომშეამველი პროდუქტების გამოსაყოფად? რა ფუნქციებს ასრულებს სურათებზე გამოსახული ორგანოთა სხვა სისტემები?



ძლივანი და კუნთოვანი სისტემა. ცხოველთა უმრავლესობისთვის ჩინჩის და მასზე მიმაგრებული კუნთები საყრდენ-მამოძრავებელ აპარატს ქმნის. კუნთების შეკუმშვას მოძრაობაში მოჰყავს ცხოველის სხეულის ცალკეული ნაწილები, ჩინჩის კი სხეულის საყრდენს ნარმოადგენს და შინაგან ორგანოებს დაზიანებისგან იცავს.

საჭმლის მომნელებელი სისტემა. ორგანიზმს მუდმივად მიეწოდება საკვები ნივთიერებები. საკვები სპეციალური საჭმლის მომნელებელი წვენებით იშლება

და მხოლოდ ასეთი სახით ითვისებს მას ორგანიზმი. ცხოველების უმრავლესობაში ამ პროცესებს საჭმლის მომნელებელი სისტემა ახორციელებს.


სასუნთქი სისტემა. აირთა ცვლა ორგანიზმში სასუნთქი სისტემის მეშვეობით ხორციელდება. გარემო პირობების ზეგავლენით ცხოველებს სხვადასხვა ტიპის სუნთქვის ორგანოები განუვითარდათ. ატმოსფერული ჰაერით სუნთქვისათვის მათ ფილტვებიდათ ტრაქეები ჩამოუყალიბდათ. წყალში მცხოვრებ ცხოველებს კი ლაყუჩჩები – წყალში გახსნილი უანგბადით სუნთქვისათვის საჭირო სპეციალიზებული ორგანოები – განუვითარდათ.

სისხლის მიმოქცევის სისტემა. უანგბადი (მწერების გარდა) და საკვები ნივთერებები უჯრედებს სისხლთან ერთად სისხლის მიმოქცევის სისტემის საშუალებით მიეწოდება. ცხოველების უმრავლესობის სისხლის მიმოქცევის სისტემა გულისა და სისხლძარღვებისაგან შედგება. სისხლი ორგანიზმიდან მავნე ნივთერებებისა და ნახშირორუანგის გამოყოფის პროცესშიც მონაწილეობს.

საჭმლის მომნელებელი სისტემა



სასუნთქი სისტემა.



გამომყოფი სისტემა. ორგანიზმში წარმოქმნილი არასაჭირო ნივთიერებები სხეულიდან გამომყოფი სისტემის საშუალებით გამოიდევნება. უხერხემლო ცხოველების გამომყოფი სისტემა, უპირატესად, წვრილი და ტოტვილი მიღავებითაა წარმოდგენილია. ხერხემლიანთა უმრავლესობაში გამომყოფ სისტემას ქმნის წყვილი თირკმელი, წყვილი შარდსაწვეთი, შარდის ბუშტი და შარდსადენი მილი.

სასქესო სისტემა. გამრავლების ორგანოების სისტემა (სასქესო სისტემა) ორგანიზმის მიერ თავისივე მსგავსის წარმოშობას უზრუნველყოფს. სასქესო ჯირკვლებში სპეციალიზებული სასქესო უჯრედები მწიფდება. მამრობითი და მდედრობითი სასქესო უჯრედების შერწყმით წარმოქმნება ახალი უჯრედი, რომლისგანაც ახალი ორგანიზმი ვითარდება.

ნერვული და ენდოკრინული სისტემები ყველა ორგანოს შეთანხმებულ მუშაობას არეგულირებს. გარდა ამისა, ცხოველების ნერვული სისტემა ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთკავშირს უზრუნველყოფს. ენდოკრინულ სისტემას მიეკუთვნება ჯირკვლები, რომლებიც ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს – ჰორმონებს, გამოიმუშავებს. ჰორმონები ყველა ორგანოსა და ორგანოთა სისტემების მუშაობაზე ახდენს ზეგავლენას.

ამრიგად, ცოცხალი ორგანიზმის ყველა ორგანო ფუნქციონირებს, როგორც ერთი მთლიანობა.

შექმნილი ცოდნის გამოყენება

მოძებნეთ შესაბამისობა ორგანოთა სისტემებსა და ორგანოებს შორის:
ა) საჭმლის მომნელებელი; ბ) გამომყოფი; გ) სისხლის მიმოქცევის; დ) ძვალ-კუნთვანი; ე) სასუნთქი.

1. ფილტვები;
2. გული;
3. კუნთები;
4. ნაწლავები;
5. ლაყუჩები;
6. კუჭი;
7. სისხლძარღვები;
8. ძვლები;
9. შარდის ბუშტი;
10. ტრაქეა;
11. თირკმელი.

რა შეიძლება

ორგანოების ერთიანობა ქმნის — .
ცხოველებს აქვთ —, —, —, —, —,
—, —, და — ორგანოთა სისტემები.

საკვანძო სიტყვები

ორგანოთა სისტემა
ძვალ-კუნთვანი სისტემა
საჭმლის მომნელებელი სისტემა
სასუნთქი სისტემა
გამომყოფი სისტემა
სისხლის მიმოქცევის სისტემა
სასქესო სისტემა
ნერვული სისტემა
ენდოკრინული სისტემა

შეამოცათ თავისი ცოდნა

1. ჩამონათვალში მოძებნეთ „ზედმეტი“ სიტყვა, თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ: ა) კუჭი, პირი, თირკმელი, ნაწლავი; ბ) გული, სისხლძარღვები, ფილტვები, სისხლი; გ) ნერვები, თავის ტვინი, პორმონები, ზურგის ტვინი; დ) თირკმლები, ტრაქეა, შარდასაწვეთები, შარდის ბუშტი.

2. განსაზღვრეთ, რას უნიდებენ სურათებზე გამოსახული ცხოველების სუნთქვის ორგანოებს. შეეცადეთ, აღწეროთ ისინი.

- წყლის ცხოველების აირთა ცვლის ორგანოები.
- ხმელეთზე მცხოვრები ხერხემლიანების ატმოსფერული ჰაერით სუნთქვის ორგანოები.
- წვრილი დატოტვილი მილაკების ქსელი, რომლებშიც ჰაერი მოძრაობს:

1. ფილტვები
2. ლაყუჩები
3. ტრაქეები.



| № | ორგანოს დასახელება | ფუნქცია |
|---|--------------------|---------|
| 1 | | |
| 2 | | |
| 3 | | |


შემაჯახებელი დაცვლებები

1. მოძებნეთ ტექსტში შეცდომა და დაწერეთ სწორი ვარიანტი:

- ციტოპლაზმა მყარი ნივთიერებაა, რომელიც უჯრედის ღრუს ავსებს;
- მცენარეულ უჯრედში არსებულ მწვანე პლასტიდებს ლეიკოპლასტები ეწოდება; • ციტოპლაზმაში არსებულ პარკს, რომელშიც უჯრედის წვენია, ბირთვი ეწოდება; • ბირთვი სიმტკიცეს სძენს მცენარეულ უჯრედს და იცავს მის შიგთავს; • უჯრედის კედლი მემკვიდრული ინფორმაციის მატარებელია.

2. აარჩით სწორი პასუხი: ა) ბაქტერია არის (ეუკარიოტი/პროკარიოტი);
ბ) ბაქტერია სპორას წარმოქმნის (ხელსაყრელ/არახელსაყრელ პირობებში);
გ) სხვა ცოცხალ ორგანიზმში მცხოვრებ ბაქტერიებს (პარაზიტებს/ცი-ანობაქტერიებს) უწოდებენ; დ) ბაქტერიული უჯრედი დაფარულია უჯრე-დის კედლით, როგორც (მცენარის/ცხოველის) უჯრედი; ე) ხელსაყრელი პირობებში ბაქტერიები იყოფა (ყოველ 20-30 წთ-ში/ყოველ 2-3 სთ-ში).

3. განსაზღვრეთ რომელ ორგანიზმებზე ლაპარაკობენ ბავშვები:



4. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები: ა) ყველაზე ხშირად იყოფა მცენარის — უჯრედები; ბ) — ქსოვილის ფუნქცია გარემოს მავნე ზემოქმედებისგან მცენარის დაცვაა; გ) ქსოვილს, რომელიც შედგება სქელი, გახევებული გარსის მქონე უჯრედებისგან და რომელიც წარმოადგენს საყრდენს მთლიანად მცენარისა და მისი ორგანოებისთვის, — ეწოდება. დ) მცენა-რეთა ფოთლებისა და ნაყოფის რბილობი შედგება — ქსოვილისგან.

საკვანძო სიტყვები: წარმოშობი, მექანიკური, ძირითადი, მფარავი.

5. რომელი ქსოვილებია დამახასიათებელი მხოლოდ ცხოველებისთვის? ამოარჩიეთ სამი სწორი პასუხი: а) მექანიკური; ბ) ნარმომშობი; გ) ნერვული; დ) კუნთოვანი; ე) ცხიმოვანი; ვ) ძირითადი.
6. რომელი ქსოვილი უზრუნველყოფს მცენარეთა და ცხოველთა კავშირს გარემოსთან? ა) ძირითადი; ბ) გამტარი; გ) მექანიკური; დ) მფარავი; ე) ნარმომშობი.
7. შეუსაბამეთ ბავშვების პასუხები დაფაზე წარმოდგენილ ნახატებსა და წარწერებს:



8. მოძებნეთ მართებული მტკიცება

1. საერთო საქმით გაერთიანებული ორგანოები ორგანოთა სისტემებს ქმნის.
2. გული, თირკმლები, ფილტვები – შინაგანი ორგანოებია;
3. გამომყოფი სისტემა უზრუნველყოფს აირთა ცვლას ორგანიზმში;
4. ორგანოების შეთანხმებულ მუშაობას უზრუნველყოფს ნერვული სისტემის ფუნქციონირება.

9. რომელ სტრიქონშია მოცემული ცხოველთა მხოლოდ საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოები?

- ა) თირკმლები, კუჭი, ფილტვები;
- ბ) კუჭი, ნაწლავები, ლაყუჩები;
- გ) შარდსაწვეთი, თირკმლები, ხახა;
- დ) ხახა, საყლაპავი მილი, კუჭი;
- ე) საყლაპავი მილი, თირკმლები, ნაწლავები.

16. ყვავილოვანი მცენარეების ძირითადი ორგანოები

ხის ცალკეული ნაწილები საუბრობდნენ. ერთ-ერთმა დაიტრაბახა, „მზის საუფლოში“ ვცხოვრობო და თან დასძინა, მთელ სიმძმეს და საზრუნავს ჩემი სუსტი მხრებით ვატარებო. მეორე ნაწილმა უპასუხა, მართალია, სიბრტყეში ვცხოვრობ, მაგრამ უფრო მეტად ვზრუნავ ხეზე, ვამაგრებ მას და ვაძლებინებ მთელი სიცოცხლის მანძილზე. როგორ ფიქრობთ, ხის რომელ ნაწილებს შორის გაიმართა ეს დიალოგი?

- რა ფუნქციები ახასიათებს ცოცხალ ორგანიზმებს?
- მცენარის რომელი ნაწილები ახორციელებს ამ ფუნქციებს?

საქმიანობა

ყვავილოვანი მცენარეების ირგვანოების შესწავლა.

ყურადღებით დაათვალიერეთ რომელიმე ცოცხალი მცენარე ან ჰერბარიუმის ეგზემპლარი და შეადარეთ ის სურათზე გამოსახულს.

შეკითხვებზე პასუხები სამუშაო რვეულში ჩაწერეთ.

- რა ნაწილებისგან შედგება მცენარე?
- რა თავისებურებები ახასიათებს მცენარის ნაწილებს?



ყვავილოვანი მცენარეების ძირითადი ორგანოები. ყვავილოვანი მცენარის შემადგენელი ორგანოებია: ფესვი, ღერო, ფოთოლი, ყვავილი, ნაყოფი, თესლი. ისინი მცენარეული ორგანიზმის ძირითადი ორგანოებია. ფუნქციის მიხედვით მცენარეული ორგანოები იყოფა ორ ჯგუფად – ვეგეტატიურ და გენერაციულ ორგანოებად.

ვეგეტატიური ორგანოები. ყვავილოვანი მცენარის ძირითადი ვეგეტატიური ორგანოებია: ფესვი, ღერო და ფოთოლი. ფესვი შემდეგ ფუნქციებს ასრულებს: ამაგრებს მცენარეს მიწაში, ნიადაგიდან შეინოვს წყალსა და მინერალურ მარილებს და ანვდის მიწისზედა ნაწილებს. ზოგიერთ შემთხვევაში საკვები ნივთიერებიც ფესვში გროვდება. ღეროზე მოთავსებულია ფოთლები და კვირტები. ღეროს ახალგაზრდა ნაწილს, რომელზეც განლაგებულია ფოთლები და კვირტები ყლორტს უწოდებენ. ღერო ახორციელებს კავშირს ფესვსა და ფოთლებს შორის და სინათლისკენ ატრიალებს ფოთლებს. ფოთლებში წარმოიქმნება ორგანული ნივთიერებები, მათი საშუალებით ხორციელდება აირთა ცვლა და წყლის აორთქლება. ფოთლებში წარმოქმნილი ორგანული ნივთიერებების ხარჯზე ხდება მცენარის ორგანიზმის ფორმირება.

გენერაციული ორგანოები. ორგანოებს, რომლებიც მონაწილეობს მცენარის სქესობრივ გამრავლებაში, მიეკუთვნება ყვავილი, თესლი და ნაყოფი. ყვავილი სახეცვლილი პატარა ყლორტია. ყვავილის მთავარი ნაწილებია ბუტკო (ყვავილის მდედრობითი ნაწილი) და მტკვრიანა (ყვავილის მამრობითი ნაწილი). ყვავილის ამ ნაწილებში წარმოქმნილი სასქესო უჯრედები შერწყმისას ქმნის ზიგოფთას (ბერძნ. zigote – შეწყვილებული). ზიგოფთისგან წარმოიქმნება ჩანასახი, რომელიც დასაბამს აძლევს ახალ მცენარეს. თესლი ორგანოების შემადგენელი ორგანოებია: ფესვი, ღერო და ფოთოლი. ფესვი შემდეგ ფუნქციებს ასრულებს: ამაგრებს მცენარეს მიწაში, ნიადაგიდან შეინოვს წყალსა და მინერალურ მარილებს და ანვდის მიწისზედა ნაწილებს. ზოგიერთ შემთხვევაში საკვები ნივთიერებიც ფესვში გროვდება. ღეროზე მოთავსებულია ფოთლები და კვირტები. ღეროს ახალგაზრდა ნაწილს, რომელზეც განლაგებულია ფოთლები და კვირტები ყლორტს უწოდებენ. ღერო ახორციელებს კავშირს ფესვსა და ფოთლებს შორის და სინათლისკენ ატრიალებს ფოთლებს. ფოთლებში წარმოიქმნება ორგანული ნივთიერებები, მათი საშუალებით ხორციელდება აირთა ცვლა და წყლის აორთქლება. ფოთლებში წარმოქმნილი ორგანული ნივთიერებების ხარჯზე ხდება მცენარის ორგანიზმის ფორმირება.

ნოა, რომელშიც ჩანასახი და სამარაგო საკვები ნივთიერებებია მოთავსებული. ნაყოფი იცავს თესლებს გარემოს არახელსაყრელი ფაქტორების ზე-მოქმედებისგან და ხელს უწყობს მათ გავრცელებას.



შეპარიტული ცოდნის გამოყენება

დაასახელეთ მცენარის ორგანოების სახელწოდებები და შეიტანეთ ცხრილში.

| მცენარის ორგანოები | ვეგეტატიური | გენერაციული |
|--------------------|-------------|-------------|
| a) | a) | |

რა შეიძლება

— მცენარეში უზრუნველყოფს სასიცოცხლო პროცესებს, ხოლო — გამრავლების პროცესს. სასქესო უჯრედები შერწყმისას წარმოქმნის —.

საკვანძო სიტყვები
გენერაციული ორგანოები
ვეგეტატიური ორგანოები
ზიგოტა

შეარცეთ თევარი ცოდნა

1. დაადგინეთ შესაბამისობა მცენარის ორგანოებსა და მათ ფუნქციებს შორის:

მცენარის ორგანოები: 1) თესლი; 2) ფოთოლი; 3) ფესვი; 4) ყვავილი;
5) ღერო; 6) ნაყოფი.

ფუნქციები: а) მცენარის დამაგრება ნიადაგში; ბ) ფოტოსინთეზი;
გ) სასქესო უჯრედების წარმოქმნა; დ) თესლის გავრცელება; ე) ფესვსა და ფოთოლებს შორის კავშირის დამყარება; ვ) ჩანასახის წარმოშობა.

2. გამოიყენეთ მცენარის ორგანოების ნებისმიერი წყვილის სახელწოდება და მოიყვანეთ მათი ურთიერთკავშირის მაგალითი.


მაგალითად: „თესლი არ წარმოიქმნება, თუ ყვავილის დამტ-ვერვა არ მოხდა“.

17. ყლორტისა და კვირტის აგებულება. კვირტის განვითარება

გაზაფხულზე, ალბათ, შეგინიშნავთ, რომ ხეებზე მწვანე წვრილი რტოები გამოდის. საინტერესოა, რას დაინახავთ, თუ ამ რტოებს ყურადღებით დაათვალიერებთ.

- მცენარის რა ორგანოებს იცნობთ?
- შეგვიძლია თუ არა, მწვანე რტოები მცენარის ორგანოდ ჩავთვალოთ?

საქმიანობა. ყურადღებით დაათვალიერეთ რომელიმე მცენარის ყლორტი და შეადარეთ ის ქვემოთ მოცემულ სურათზე გამოსახულს. რვეულში ჩაინერეთ ყლორტის ნაწილების სახელწოდებები.



ყლორტისა და კვირტის აგებულება. ყლორტი შედგება ღეროს, ფოთლებისა და კვირტებისგან. კვირტის გარე ზედაპირი დაფარულია ქერცლით. ქერცლი სახეცვლილი ფოთოლია და ყლორტს გარემოს არახელსაყრელი ზემოქმედებისგან იცავს. ქერცლის ქვეშ კვირტში ჩანასახოვანი ღეროა მასზე განლაგებული ჩანასახოვანი ფოთლებით. ლუპით ძნელად შესამჩნევ ფოთლის უბეში სულ პანანინა ჩანასახოვანი კვირტებია. ყლორტის წვერზე ზრდის კონუსი მდებარეობს, რომელიც ნაზი წარმომშობი ქსოვილისგან შედგება და ღეროს ზრდას უზრუნველყოფს.

კვირტის სახეები. ყლორტზე ადგილმდებარეობის მიხედვით არჩევენ კენწრულ და გვერდით კვირტებს. კენწრული კვირტი ყლორტის წვერზე მდებარეობს და მისგან მთავარი ღერო ვთარდება. გვერდითი კვირტებისგან მცენარის ტოტები ვითარდება. ფოთლის ყლორტზე მიმაგრების ადგილს მუხლს უწოდებენ, ხოლო ღეროს ნანილს ორ მუხლს შორის – მუხლითშორისს. კუთხეს, რომელსაც ფოთოლი და მის ზემოთ მდებარე მუხლითშორისი ფოთლის უბეს უწოდებენ, აქ განლაგებულ გვერდით კვირტებს კი უბის კვირტებს.

გვერდითი კვირტები შეიძლება მუხლითშორისზე, ფესვის ან ფოთლის ზედაპირზეც შეგვხვდეს. ასეთ კვირტებს დამატებითს უწოდებენ. ზოგჯერ გვერდითი კვირტები მოსვენებულ მდგომარეობაში რჩება და ნლების განმავლობაში არ ვითარდება. მათ მძინარე კვირტებს უწოდებენ. საჭიროების შემთხვევაში ისინი სწრაფად ვითარდება და დალუპულ კვირტებს ცვლის.


ვეგეტატიური და გენერაციული კვირტები. განვითარების ტიპის მიხედვით განასხვავებენ ვეგეტატიურ და გენერაციულ კვირტებს. ვეგეტატიური კვირტი მცირე ზომისაა, მის შიგნით ჩანასახოვანი ღერო, ფოთლები და კვირტებია. ასეთი კვირტებისგან ვითარდება ვეგეტატიური ყლორტები ფოთლებითა და კვირტებით. გენერაციული კვირტები ჩვეულებრივ დიდი

ზომისაა. ამ კვირტების წარმომშობი ქსოვილიდან ვითარდება ყვავილი ან ყვავილედი.

კვირტის განვითარება. გაზაფხულზე ყლორტზე განლაგებული კვირტები იძერება. კვირტის შიგნით არსებული „ნაწილები“, განსაკუთრებით კი ფოთლები და მუხლთშორისები, სწრაფად იზრდება. კვირტის ქერცლები გარკვეული დროის განმავლობაში დახურულია, შემდეგ ისინი იხსნება და ჩნდება ნორჩი ყლორტი პატარა ფოთლებით. კვირტის გახსნის შემდეგ ქერცლი ცვივა და მის ადგილას ვითარდება ნაჭდევი, რომელსაც კვირტის რგოლს უწოდებენ.

შექმნილი ცოდნის გამოყენება

თქვენი დაკვირვებისა და ქვემოთ მოყვანილი სურათების საფუძველზე რვეულში ჩანერეთ კვირტის განვითარების ეტაპები.



რა შეიძლება


ყლორტზე მოთავსებულია — და — კვირტებს, რომლებისგანაც ვითარდება ყლორტები, უწოდებენ —, ხოლო კვირტებს, რომელთა — განაც ვითარდება ყვავილი, უწოდებენ —.

საკვანძო სიტყვები

კენწრული კვირტი
გეერდითი კვირტი
ვაგეტატიური კვირტი
გენერაციული კვირტი

ზოგიერთ თევანი ცოდნა

1. რვეულში ჩანერეთ სურათებზე გამოსახული კვირტის ნაწილების სახელწოდებები. დაასახელეთ და შეადარეთ ისინი ერთმანეთს.



2. რვეულში ჩახატეთ ვაგეტატიური და გენერაციული კვირტები.

18. ლეროს შინაგანი აგებულება

წლიური რგოლების დახმარებით მცენარის ასაკის განსაზღვრა პირველად გენიალურმა იტალიელმა მხატვარმა ლეონარდო და ვინჩიმ (1452-1519) მოისაზრა. იგი ამტკიცებდა, რომ წლიური რგოლების რაოდენობა ხის ასაკს შეესაბამებოდა, რგოლების სიგანე კი – მშრალ და ტენიან პერიოდებს. მერქნის თვისებების – უჯრედების სიდიდის, მათი კედლების სისქისა და სხვა ნიშნების მიხედვით შეგვიძლია, ვიმსჯელოთ ამა თუ იმ პერიოდის კლიმატური პირობების შესახებ.

- რა ნაწილებისგან შედგება ლერო?
- რა ფუნქციებს ასრულებს ეს ნაწილები?

საქმიანობა 1. ლეროს აგებულების შესწავლა.

ალჭურვილობა: ალვის ხის ტოტი.

მუშაობის მსვლელობა:

- ალვის ხის ტოტზე გააკეთეთ გასწვრივი განაჭერი, მოაცილეთ გარეთა ფენა, მოსანჯეთ მისი სიმტკიცე. სამუშაო რვეულში ჩაწერეთ პასუხები კითხვებზე:
- რა ფუნქციას ასრულებს ეს ფენა?
- რას უწოდებენ ამ ფენას და რა ქსოვილისგან არის ის ნარმოქმნილი?

ლეროს შინაგანი აგებულება. ლერო შედგება ქერქის, კამბიუმის, მერქნისა და გულგულისგან.

ქერქი. ნორჩი მწვანე ლეროების ქერქის გარეთა შრეს თხელი კანი ნარმოადგენს. ასაკის მატებასთან ერთად (გამოზამთრებულ ლეროში) ის სხვა სახის მფარავი ქსოვილით – საფევით ანუ კორპით იცვლება. რადგან საფევის სქელკანიანი უჯრედები მზის სხივებს არ ატარებს, ლერო მწვანე შეფერილობას კარგავს. ქერქის შიდა ფენას, რომელიც მერქანს ემიჯვნება, ფლოემას (ლაფანს) უწოდებენ. ის საცრისებრი მილებისა და ლაფნის ბოჭკოებისგან შედგება.

კამბიუმი ლეროს სისქეში ზრდას უზრუნველყოფს. კამბიუმის უჯრედების გაყოფის შედეგად ქერქისა და მერქნის ახალი უჯრედები ნარმოიქმნება. ზომიერ კლიმატურ სარტყელში გაზრდილი ხეების კამბიუმის უჯრედების გაყოფა გაზაფხულზე იწყება და შემოდგომაზე მთავრდება. კამბიუმის „დამსახურებით“ ნარმოიქმნება მერქნის წლიური ნამატი, რომელიც კარგად შეგვიძლია გავარჩიოთ მერქნიან მცენარეებში და რომელსაც წლიური რგოლი ეწოდება.

საქმიანობა 2. გადახერხილი ხის ასაკის განსაზღვრა.

1. მონახეთ ხის წლიური რგოლები.
 2. დაითვალეთ წლიური რგოლების რაოდენობა ცენტრიდან ქერქის მიმართულებით და განსაზღვრეთ ხის ასაკი.
- ლეროს რომელ ფენაშია უპირატესად წლიური რგოლები?
 - კიდევ რის გარკვევა შეიძლება წლიური რგოლების დახმარებით?

ლეროს ძირითად ნაწილს მერქანი ქმნის. მასში მდებარეობს მერქნის ბოჭკოები და ჭურჭლები.

გულგულს ლეროს ცენტ-რალური ნაწილი უჭირავს. ის ძირითადად სამარაგო ქსოვილის ცოცხალი უჯრედებისან შედგება. გულგულიდან ლეროს სხვა ფენებისკენ მი-


ემართება გულგულის სხივები, რომლებიც კვების ფუნქციას ასრულებს. ზოგიერთ მცენარეს გულგული კარგად არ აქვს გამოხატული. მუხისა და თელას გულგული მკვრივია, ხოლო ანწლის – რბილი.



შექმნილი ცოდნის

გამოყენება

სურათის მიხედვით განსაზღვრეთ ლეროს ნაწილები.



რა შეიძლება

ლერო შედგება —, —, — და —. — უზრუნველყოფს ლეროს ზრდას სისქეში.

საკუანძო სიტყვები

ქერქი
კამბიუმი
მერქანი
გულგული

გამოვლენით თევზი ცოდნა

1. დაადგინეთ შესაბამისობა განმარტებებსა და ტერმინებს შორის: 1) კანი ან საფევი+ფლოემა. 2) ფენა, რომელიც ლეროს სისქეში ზრდას უზრუნველყოფს. 3) ლეროს გარეთა ფენა. 4) მოთავსებულია ლეროს ცენტრში. 5) მკვდარი უჯრედებისგან შემდგარი ქერქის ფენა.

- ა) ქერქი;
- ბ) გულგული;
- გ) კანი;
- დ) კამბიუმი;
- ე) საფევი.

2. მცდარი მსჯელობა შეცვალეთ მართებულით: 1) ლეროს ყველაზე ფართო ნაწილი გულგულია. 2) მერქნისაგან ქერქის მოცილებით ზიანდება კამბიუმი. 3) საფევი ხის ქერქს ქმნის. 4) ქერქი ძალიან მტკიცეა. 5) მერქანი ლეროს იცავს გარემოს არახელსაყრელი ფაქტორების ზემოქმედებისგან.

19. ფოთლის გარეგანი აგებულება. ფოთლების განლაგება

ზამთრის მიწურულს სკოლის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, სასკოლო ნაკვეთზე ვაშლის ბალი გაეშენებინათ. ბავშვებმა უამრავი ნერგი დარგეს. გაზაფხულზე კი გახარებული ნერგების მოვლისას აღმოაჩინეს, რომ, თურმე ვაშლის გარდა, სხვა მცენარეებიც დაურგავთ.

- თქვენი აზრით, როგორ მიხვდნენ ამას მოსწავლეები?

საქმიანობა 1. ფოთლის ზოგადი აგებულების შესწავლა.

ალტურვილობა: ოთახის და ჰერბარიუმის მცენარეები.

მუშაობის მსვლელობა:

- ყურადღებით დაათვალიერეთ ოთახის მცენარის ან ჰერბარიუმის ეგზემპლარის ფოთლები, შეადარეთ ისინი სურათზე გამოსახულს.
- დააკვირდით ფოთლის გაფართოებულ ნაწილს – ფირფიტას.
- ყურადღება მიაქციეთ ფოთლის წვერს, ძირს, კიდეებსა და ფორმას.
- სამუშაო რვეულში ჩაიხატეთ ფოთლები.



ვიმსჯელოთ შედეგებზე:


- როგორია ფოთლის აგებულება და რა მნიშვნელობა აქვს მას?
- რა როლს ასრულებს ფოთლები?

ფოთლების გარეგანი აგებულება. ფოთლი შედგება ფირფიტისა და ყუნისგან. მცენარეების უმრავლესობას ფოთლის ფირფიტა ყლორტზე ყუნწით აქვს მიმაგრებული. ყუნის ძირითადი ფუნქცია ფოთლის სინათლის მიმართულებით მიტრიალება და ნივთიერებების გადაადგილების უზრუნველყოფაა.

ზოგიერთ მცენარის ფოთლის ყუნი არ აქვს, მაგალითად, ალოეს, მიხაკის, სელის ფოთლებს. მათ მჯდომარე ფოთლებს უნიდებენ.

ყუნის ქვემო, შედარებით გაფართოებული ნაწილის ლეროსთან მიმაგრების ადგილს ფოთლის ძირი ჰქვია. ზოგიერთ შემთხვევაში ამ ადგილას ყუნის 2 პატარა თანაფოთოლაკი აქვს.

ფოთლის აგებულება



საქმიანობა 2. შეადარეთ ფოთლები, აღნიშნეთ განსხვავებები მათ აგებულებაში. გამოიტანეთ დასკვნა.



ფოთლების მრავალფეროვნება. ყუნწზე შეიძლება სხვადასხვა რაოდენობის ფოთლის ფირფიტა იყოს მიმაგრებული. თუ ყუნწზე მხოლოდ ერთი ფირფიტაა, ასეთ ფოთოლს მარტივი ეწოდება, თუ რამდენიმე – რთული. მარტივი ფოთლების მქონე მცენარეებია მუხა, არყის ხე, მზესუმზირა და სხვ. არსებობს რთული ფოთლის რამდენიმე სახე: ფრთართული, თათრთული და სამფოთოლაკიანი (სამწილიანი).

ფოთლის სახეები



მარტივი ფოთოლი


კენტფრთა- წყვილფრთა- რთული ფოთოლი



ფრთართული



რთული ფოთოლი



თათრთული სამფოთოლაკიანი

ფოთლების განლაგება (განყობა). ღეროზე ფოთლები შეიძლება გარკვეული თანამიმდევრობით იყოს განლაგებული: მორიგეობით, როცა ერთი ფოთოლი მეორეს მოსდევს, მოპირისპირედ, როცა ფოთლები ერთმანეთის პირისპირ არის განლაგებული და რგოლურად, როცა ერთ მუხლში სამი ან მეტი ფოთოლია. მორიგეობითი განყობა აქვს ვაშლს, ცაცხვს და არყის ხეს, მოპირისპირე – იასამანსა და ჭინჭარს, რგოლური – შვიტას, ოლეანდრისა და ხარისხურალას.

ფოთლების განლაგება ღეროზე



მორიგეობითი



მოპირისპირე



რგოლური

საქმიანობა 3. დაათვალიერეთ ოთახისა და ჰერბარიუმის მცენარის ფოთლების დაძარღვა. შეეცადეთ, სქემატურად გამოსახოთ ფოთლების დაძარღვა.

ვიმსჯელოთ შეძეგებზე.


- როგორ არის განლაგებული ძარღვები ფოთლებზე?

ფოთლების დაძარლვა. ფოთლებზე ძარღვების განლაგებას დაძარლვა ეწოდება. არსებობს ფოთლების დაძარლვის რამდენიმე ტიპი:

- პარალელური — მსხვილი ძარღვები ფოთლის ფირფიტაზე ერთმანეთის პარალელურად არის განლაგებული (ხორბალი, ლელქაში);
- რკალისებრი — ფოთლის თითოეული ძარღვი (ცენტრალურის გარდა) ფირფიტაზე რკალივით არის მოხრილი (შროშანა, მრავალძარლვა).
- ბადისებრი — დაძარლვას ბადის ფორმა აქვს (მუხა, ვაზი, ჭადარი).


ფოთლების დაძარლვა

1. პარალელური
2. რკალისებრი
- 3-4. ბადისებრი



შეკვეთი ცოდნის გამოყენება

გამოიყენეთ ტერმინები
სახელმძღვანელოს ტექსტიდან და
დაასრულეთ სქემა.




სა შეკვეთი

ფოთოლი შედგება — და — . ფოთლები იყოფა ორ ჯგუფად: — და — . ძარღვების განლაგებას ფოთლის ფირფიტაზე — ეწოდება.

საკუანძო სიტყვები
ფოთლის ფირფიტა
ყუნწი
მარტივი ფოთოლი
რთული ფოთოლი
ფოთლების დაძარლვა

შეამოვათ თავისი ცოდნა

შეადარეთ მოცემული
ფოთლები, შედეგები
ცხრილში შეიტანეთ.



| № | ყუნწის ფოთლის ფირფიტების რაოდენობა | ყუნწის არსებობა ან არარსებობა | დაძარლვის ტიპი | ფოთლის ფირფიტის ფორმა |
|---|--|----------------------------------|-------------------|--------------------------|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |

20. ფოთლის უჯრედული აგებულება

თუ მცენარეს დიდხანს გავაჩერებთ სიბნელეში, ფოთლები გაყვითლდება, ხოლო თუ დიდხანს არ მოვრწყავთ – დაჭკნება.

- თქვენი აზრით, რატომ ხდება ასე?
- როგორი სტრუქტურა, უნდა ჰქონდეს ფოთოლს, რომ თავისი ფუნქციები შეასრულოს?

საქმიანობა 1.

ლაბორატორიული სამუშაო: ფოთლის კანის უჯრედების აგებულება.

ალტურვილობა: ფოთლის განივი განაკვეთის მზა პრეპარატი; სინათლის მიკროსკოპი.

მუშაობის მსვლელობა: 1. მიკროსკოპით დაათვალიერეთ ფოთლის განივი კვეთის პრეპარატი. 2. ყურადღება მიაქციეთ ფოთლის უჯრედების სახეებს. 3. მონახეთ კანის უჯრედები, დააკვირდით მათ ფორმასა და აგებულებას. 4. მონახეთ ფოთლის ქვედა კანში არსებული ბაგეები და ნანახი რვეულში ჩახატეთ.


ვიმსჯელოთ შედეგებზე:

- რით განსხვავდება ფოთლის ზედა და ქვედა კანის უჯრედები?
- სად არის ყველაზე დიდი რაოდენობით ქლოროპლასტები?
- რით განსხვავდება ბაგეების უჯრედები ფოთლის სხვა უჯრედებისგან?
- პასუხები სამუშაო რვეულში ჩანერეთ.

ფოთლის შინაგანი აგებულება. ფოთოლი გარედან დაფარულია კანით, რომელიც გამჭვირვალე უჯრედებისგან შედგება. ზედა და ქვედა კანს შორის ფოთლის რბილობია. უშუალოდ ზედა კანის ქვეშ არსებულ უჯრედებს წაგრძელებული ფორმა აქვს. ეს მესრისებრი ქსოვილია. მასში დიდი რაოდენობითა ქლოროპლასტები. მესრისებრი ქსოვილის ძირითადი ფუნქცია ფოტოსინთეზია, ამიტომ იგი ფოთლის იმ მხარეს მდებარეობს, რომელიც მზისკენ არის მიმართული. მესრისებრი ქსოვილის ქვეშ მდებარე ქლოროპლასტებით შედარებით ღარიბი არასწორი ფორმის მქონე უჯრედები ღრუბლისებრ ქსოვილს ქმნის. ღრუბლისებრ ქსოვილში დიდი რაოდენობით უჯრედშორისი ღრუბლისა, რომელიც ჰქონითა სავსე.

ბაგეები. კანის ზოგიერთი მწვანედ შეფერილი უჯრედი ბაგეებს ქმნის. ხმელეთის მცენარეთა უმრავლესობას ბაგეები ფოთლის ქვედა ზედაპირზე აქვს განთავსებული; წყლის მცენარეებს, დუმფარასა და ვიქტორიას, ბაგეები ფოთლის ზედა მხარეზე აქვს, ხოლო ზამბახსა და კომბოსტოს – ფოთლის ორივე მხარეს. ბაგე ნაპრალისებრი ხერელია კანში, რომელიც გარშემორტყმულია ორი ნახევარმთვარისებრი მკეტავი უჯრედით. ბაგეების გახსნითა და დახურვით ხდება წყლის აორთქლებისა (ტრანსპირაციის) და აირთა ცვლის რეგულაცია.

ფოთლის შინაგანი აგებულება



ფოთლის ძარღვების აგებულება: მცენარის ფოთლები დაქსელილია ძარღვებით, რომლებიც გადის გამტარი კონებით (საცრისებრი მილები და ჭურჭლები). ფოთლებში წარმოქმნილი ორგანული ნივთიერებები საცრისებრი მილებით გადაადგილდება, ხოლო წყალი და მინერალური მარილები – ჭურჭლებით. გამტარი კონების შემადგენლობაში მექანიკური ბოჭკოებიც შედის, რომლებიც ფოთოლს სიმტკიცეს ანიჭებს.

შექმნილი ცოდნის გამოყენება

შეავსეთ ცხრილი:

| ფოთლის ნაწილები | ქსოვილის სახე |
|-----------------------------------|---------------|
| კანი | |
| მესრისებრი და ღრუბლისებრი ქსოვილი | |
| ჭურჭლები და საცრისებრი მილები | |
| გამტარი კონები ბოჭკოები | |

რა შეიძლება

ფოთოლი დაფარულია —. ფოთლის რბილობი ძირითადად წარმოქმნილია — და — ქსოვილით.

საკვანძო სიტყვები

კანი
მესრისებრი
ღრუბლისებრი

გამოყენების თვალი ცოდნა

1. შეცვალეთ მცდარი მსჯელობა მართებულით:
 - ა) კანი გამტარი ქსოვილია.
 - ბ) ბაგები ფოთლის რბილობშია განთავსებული.
 - გ) ფოთლის ძარღვები მხოლოდ ჭურჭლებისა და საცრისებრი მილებისგან შედგება.
 - დ) ჭურჭლებით გადაადგილდება ორგანული ნივთიერებების ხსნარები.

21. ფესვის აგებულება. ფესვებისა და ფესვთა სისტემების სახეები

ძალიან ძლიერი ქარის დროსაც კი ხეები ირჩევა და იხრება, მაგრამ იშვიათად ტყდება.

- რატომ ხდება ასე?
- რა აკავებს მცენარეს ასე მყარად ნიადაგში?

საქმიანობა.

ლაბორატორიული სამუშაო. ფესვის აგებულების შესწავლა.

ალქურვილობა: ლუპა, სკალპელი, ხორბლის ან მუხუდოს აღმონაცენი (ლივი).
მუშაობის მსვლელობა:

- დაათვალიერეთ ხორბლის ან ბარდის ღივი ჯერ შეუიარაღებელი თვალით, შემდეგ კი ლუპით.
- ყურადღება მიაქციეთ მუქი ფერის ოდნავ შემსხვილებულ ფესვის წვერს.
- კარგად დაათვალიერეთ ფესვის შუა ნაწილზე არსებული ბუსუსები.
- გაარკვიეთ მათი აგებულება.
- ნანახი ჩაიხატეთ რვეულში.


ფესვი მცენარის ვეგეტატიური ორგანოა, რომელიც მცენარის სიცოცხლის განვითარების მუდმივად იზრდება. ფესვის წვერი შალითითაა დაფარული, რომელიც მის ნაზე ქსოვილს მექანიკური დაზიანებისგან იცავს. ფესვის შალითა შედგება მუქად შეფერილი, ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი თხელკედლიანი უჯრედებისგან. ნიადაგის მკვრივი ნაწილაკებისგან დაზიანებული ფესვის შალითა წარმომშობი ქსოვილის უჯრედების მეშვეობით მუდმივად ახლით იცვლება.

ახალგაზრდა ფესვის ზონები. ფესვი სხვადასხვა სახის უჯრედებისგან შედგება. ამიტომ მას პირობითად ყოფენ ზონებად ესენია: დაყოფის ზონა, ზრდის ზონა, შთანთქმის ანუ შენოვის ზონადა გამტარი ზონა.

დაყოფის ზონა შედგება მსხვილი ბირთვისა და ციტოპლაზმის მქონე ახალგაზრდა უჯრედებისგან. აქ უჯრედები მუდმივად იყოფა და რაოდენობრივად მატულობს. შემდეგ ამ ზონაში წარმოქმნილი უჯრედები ქმნის ზრდის ზონას, რომლის საშუალებითაც ფესვი სიგრძეში იზრდება. დაყოფის ზონაში უკვე არსებობს ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი ჭურჭლები.

შენოვის ზონაში ჭურჭლები უკვე ჩამოყალიბებული სახითაა. ამ ზონის მფარავი ქსოვილის უჯრედებისგან წარმოიქმნება ე.წ. ფესვის ბუსუსები.

ფესვის ზონები



მათი დახმა-რებით ფესვი ნიადაგიდან წყალსა და მინე-რალურ მარილებს შეიწოვს. ბუსუსები სულ 10-20 დღე ცოცხლობს, შემდეგ კი კვდება.

ამის შემდეგ შეწოვის ზონის ადგილას წარმოიქმნება გამტარი ზონა. ამ ზონის უჯრედების საშუალებით წყალი და მინერალური ნივთიერებები ღეროსკენ მიემართება, ორგანული ნივთიერებები კი – ფესვისკენ.

ფესვთა სახეები. წარმოშობის მიხედვით განასხვავებენ მთავარ, გვერდით და დამატებით ფესვებს. მთავარი ფესვი თესლის ჩანასახოვანი ფესვიდან ვითარდება. ფესვები შეიძლება განვითარდეს მცენარის მიწისზედა ნაწილებზეც – ღეროსა და ფოთლებზე. ასეთ ფესვებს დამატებითი ეწოდება. გვერდითი ფესვები კი მთავარ და დამატებით ფესვებზე ვითარდება.

საქმიანობა 2. ფესვთა სისტემის შესწავლა.

ალტურვილობა: ბაბუანვერასა (ბურბუშელას) და ხორბლის ფესვების ჰერბარიუმის ეგზემპლარები.


მუშაობის შვლელობა:

- დაათვალიერეთ ბაბუანვერასა და ხორბლის ფესვები.
- დაადგინეთ მათ შორის განსხვავება.
- სქემატურად ჩახატეთ სამუშაო რვეულში.

ვიმჯელოთ შედეგებზე:

- რა სახის ფესვი ჩანს ბაბუანვერას ფესვში ყველაზე გარკვევით?
- გვხვდება თუ არა ასეთი ფესვი ხორბლის შემთხვევაში?

ფესვთა სახეები




ფესვთა სისტემები. ყველა სახის ფესვების ერთობლიობა ფესვთა სისტემას ქმნის. არსებობს ორი ტიპის ფესვთა სისტემა. თუ ფესვთა სისტემაში მთავარი ფესვი კარგად განირჩევა, სხვა ფესვებისგან მას მთავარლერძიანი ეწოდება. ასეთი ფესვთა სისტემა დამახასიათებელია მზესუმზირას, ბარდისა და ბაბუანვერასთვის.

ფუნჯა ფესვთა სისტემის დროს მთავარი ფესვი ან ადრე კვდება, ან დამატებითი და გვერდითი ფესვებისგან არ განირჩევა.

ფუნჯა ფესვთა სისტემა დამახასიათებელია მარცვლოვანებისთვის, მრავალძარღვასთვის და სხვ.



მთავარლერძიანი
ფესვთა სისტემა



ფუნჯა ფესვთა
სისტემა

შემარტივი ცოდნის გამოყენება

დაადგინეთ შესაბამისობა ცნებებსა და მათ განმარტებებს შორის.

| ცნება | განმარტება |
|-----------------------|--|
| ა) ფესვთა სისტემა | 1. ფესვები, რომლებიც წარმოიქმნება მთავარ და დამატებით ფესვებზე |
| ბ) მთავარი ფესვი | 2. ფესვი, რომელიც ჩანასახოვანი ფესვიდან ვითარდება |
| გ) გვერდითი ფესვები | 3. ფესვები, რომლებიც ღეროსა და ფოთლებიდან ვითარდება |
| დ) დამატებითი ფესვები | 4. ყველა სახის ფესვთა ერთობლიობა |

რა შეიძლება

ფესვების წვერი დაფარულია —. ყველა სახის ფესვთა ერთობლიობა ქმნის —.

საკვანძო სიტყვები

ფესვის შალითა

ფესვთა სისტემა

შეაძლეთ თქვენი ცოდნა

1. რა მინშვნელობა აქვს მცენარისთვის ფესვს? რა ზონებისგან შედგება ფესვი?
2. რა მიზინი განაპირობებს იმას, რომ ზოგიერთი მცენარის მთავარი ფესვი მკვეთრად განირჩევა სხვა სახის ფესვებისგან, ხოლო ზოგიერთის ფესვები არ განსხვავდება ერთმანეთისგან?
3. დააჯგუფეთ სურათზე გამოსახული მცენარეები ფესვთა სისტემების მიხედვით. დაასათაურეთ ცხრილის სვეტები.

| მცენარის სახელწოდება | ? | ? |
|----------------------|---|---|
| | | |



სამყურა ბაბუანვერა თივაქასრა



ბარდა



მრავალძარღვა



სიმინდი

22. მცენარის მიწისქვეშა ორგანოების სახეცვლილებები.

არსებობს ლეგენდა, რომ ინგლისში კარტოფილის გორგლები პირველად 1586 წელს მოხვდა. ისინი სამხრეთ ამერიკიდან ცნობილმა ადმირალმა ფრენსის დრეივმა შემოიტანა. ლეგენდის მიხედვით, ადმირალმა თავის მებალეს უბრძანა, გორგლები ჰალში დაერგო. როდესაც გაზაფხულზე მცენარემ მწვანე კენკრა გაიკეთა, მებალემ გასინჯა ისინი და მწარე მოეჩვენა. გაბრაზებულმა დრეივმა უბრძანა მებალეს, მცენარეები ფესვებიანად ამოეგლიჯა და განადგურებინა. მცენარეების ამოგლეჯისას მებალემ ყოველი მათგანის ქვეშ ისეთივე გორგლები აღმოაჩინა, როგორიც დარგო – ამოილო, გარეცხა და მოხარშა. როცა გასინჯა, ისე მოენონა, რომ წამოიძახა: „რა გემრიელი მცენარეა!“ ამბობენ, რომ სწორედ ამის შემდეგ დაკვიდრდა კარტოფილი, როგორც გემრიელი და სასარგებლო საკვები პროდუქტი.

- კიდევ რომელი მცენარის მიწისქვეშა ნაწილები გამოიყენება საკვებად?

ზოგიერთი მცენარის მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილები გარემოს ზეგავლენით სახეს იცვლის.

საქმიანობა 1.

- ჯერ შეუიარაღებელი თვალით, შემდეგ კი ლუპით დაათვალიერეთ გლერტის მიწისქვეშა ნაწილი – ფესურა.
- მიაქციეთ ყურადღება მის მსგავსებას ფესვთან. რით განსხვავდება ფესურა ფესვისგან?
- დაათვალიერეთ ფესურის მუხლები და კვირტები, ასევე ქერქლისმაგვარი ფოთლები.

ვიმსჯელოთ შედეგებზე:

- რატომ არ არის ფესურა ფესვი, მიუხედავად მათი მსგავსებისა?

ყლორტის სახეცვლილებები. ზოგჯერ მიწისქვეშა ყლორტები სახეს იცვლის იმიტომ, რომ მათში სამარაგო ნივთიერებები გროვდება. ყლორტის (ღეროს) ასეთი სახეცვლილებებია ფესურა, გორგლიდა ბოლქვი.


ფესურა. ისევე, როგორც მიწისზედა ყლორტებს, ფესურასაც აქვს კენწრული და გვერდითი კვირტები, აგრეთვე სახეცვლილი ქერქლისმაგვარი ფოთლები. ზრდა-განვითარებისას მცენარე ფესურაში დაგროვილ საკვებ ნივთიერებებს იყენებს. ფესურა აქვს გლერტას, შროშანას, ვირისტერფას, ჭანგასა და ჭირჭარს.

გორგლები მიწისქვეშა ყლორტების წვერების გამსხვილების შედეგად წარმოიქმნება. გორგლებში სახამებლის მარაგი გროვდება. გორგლები აქვს კარტოფილსა და მინავაშლას.

საქმიანობა 2. გაჭერით ხახვის ბოლქვი ორ ნაწილად, დაათვალიერეთ კენწრული და გვერდითი კვირტები. ჩაიხატეთ ნანახი სამუშაო რვეულში. ტექსტის გაცნობის შემდეგ ბოლქვის ნაწილებს შესაბამისი დასახელებები მიაწერეთ.

ბოლქვი. ბოლქვს ფარავს გარეთა მშრალი ქერქლი (1), რომელიც დამცველობით ფუნქციას ასრულებს. თავიანი ხახვის დამოკლებულ ღეროს ძირი (3) ენოდება. მასზე მჭიდროდაა მიმაგრებული მრავალი ხორციანი ფოთოლი-ქერქლი (2), რომლებიც შეიცავს წყალს, შაქრის ხსნარს და სხვა სამარაგო საკვებ ნივთიერებებს. ძირიდან იზრდება დამატებითი ფესვები (4), ძირზეა მიმაგრებული კენწრული კვირტი (5), ხოლო ხორციანი ქერქლების უბეებში კი — უბის კვირტები (6). ხახვის გარდა ბოლქვიან მცენარეებს მიეკუთვნება ნიორი, ტიტა, სუმბული, ნარგიზი, ჩიტისთავა და სხვ.

სახეცვლილი ყლორტები



სახეცვლილი ფესვები. ღეროს მსგავსად, სამარაგო საკვები ნივთიერებების დაგროვება მცენარეთა სახეცვლილ ფესვებშიც ხდება. ასეთი ფესვები სწრაფად იზრდება და უცნაურ ფორმას იღებს. თუ საკვები ნივთიერებები მთავარ ფესვში გროვდება (ზოგიერთ შემთხვევაში ღეროს ქვედა ნაწილში), ნარმოიქმნება ძირხვენები, ხოლო თუ საკვები ნივთიერებები გვერდით ან დამატებით ფესვებში გროვდება, ნარმოიქმნება ფესვ-გორგლები. ძირხვენიანი მცენარეებია ჭარხალი, სტაფილო, თალგამი, ხოლო ფესვ-გორგლიანი მცენარეებია ჩანყობილა-ბაია და გეორგინა.

სახეცვლილი ფესვები



შეკვეთი ცოდნის გამოყენება

შეადარეთ ერთმანეთს მიწისქვეშა ყლორტები. პასუხები ცხრილში შეიტანეთ.

| მიწისქვეშა ყლორტები | განმასხვავებელი ნიშნები | | |
|---------------------|-------------------------|--------|--------|
| | ღერო | ფოთოლი | კვირტი |
| ბოლქვი | | | |
| გორგლი | | | |
| ფესურა | | | |

რა შეიძლება

მიწისქვეშა ყლორტები და ფესურები, რომლებიც
იმარაგებენ საკენებ ნივთიერებებს,
წარმოადგენს — და —.


საკვანძო სიტყვები
სახეცვლილი ყლორტები
სახეცვლილი ფესურები

შეამოცათ თავისი ცოდნა

1. შეავსეთ ცხრილი

| ფესურის სახეცვლილება | ფუნქციები | მცენარის სახელწოდება |
|----------------------|-----------|----------------------|
| | | |

2. რა არის სურათზე გამოსახული? რვეულში ჩაწერეთ მითითებული
ნაწილების ნომრები და შესაბამისი სახელწოდებები.



გადათილის შემდეგ

დამოუკიდებლად ჩაწერეთ ცდა:

- თავიანი ხაზის ბოლქვი მოათავსეთ მუყაოს რგოლში და ასე ჩაუშვით ნებლიან ჭიქაში.
- ყოველ მესამე დღეს ჩაიწერეთ და ჩაიხატეთ ექსპერიმენტის შედეგები (ორი კვირის განმავლობაში).



23. მცენარეების მიწისზედა ორგანოების სახეცვლილებები

მცენარეთა სამყაროს ერთი-ერთი საოცრება მწერიჭამია მცენარეებია. ისინი სახეცვლილი მიწისზედა ორგანოებით ახერხებენ მწერების დაჭერას. ერთ-ერთი ასეთი მცენარე – ბუშტოსანა – აზერბაიჯანშიც არის გავრცელებული. ამ მცენარეს, რომელიც დამდგარ წყალში იზრდება, არ აქვს ფესვი. ფოთლების წვერზე პატარა ბუშტუკები აქვს განვითარებული, რომელთა საშუალებითაც იჭერს და ინელებს კიდევ მწერებს.



- მცენარის მიწისზედა ორგანოების კიდევ რა სახეცვლილებები არსებობს?
- რით არის ასეთი სახეცვლილებები განპირობებული?

საქმიანობა 1. დაათვალიერეთ გვალვაგამძლე მცენარე კაქტუსი. გამოარკვიეთ, რა სახეცვლილებები ჩამოუყალიბდა კაქტუსს მშრალ კლიმატურ პირობებში არსებობის გამო.




ვიმსჯელოთ შედეგებზე:

- რით განსხვავდება კაქტუსი სხვა მცენარეებისგან?
- თქვენი აზრით, რა ორგანო კაქტუსის ეკალი?
- რომელ ორგანოში მიმდინარეობს ფოტოსინთეზის პროცესი?
- როგორ ფიქრობთ, რა მნიშვნელობა აქვს კაქტუსისთვის ხორციან ლეროს?

გარემო ფაქტორების ზეგავლენით მცენარის ორგანოებმა შეიძლება გარკვეული ცვლილებები განიცადოს. სწორედ ასეთი ზემოქმედების შედეგია მცენარის სახეცვლილი მიწისზედა ორგანოები.

საქმიანობა 2. მცენარეთა

ფოთლების რა ტიპის
სახეცვლილებებია სურათზე
გამოსახული?



თეთრთავიანი
კომბოსტო

ბარდა



კაქტუსი

კუნელი

საკვები ნივთიერებების მომარაგება. ღეროს მსგავსად, ფოთოლმაც შეიძლება იცვალოს სახე საკვები ნივთიერებების მომარაგების მიზნით. ამის მაგალითია კომბოსტოს ქვედა (შიგნითა) ფურცლები.

წყლის მომარაგება. კაქტუსისა და აფრიკული ჯულაბის ღერომ, ალოესა და აგავის ფოთლებმა ჰქელდა უწყლო კლიმატურ პირობებში არსებობის გამო სახე-ცვლილება განიცადა და წყლის სამარაგო ორგანოებად გადაიქცა.


ეკლები და ქაცვები. წყლის აორთქლების შესამცირებლად კაქტუსის, კონახურისა და თეთრი აკაციის ფოთლები ეკლებად გადაიქცა, ფიჭვისა და კვიპაროსისა – წინვებად.

ველურ მსხალს, ხეჭრელსა და კუნელსაც აქვს ეკლები (ქაცვები), მაგრამ ისინი წარმოიქმნა არა ფოთლებისგან, არამედ მცენარის დამოკლებული ყლორტებისგან. ასეთი ეკლები არა მარტო წყლის ჭარბი აორთქლებისგან იცავს მცენარეს, არამედ ბალახისმჭამელი ცხოველებისგანაც.

ულვაშები. მცენარეებს, რომლებსაც სუსტი ღერო აქვს, უჭირს მინის ზემოთ ვერტიკალური მდგომარეობის შენარჩუნება. იმისათვის, რომ ასეთმა მცენარეებმა ფოთლები მზისკენ მიმართოს, სპეციალური საშუალებები – ულვაშები – აქვს საყრდენთან მისამაგრებლად. ულვაშები ღეროს ან ფოთლისგანაა წარმოქმნილი. მცენარეებს, რომლებსაც ღეროსგან წარმოქმნილი ულვაშები აქვს, მიეკუთვნება ვაზი, საზამთრო, ნესვი, გოგრა. ბარდისა და ცულისპირას ულვაშები კი, რომლებითაც ეს მცენარეები საყრდენს ეხვევა,

იფითოუ ანა, ჩინჩი? მწერიჭამია მცენარეები ძირითადად ავტოტროფულად იკვებება. თუმცა ასეთ მცენარეებს აზოტზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მწერების დასაჭერი სპეციალური სახეცვლილი ორგანოები აქვს. ასე, მაგალითად: დრო ზერას (1) ფოთლებზე მონითალო ფერის ჯირკვლოვანი ბუსუსები აქვს. მათ მიერ გამოყოფილი წებოვანი სეკრეტის საშუალებით მცენარე იჭერს და ინელებს მწერს. ვენერას ბუზიჭერიას (2) ორნაკვთიანი, დაკბილულკიდებიანი ფოთლები აქვს. ფოთოლთან მწერის შეხებისას ფოთლის ნაკვთები იკეცება და საჭმლის მომნელებელ სითხეს გამოყოფს.

ტროპიკულ აზიაში გავრცელებულ მცენარე წებოვანტესს (3) გააჩნია სახე-ცვლილი ფოთოლი, რომელიც ფორმით ქილას წააგავს. ის გამოყოფს არომატულ ნექტარს, რომელიც მწერების მისაზიდად სჭირდება. ცვილი-სებრ ნივთიერებაში მოხვედრილი მწერი დაბლა მისრიალებს და საჭმლის მომნელებელ წვენში იძირება.



მათი ფოთლებისგან წამოიქმნა. მარწყვი გამრავლებისთვის იყენებს ულვა-შებს, რომლებიც სახეცვლილ ღეროს წარმოადგენს. სუროს კი საყრდენზე მიმაგრება დამატებითი ფესვების საშუალებით შეუძლია.

ხაფანგი. აზოტით დარიბ ნიადაგებზე იზრდება მცენარეები, რომლებსაც ფოთოლი დამჭერ ორგანოდ – ხაფანგად – გადაექცა. მწერებით კვება მათ აზოტის ნაკლებობას უნაზღაურებს. ასეთი მცენარეებია დროზერა, ნეპენ-ტესი, ბუზიჭერია და სხვ.

შემარტივი ცოდნის გამოყენება

გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ ცხრილი „მცენარეთა სამარჯვები“.

| მცენარის სახელწოდება | სახეცვლილი ორგანო | მნიშვნელობა მცენარისათვის |
|-------------------------|------------------------------|--|
| ბარდა | | საყრდენზე მიმაგრებისათვის |
| | ეკლად გადაქცეული ფოთოლი | |
| კუნელი | | ბალახისმჭამელი ცხოველებისგან თავდასაცავად |
| | ულვაშად სახეცვლილი ყლორტი | |

რა შეიძლება

ველური მსხლისა და კუნელის ეკლები (ქაც-ვები) წარმოადგენს —, ხოლო ბარდის ულვაშები და კაქტუსის ეკლები კი —.

საკვანძო სიტყვები
სახეცვლილი ღერო
სახეცვლილი ფოთოლი

შეამოცათ თავისი ცოდნა

1. მიუთითეთ, მცენარის რომელმა ორგანომ განიცადა სახეცვლილება. რით არის ეს სახეცვლილება განპირობებული?



2. ამოარჩიეთ მართებული ვარიანტი:

- **ბარდის / კომბოსტოს** კენწრული ფოთლები გადაიქცა ულვაშებად, რათა მცენარე ვერტიკალურ მდგომარეობაში დაემაგრებინა.
- **ვაზის / კაქტუსის** ეკლები მცენარეს წყლის გადაჭარბებული აორთქლებისგან იცავს.
- **ჭინჭარი / ნეპენტესი** მწერიჭამია მცენარეებს მიეკუთვნება.

შემაჯამებელი დავალებები

1. დააჯგუფეთ ფოთლები:

| | | | | | | |
|-----------------|--|--|--|---------------|--|--|
| | | | | | | |
| მარტივი ფოთლები | | | | რთული ფოთლები | | |

2. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები. დაიხმარეთ ჩამონათვალი: მომრგვალო, ჩამკეტი, მესრისებრი, ღრუბლისებრი, წაგრძელებული.

- ფოთლის მესრისებრი ქსოვილის ქვეშ მდებარეობს – ქსოვილი.
- ფოთლის კანის ქვეშ მდებარეობს – ქსოვილი.
- ბაგები წარმოქმნილია ორი – უჯრედით.
- მესრისებრი ქსოვილის უჯრედები – ფორმისაა.
- ღრუბლისებრი ქსოვილი წარმოქმნილია – ფორმის უჯრედებით.

3. ამოარჩიეთ სწორი პასუხი:

- 1) ღეროს გვერდითი კვირტები არის **უბის/კენწრული**.
- 2) კვირტს, რომელშიც ჩანასახოვანი ყვავილია, უწოდებენ **ვეგეტატიურს / გენერაციულს**.
- 3) მცენარის ვეგეტატიურ ორგანოს წარმოადგენს **ფოთოლი/ნაყოფი**.
- 4) ფოთოლსა და ყლორტს შორის კუთხეს უწოდებენ ფოთლის **უბეს/მუხლთშორისს**.

4. ღეროს ნაწილების სახელწოდებები (დაწყებული ღეროს ცენტრიდან) დაალაგეთ სწორი თანამიმდევრობით.

ა) მერქანი

ბ) გულგული

გ) საფევი (კორპი)

დ) კამბიუმი

ე) ფლოემა (ლაფანი)

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

5. რომელია ღეროს სახეცვლილება? ამოარჩიეთ ორი პასუხი:

- ა) ფესურა; ბ) ბოლქვი; გ) ფესვ-გორგლი; დ) ძირხვენა.

6. განსაზღვრეთ მცენარეთა ფოთლებისა და ყლორტების სახეცვლილებები.

ამოიწერეთ მცენარეებისა და სახეცვლილი ორგანოების სახელწოდებები.



თავი 4

მცენარეთა გენერაციული ორგანოები

24. ყვავილი

ყვავილები ყოველთვის იზიდავდა ადა-მიანებს თავისი სილამაზითა და სურ-ნელით. ადამიანმა ჯერ კიდევ ექვსი ათასი წლის წინ დაიწყო ყვავილების გამოყენება თავისი საცხოვრებლის გასაღამაზებლად. ჩვენამდე მოსული ისტორიული გადმოცემის თანახმად, პირველი დეკორატიული მცენარეები ვარდი და ლოტოსი იყო. ლოტოსის გამოსახულებები ამშვენებდა ძველეგვიატური სასახლეებისა და ტაძრების სვეტებს, ამოტვიფრული იყო მონეტებზე.



- რა არის ყვავილი?
- რა მნიშვნელობა აქვს მას მცენარისთვის?

საქმიანობა. ყვავილის აგებულება.

ალქურვილობა: ოთახის აყვავებული მცენარე.

მუშაობის მსვლელობა:

1. ყურადღებით დაათვალიერეთ ოთახის მცენარის ყვავილი.

2. ყურადღება მიაქციოთ მის ზომას, ნაწილებს, ფერს, სურნელს.

დაფიქტდით, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ყვავილს მცენარისათვის.

ვიძეჯელოთ შედეგებზე:


• ყვავილის რა ნაწილებს იცნობთ?

• მათი აგებულების რა თავისებურებებზე შეგიძლიათ მოგვითხროთ?

ყვავილის აგებულება. ნებისმიერი ყლორტის მსგავსად, ყვავილიც კვირტის-გან ვითარდება. ყვავილის ნაწილებია: ყვავილის ყუნწი(1), ყვავილსაჯდომი(2), ჯამის ფოთოლაკები(3), გვირგვინის ფურცლები(4), მტვრიანები(5) და ბუტკო(6). ყვავილის ყუნწი ყვავილს ღეროსთან აერთებს. ყვავილსაჯდომი ყუნწის გაფართოებული ნაწილია, რომელზეც მოთავსებულია ყვავილის ყველა ნაწილი. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში ის დამცავ ფუნქციასაც ასრულებს. ყვავილის მწვანე ფოთოლაკებს ჯამის ფოთოლაკებს უწიდებენ, ხოლო ნაირფრად შეფერილებს – გვირგვინის ფურცლებს. ყვავილის ჯამის ფოთოლაკების ერთობლიობა ჯამს ქმნის, ხოლო გვირგვინის ფურცლების ერთობლიობა – გვირგვინს. გვირგვინი იზიდავს მწერებს და იცავს ბუტკოსა და მტვრიანებს. ჯამი და გვირგვინი ერთად ქმნის ყვავილსაფარს.

ყვავილის ძირითადი ნაწილები. ყვავილის შიგნით მოთავსებულია ბუტკო და მტვრიანები. თითოეული მტვრიანა შედგება მტვრიანის ძაფისა(7) და სამტვრებარებისგან(8), რომელშიც მწიფდება მტვრის მარცვლები. ბუტკო შედგება ქვედა გამსხვილებული ნასკვის(9), წვრილი ცილინდრული სვეტისა(10) და სხვადასხვა

ყვავილის აგებულება



ფორმის დინგისგან (11). დინგი მოთავსებულია სვეტზე. დამტვერვის დროს მასზე მტკვრის მარცვლები ხვდება. ნასკვის ღრუში მოთავსებულია ერთი ან რამდენიმე თესლკვირტი (12).

სრული და არასრული ყვავილები. ტირიფის, იფნის, ვერხვის, კაკლის ხის, თხილისა და ზოგიერთი სხვა მცენარის ყვავილს არ აქვს ყვავილსაფარი. ასეთ ყვავილებს არასრულს (უსაფროს) უწოდებენ, ხოლო ყვავილებს, რომლებსაც ყვავილსაფარი აქვს – სრულს. ყვავილსაფარს, რომელსაც ჯამის ფოთოლაკებიც აქვს და გვირგვინის ფურცლებიც, ორმაგყვავილსაფრიანს უწოდებენ. ასეთი ყვავილები აქვს ვაშლს, ბალს, კომბოსტოს, ვარდს და სხვ. ზოგიერთი მცენარის (ტიტის, ზამბახის, ნარგიზის, შროშანას) ყვავილსაფარი ერთნაირი გვირგვინის ფურცლებისგან შედგება. ასეთ ყვავილსაფარს მარტივი ეწოდება.

ორსქესიანი და ცალსქესიანი ყვავილები. ბუტკოსა და მტკვრიანების არსებობის მიხედვით ყვავილები შეიძლება იყოს ორსქესიანი ან ცალსქესიანი. ორსქესიანია ყვავილი, რომელსაც აქვს ბუტკოცა და მტკვრიანებიც. ასეთი ყვავილები აქვს ვაშლს, ვარდს, ბარდას. ერთსქესიანია ყვავილი, რომელსაც აქვს მხოლოდ ბუტკო ან მხოლოდ მტკვრიანები. მცენარეებს, რომელთა ცალსქესიანი ყვავილები, მამრობითიც (მტკვრიანებიანი) და მდედრობითიც (ბუტკოიანი), ერთსა და იმავე მცენარეზეა განვითარებული, ერთსახლიან მცენარეებს უწოდებენ. ასეთია მაგალითად, არყი, თხილი, სიმინდი, კიტრი და სხვ. მცენარეებს, რომელთაც მამრობითი და მდედრობითი ყვავილები განლაგებული აქვს სხვადასხვა მცენარეზე, ორსახლიან მცენარეებს უწოდებენ. ასეთია მაგალითად, ვერხვი, ტირიფი, ჭინჭარი, კანაფი და სხვ.

ტირიფის ყვავილედი



მტკვრიანებიანი ბუტკოიანი ყვავილები ყვავილები

შემავის ცოდნის გამოყენება

გადაიტანეთ სქემა რვეულში. სწორად შეაერთეთ მარცხენა და მარჯვენა სვეტში მოცემული ცნებები.

- ა) ყვავილის ძირითადი ნაწილები
- ბ) ყვავილსაფარი
- გ) ბუტკო
- დ) მტვრიანა

- 1 ჯამის ფოთოლაკები
- 2 სვეტი
- 3 ბუტკო და მტვრიანები
- 4 გვირგვინის ფურცლები
- 5 ნასკვი
- 6 სამტვრე პარკი
- 7 მტვრიანას ძაფი
- 8 დინგი

რა შეიძლება

— და — ყვავილის მთავარი ნაწილებია.
ყვავილსაფრის აგებულების მიხედვით ყვავილები
იყოფა — და —. ჯამი და გვირგვინი ერთად ქმნის
—.

საკვანძო სიტყვები
მტვრიანა
ბუტკო
ყვავილსაფარი
სრული ყვავილები
არასრული ყვავილები

შეაძლეთ თქვენი ცოდნა

1. შეადარეთ ყვავილები. გადაიხატეთ ისინი რვეულში. განსაზღვრეთ მათ
შორის მსგავსება და განსხვავება. დაახასიათეთ თითოეული მათგანი.



2. გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და ჩანსერეთ სახელწოდებები შესაბამის
სვეტებში:

ფესვი; ღერო; გვირგვინის ფურცლები; ბუტკო; ნაყოფი; ყვავილი; ჯამის
ფოთოლაკები; მტვრიანა; ყვავილსაჯდომი; თესლი.

| | |
|--------------------|-------------------|
| მცენარის ორგანოები | ყვავილის ნაწილები |
| | |

25. ყვავილები



ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ხშირად ღეროზე ყვავილები ჯგუფებად არის განლაგებული.

- სურათებზე გამოსახულ ყვავილებს შორის რომლებია ჯგუფურად განლაგებული?
- თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს მცენარისთვის ჯგუფურად განლაგებულ ყვავილებს?

ყვავილედი. ჩვეულებრივ, ყვავილები ღეროზე სათითაოდ ან ჯგუფურადაა განლაგებული. საყვავილე ღეროზე ჯგუფურად განლაგებულ ყვავილთა კრებულს ყვავილედი ეწოდება. ყვავილედი შეიძლება იყოს რთული ან მარტივი.

საქმიანობა.

ლაბორატორიული სამუშაო. ყვავილედების გაცნობა.

ალტურვილობა: სხვადასხვა ყვავილედის მქონე მცენარეთა ჰერბარიუმის ეგზემპლარები.

მუშაობის მსვლელობა:

1. დაათვალიერეთ სხვადასხვა ყვავილედის მქონე მცენარეთა ჰერბარიუმის ეგზემპლარები.

2. ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ:

| მცენარის სახელწოდება | ყვავილედი | ყვავილედის სქემატური გამოსახულება |
|----------------------|-----------|-----------------------------------|
| | | |

მარტივი ქოლგა. ყვავილები შემოკლებული მთავარი ღერძის წვეროდან სხივისებურად გამომავალ ყუნწებზე ზის. ასეთი ყვავილედი აქვს ხახვა, ალუბალს, ნიორს, ვაშლს, ბალს და სხვ.

რთული ქოლგა. ყვავილედის შემოკლებული მთავარი ღერძის განშტოებზე თანაბარი სიგრძის ყუნწებზე განლაგებულია მარტივი ქოლგები. ასეთი ყვავილედი აქვს სტაფილოს, კამას, ოხრახუშს და სხვ.

მარტივი მტევანი. ყვავილები გრძელ მთავარ ღერძზე გარკვეული თანამიმდევრობით განლაგებულ გრძელ ყუნწებზე ზის. ასეთი ყვავილედი აქვს კომპოსტოს, თეთრ აკაციას, მოცხარს, თალგამურას, ფუტკარას, წიწმატურას და სხვ.

ყვავილებები



რთული მტევანი. წარმოიქმნება რამდენიმე მარტივი მტევნით. ასეთი ყვავილები აქვს ვაზს, იასამანს და სხვ.

საგველა. ძალიან წააგავს რთულ მტევანს. მის-გან განსხვავდება ყვავილების უფრო დიდი რიცხვით. ასეთი ყვავილები აქვს ბრინჯას, შვრიას, ფეტვს სიმინდს და სხვ.

მარტივი თავთავი. მჯდომარე ყვავილები წაგრძელებულ ძირითად ღერძზეა მოთავსებული. ასეთი ყვავილები აქვს მრავალძარღვას, ტირიფს.

რთული თავთავი. შედგება რამდენიმე მარტივი თავთავისგან. ასეთი ყვავილები აქვს ხორბალს, ჭვავს, ქერს და სხვ.

ტარო. აგებულებით წააგავს თავთავს. მჯდომარე ყვავილები ყვავილების მთავარი ღერძის ძლიერ გამსხვილებულ, ხორციან ღეროზე ზის. ასეთი ყვავილები აქვს სიმინდს.

თავაკი. მჯდომარე ყვავილები მჭიდროდაა განლაგებული მოკლე ბურთისებურად გამსხვილებულ საერთო ღერძზე. ასეთი ყვავილები აქვს ნითელ სამყურას.

კალათა. საერთო ყუნწის ზედა გაფართოებულ ნანილზე მრავალი უყუნწო ყვავილია განლაგებული. ასეთი ყვავილები აქვს მზესუმზირას, გვირილას, ლილილოს, ნარს, ბაბუანვერას და სხვ.

ფარი. ყვავილები მთავარ ღერძზე სხვადასხვა ზომის ყუნწებზე ზის ისე, რომ ყველა ყვავილი ერთ სიბრტყეში თავსდება, თითქოს ფარს ქმნის. ასეთი ყვავილები აქვს მსხალს, კუნელს და სხვ.

ყვავილებების ბიოლოგიური მნიშვნელობა. ყვავილების ბიოლოგიური მნიშვნელობა დიდია. ყვავილებად შეკრული პატარა შეუმჩნეველი ყვავილები მწერებისთვის ადვილი შესამჩნევია, რის გამოც ისინი ეტანებიან მათ და ხელს უწყობენ დამტვერვას. ასე მაგალითად, მზესუმზირას, იასამნის, სუმბულის პატარა ყვავილების კრებული შორიდან როგორც ერთი დიდი ყვავილი, ისე ჩანს.

შექმნილი ცოდნის გამოყენება

მოძებნეთ შესაბამისობა:

მცენარე

- ა) სამურა
- ბ) ხორბალი
- გ) ალუბალი
- დ) სტაფილო
- ე) სიმინდი
- ვ) იასამანი
- ზ) მრავალძარღვა
- თ) შვრია
- ი) ბაბუანვერა

ყვავილები

- 1) მარტივი მტევანი
- 2) მარტივი თავთავი
- 3) მარტივი ქოლგა
- 4) კალათა
- 5) თავაკი
- 6) ტარო
- 7) საგველა
- 8) რთული თავთავი
- 9) რთული ქოლგა


რა შეიძლება

ღეროზე ყვავილები განლაგებულია — ან ჯგუფებად ღეროზე ჯგუფურად განლაგებული ყვავილები ქმნის —.

საკვანძო სიტყვები
ყვავილები
მარტოული ყვავილი

შეამოვეთ თავისი ცოდნა

1. შეიტანეთ კროსვორდში ყვავილებების შესაბამისი სახელწოდებები.



2. ასანთის ღერებისა და პლასტილინის დახმარებით მუყაოზე გააკეთეთ ერთი მარტივი და ერთი რთული ყვავილების მოდელი.

26. თესლის აგებულება

1883 წელს კუნძულ კრაკატაუზე ვულკანის საშინელი ამოფრქვევა მოხდა. როცა ლავა გაცივდა, გაქვავდა და ფერფლი დაიღექა, კუნძული უსიცო-ცხლო მასად იქცა. მაგრამ უკვე სამი წლის შემდეგ ჯერ გვიმრები გამოჩნდა, შემდეგ ყვავილოვანი მცენარეები, ხოლო ათი წლის შემდეგ კუნძული მთლიანად მწვანედ შეიმოსა – პალმებით, ლერწმით, ორქიდეებით. კუნძული კრაკატაუ მეცნიერებისთვის ერთგვარ ლაბორატორიად იქცა, სადაც თვალნათლივ შეიძლებოდა დაკვირვება დედამიწაზე მცენარეთა გავრცე-ლების პროცესზე.

- თქვენი აზრით, რამ განაპირობა კუნძულზე მწვანე საფრის აღდგენა?

საქმიანობა 1.

ლაბორატორიული სამუშაო. ორლებნიანი მცენარეების შესწავლა ლობიოს თესლის მაგალითზე.

ალტურივილობა: ლუპა, ნემსები, წინასწარ წყალში დამბალი და გაჯირჯვე-ბული ლობიოს თესლი.


მომზადება ცდისთვის: ლობიოს თესლები ცდის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე დავალბოთ წყალში.

მუშაობის მსვლელობა: 1. ყურადღებით დაათვალიერეთ წყალში წინასწარ დამბალი ლობიოს თესლები. დააკვირდით მათ ფორმას, ფერსა და თესლის ყუნწნთან მიერთების ადგილს – ნაწიბურს. 2. ნემსის დახმარებით ლობიოს გაჯირჯვებულ თესლს შემოაცალეთ კანი. ყურადღება მიაქციეთ კანის ქვეშ მოთავსებულ ორ მსხვილ ლებანს და მათ შორის არსებულ ჩანასახის სხვა ნაწილებს. ლუპით დაათვალიერეთ ჩანასახი, მოძებნეთ პატარა ფესვი, ლერო და კვირტი. 3. რვეულში ჩაიხატეთ ლობიოს თესლის ჭრილი.

თესლის აგებულება. თესლი შედგება კანის, ენდოსპერმისა და ჩანასახისგან. კანი თესლს გამოშრობისა და მექანიკური დაზიანებებისგან იცავს. ენდოსპერმი წარმოადგენს უჯრედების ჯგუფს, რომლებიც შეიცავს სამარაგო საკვებ ნივთიერებებს და უზრუნველყოფს თესლის ჩანასახის კვებას.

ჩანასახისგან მომავალში მცენარე ვითარდება. ჩანასახი ლებნების, ჩანასახოვანი ფესვის, ლეროსა და კვირტისგან შედგება. ჩანასახოვანი ფესვისგან მცენარის მთავარი ფესვი ვითარდება. ჩანასახოვან ლერწმი მოთავსებულია ჩანასახოვანი კვირტი. ზოგიერთ მცენარეს (მაგ., ლობიოს) ლებნები კარგად აქვს განვითარებული, ამიტომ გაღივების დროს ისინი გარეთ გამოდის.

ლობიოს თესლის აგებულება



ჩანასახოვანი კვირტისგან მცენარის მთავარი ღერო ვითარდება. **ლეპნები** კი მცენარის ჩანასახოვანი ფოთლებია.

ერთლებნიანი და ორლებნიანი მცენარეები. ყვავილოვანი მცენარეების ჩანასახს შეიძლება ჰქონდეს ერთი ან ორი ლებანი. მცენარეებს, რომელთა ჩანასახიც ერთ ლებანს შეიცავს, ერთლებნიანები ენოდება, ხოლო მცენარეებს, რომელთა ჩანასახიც ორ ლებანს შეიცავს – ორლებნიანები.

ორლებნიანი მცენარეები. ორლებნიანი მცენარეების სამარაგო საკვები ნივთიერებები ჩანასახშია. ისეთ მცენარეებს, როგორებიცაა ბარდა და ლობიო, საკვები ნივთიერებები ჩანასახის ლებნებში აქვს, ხოლო ბოლოკურასა და წიწმატურას – ჩანასახის ყველა ნაწილში, გარდა კვირტისა.

ბაიასა და სამფერა იას საკვები ნივთიერებები არა მარტო ჩანასახში გროვდება, არამედ ენდოსპერმშიც. ამიტომ მათ თესლში ჩანასახს გარშემო ენდოსპერმი აკრავს.

საქმიანობა 2.

ლაბორატორიული სამუშაო. ხორბლის თესლის აგებულება.

ალჭურვილობა: ლუპა, ნემსები, მშრალი და წყალში წინასწარ დამბალი, გაჯირჯვებული ხორბლის თესლები.

ციფისთვის მომზადება: ხორბლის თესლები დაალბეთ წყალში ცდის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე.

მუშაობის მსვლელობა:


- დაათვალიერეთ მშრალი და წყალში დამბალი და გაჯირჯვებული ხორბლის თესლი. ყურადღება მიაქცეთ თესლის ოქროსფერ ნაყოფსაფარს.
- სიგრძეზე გაჭერით გაჯირჯვებული თესლი. დააკვირდით ენდოსპერმს, რომელსაც თესლის დიდი ნაწილი უჭირავს. ლუპით დაათვალიერეთ თესლის ჩანასახი და ენდოსპერმთან მიჯრილი ერთი ლებანი.

როგორი აგებულება აქვს ერთლებნიანი მცენარეების თესლს?

ერთლებნიანი მცენარეები. ხორბლის, ჭვავის, ხახვის, შროშანისა და სხვა ერთლებნიანი მცენარეების ჩანასახში საკვები ნივთიერებების მარაგი არ არის. იგი ენდოსპერმშია. თესლის გაღივების დროს საკვები ნივთიერებები ენდოსპერმიდან ჩანასახში ლებნის გავლით ხვდება.

ხორბლის თესლის აგებულება

გარეგნული სახე



ჩანასახი

ნაყოფსაფარი, რომელიც
შეზრდილია
თესლის კანთან —





- ჩანასახოვანი ლებანი
- ჩანასახოვანი კვირტი
- ჩანასახოვანი ღერო
- ჩანასახოვანი ფესვი
- ენდოსპერმი

შემარტივი ცოდნის გამოყენება

გადაიტანეთ სქემა სამუშაო რვეულში და კითხვის ნიშნების ნაცვლად შესაბამისი სიტყვები ჩანრერეთ.

ჩანასახოვანი ფესვი; ენდოსპერმი; ჩანასახოვანი ლერო; ჩანასახოვანი კვირტი; ნასკვი; ბუტკო; ლებნები; თესლკვირტი; ლებანი.



რა შეიძლება

— შედგება თესლის კანისგან, სამარაგო საკვები ნივთიერებებისა და —. ლებნების რაოდენობის მიხედვით არჩევენ — და — მცენარეებს.


საკვანძო სიტყვები
თესლი
ჩანასახი
ერთლებნიანი
ორლებნიანი

შეაძლოთ თქვენი ცოდნა

1. შეავსეთ ცხრილი, კითხვის ნიშნების ნაცვლად ჩანრერეთ სწორი პასუხები.

| მცენარის სახელწოდება | თესლის ჩანასახში ლებნების რაოდენობა | რომელ კლასს მიეკუთვნება მცენარე |
|-------------------------|--|------------------------------------|
| 1. ლობიო | 2 | ? |
| 2. ხორბალი | ? | ? |
| 3. ხახვი | 1 | ? |
| 4. ბაია | 2 | ? |

2. ბარდის თესლის რომელი ნაწილებია სურათზე
აღნიშნული ციფრებით?



ბარდის თესლის
აგებულება

1. --
2. --
3. --
4. --
5. --

27. ნაყოფი

ორი მეგობარი გვთხოვს, გადავწყვიტოთ მათი დავა. ერთი ამტკიცებს, რომ კარტოფილის ნაყოფი გორგლია; მეორე არ ეთანხმება, რადგან, მისი აზ-რით, ნაყოფი მიწის ქვეშ არ ნარმოიქმნება.

- რომელი მათგანი ამბობს სიმართლეს?
- რისგან ნარმოიქმნება ნაყოფი?


საქმიანობა. ამოარჩიეთ სურათი, რომელზეც ნაყოფია გამოსახული.



- რა მნიშვნელობა აქვს ნაყოფს მცენარისთვის?
- რომელ მცენარეებს აქვს ნაყოფი?

ნაყოფის აგებულება. ნაყოფი ფარულთესლიანი (ყვავილოვანი) მცენარეების გენერაციული ორგანოა, რომელიც თესლებისა და ნაყოფსაფარისგან შედგება. ნაყოფსაფარი ბუტყოს ნასკვის კედლებისგან ნარმოიქმნება. იგი თესლებს გამოშრობისგან იცავს და მათ გავრცელებას უზრუნველყოფს.

კურეიანა ნაყოფის აგებულება



ცრუ ნაყოფი. ზოგჯერ ნაყოფის ნარმოქმნაში მონაწილეობს არა მარტო ნასკვი, არამედ ყვავილის სხვა ნაწილებიც, მაგალითად, ყვავილსაჯდომი. ასეთ ნაყოფის ცრუს უწოდებენ. ასეთი ნაყოფის მქონე მცენარეებია საზამთრო, გოგრა, ნესვი, მარწყვი, ვაშლი, მსხალი, ზღმარტლი და სხვ.

ნაყოფთა კლასიფიკაცია. ნაყოფსაფრის შემადგენლობის მიხედვით ნაყოფები იყოფა მშრალ და წვნიან ნაყოფებად. მათ შეიძლება ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე თესლი. შესაბამისად, არსებობს ერთთესლიანი და მრავალ-თესლიანი ნაყოფები.

წვნიანი ნაყოფები. მწიფე წვნიან ნაყოფებს წვნიანი ნაყოფსაფარი აქვს. ნაყოფს, რომელსაც წვნიანი რბილობი და მაგარი კურკა აქვს, კურკიანას უწოდებენ. როგორც წესი, ასეთი ნაყოფების ნაყოფსაფრის შიდა შრე გახევებულია. კურკიანა შეიძლება იყოს ერთკურკიანი ან მრავალკურკიანი. ერთკურკიანებია გარგარი, ატამი, ქლიავი, ალუბალი; მრავალკურკიანია ჟოლო, მაყვალი.

კენკრა წვნიანი ნაყოფია, რომელიც გარედან თხელი კანით არის დაფარული. ნაყოფის შიგნით კი უამრავი მცირე ზომის თესლია. კენკრა ნაყოფებს მიეკუთვნება ყურძენი, პომიდორი, ბადრიჯანი, წიწაკა, ძალლყურძენა და სხვ.

ერთთესლიანი მშრალი ნაყოფები. ასეთ ნაყოფებს თხელი თესლის კანი აქვს. მათი ნაყოფსაფარი გაღივებისას იშლება.

კაკალი. აქვს მაგარი, გახევებული ნაყოფსაფარი შიგნით მოთავსებული თესლით. ასეთი ნაყოფი აქვს თხილს.

თესლურა – მზესუმზირას, გეორგინის, ასტრის მშრალი ნაყოფია. ნაყოფსაფარი არ არის შეზრდილი თესლთან. მისი შიდა შრე ტყავისებრია.

მარცვალა. აპელისებური ნაყოფსაფარი შეზრდილია თესლის კანთან. ასეთი ნაყოფი აქვს ხორბალს, სიმინდს, ქერს.

კაკლუჭა. ნაყოფი კაკალს ჰქავს, მაგრამ უფრო მცირე ზომისაა. ასეთი ნაყოფი აქვს მარწყვს, ვარდს, ასკილს.

მრავალთესლიანი მშრალი ნაყოფები. ასეთ ნაყოფებს აქვს მშრალი ნაყოფსაფარი და უმრავლესობა ადვილად იხსნება. მყარი თესლის კანი თესლს კარგად იცავს.

კენკრა



კურკიანა



კაკალი




თესლურა



მარცვალა



კაკლუჭა



პარკი. ნაყოფსაფარი ორსაგდულიანია. თესლები თავისუფლად არის მოთავსებული საგდულების კედლების პატარა ფოსოებში. როცა პარკი მწიფდება, საგდულები ხმება, იგრიხება და თესლებს ამოყრის. ასეთი ნაყოფი აქვს ბარდას, ლობიოს, სოიას, აკაციას და სხვ.

პარკი



ჭოტი. მასაც ორი საგდული აქვს, მაგრამ თესლები პარკში საგდულებზე კი არ არის მოთავსებული, არამედ ნაყოფის ტიხარზე. ასეთი ნაყოფი აქვს ბოლოკს, წიწმატს, თაღგამურას და კომბოსტოს.

ჭოტი



კოლოფი. მშრალი მრავალთესლიანი ნაყოფია. ნაყოფიდან თესლები ცვია მის კედლებში არსებული ხვრელებიდან ან ნაპრალებიდან. ასეთი ნაყოფები აქვს ბამბას, ყაყაჩოს, თამბაქოს, იას.

კოლოფი



შექმნილი ცოდნის გამოყენება

გამოიყენეთ ჩამოთვლილი მცენარეების სახელწოდებები და შეავსეთ ცხრილი.

უოლო თხილი ბარდა პომიდორი მზესუმზირა

| | | |
|----------------------|--------------|---------------------------------|
| მცენარის სახელწოდება | ნაყოფის ტიპი | ერთობესლიანი ან მრავალობესლიანი |
| | | |

რა შეიძლება

ნაყოფი მცენარის გენერაციული ორგანოა და შედგება — და —. ნაყოფსაფრის მიხედვით ნაყოფები იყოფა — და —, ხოლო თესლის რაოდენობის მიხედვით — ან —.

საკვანძო სიტყვები

ერთობესლიანი ნაყოფები
მრავალობესლიანი ნაყოფები
ნენიანი ნაყოფები
მშრალი ნაყოფები
თესლი
ნაყოფსაფარი

შეამოცათ თქვენი ცოდნა

1. შეასწორეთ შეცდომები წინადაღებებში:

- ა) მოცხარის ნაყოფი კურკიანაა;
- ბ) ქლიაუს წვენიანი მრავალობესლიანი ცრრუ ნაყოფი აქვს;
- გ) ბარდას მშრალი ნაყოფი — ჭოტი აქვს.

2. მოძებნეთ „ზედმეტი“ სიტყვა ყოველ სტრიქონში. თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ.

- ა) კურკიანა, კოლოფი, კენკრა;
- ბ) ძალლყურძენა, ატამი, პომიდორი, ყურძენი;
- გ) ჭოტი, თესლურა, მარცვალა, კაკალი.

3. შეადარეთ ნაყოფები ა — ბ და გ — დ დიაგრამებზე. მიუთითეთ მათ შორის მსგავსება და განსხვავება.



შემაჯუმებელი დაცვულებები

1. დაადგინეთ შესაბამისობა.

სამტკიცერე პარკი ნასკვი მტკრიანის ძაფი სვეტი დინგი

ბუტკო

მტკრიანა

2. ამოარჩიეთ სწორი ვარიანტი.

- ა) ყვავილებს, რომლებსაც აქვს ბუტკოცა და მტკრიანაც **ორსახლიანებს /ორსექსიანებს** უწოდებენ;
- ბ) მცენარეებს, რომლებსაც ერთ ინდივიდზე უვითარდებათ ბუტკოიანი ყვავილიცა და მტკრიანებიანი ყვავილიც, **ერთსახლიანებს /ორსახლიანებს** უწოდებენ;
- გ) ყვავილებს, რომლებსაც აქვს მხოლოდ ბუტკო ან მტკრიანა, **ერთსახლიანებს /ცალსექსიანებს** უწოდებენ;
- დ) თუ მცენარის ერთ ინდივიდს უვითარდება ბუტკოიანი ყვავილი, მეორეს კი მტკრიანიანი, მას **ორსახლიანს /ცალსექსიანს** უწოდებენ.
3. შეიტანეთ ცხრილში შესწორებები (სვეტში „მცენარის სახელწოდება“). მართებული პასუხები რვეულში ჩაწერეთ.

| ნაყოფის ტიპი | მცენარის სახელწოდება |
|--------------|----------------------|
| კენკრა | ბარდა |
| კოლოფი | ყაყაჩო |
| კურკიანა | კომბოსტო |
| ჭოტი | ხორბალი |
| კაკალი | მზესუმზირა |
| მარცვალა | თხილი |
| თესლურა | ქლიავი |
| პარკი | მოცხარი |

4. გაასწორეთ მცდარი გამონათქვამები:

- 1) ლობიოს თესლში ყველაზე დიდი მასა ლებნებს აქვს. 2) ყველა თესლს ორი ლებანი და ენდოსპერმი აქვს. 3) ყველა ორლებნიანი მცენარის თესლის აგებულება ერთნაირია. 4) თესლები გარედან დაფარულია კანით.

5. ჩანასახის რა ნაწილია გამოტოვებული

ჩანასახოვალში: ჩანასახოვანი ფესვი,

ჩანასახოვანი ლერო, ლებნები?

- ა) თესლის კანი;
ბ) ჩანასახოვანი კვირტი;
გ) ნაყოფსაფარი;
დ) ენდოსპერმი.

6. ამოარჩიეთ სამი

მრავალთესლიანი ნაყოფი

- ა) კურკიანა;
ბ) კენკრა;
გ) მარცვალა;
დ) პარკი;
ე) თესლურა;
ვ) კოლოფი.

გვ. 87-134

ორგანიზმების ცხოველებები

3



თავი 5

ცოცხალი ორგანიზმების მოძრაობა, კვება, სუნთქვა
და საყრდენი სისტემა

28. ცოცხალი ორგანიზმების მოძრაობა და საყრდენი სისტემა
29. მცენარეთა საყრდენი სისტემები
30. მცენარეთა კვება ნიადაგიდან
31. მცენარეთა კვება პაერიდან. ფოტოსინთეზი
32. ცხოველთა კვება
33. სოკოებისა და ბაქტერიების კვება
34. მცენარეთა სუნთქვა
35. ცხოველთა სუნთქვა



თავი 6

ცოცხალი ორგანიზმების დამახასიათებელი ნიშნები:
გამრავლება, განვითარება, გამოყოფა და
ნივთიერებების ტრანსპორტი

36. მცენარეების მიერ წყლის აორთქლება.
- ფოთოლცვენა
37. ცხოველური ორგანიზმების სატრანსპორტო სისტემა
38. გამოყოფა
39. უსქესო გამრავლება
40. ყვავილოვანი მცენარეების ვეგეტატიური გამრავლება
41. დამტვერვა
42. ორგანიზმების სქესობრივი გამრავლება
43. თესლის გაღივება
44. ცხოველთა ზრდა-განვითარება

თავი 5

ცოცხალი ორგანიზმების მოძრაობა და საყრდენი სისტემა

28. ცოცხალი ორგანიზმების მოძრაობა და საყრდენი სისტემა

ავაზა ხმელეთის ყველაზე სწრაფი ძუძუმწოვარია. იგი ცალკეულ მონაკვე-
თებზე 120 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს. ზღვის კუები, თეთრი დათვები და
პინგვინები – უბადლო მოცურავები არიან. ლოკოკინა 1 სთ-ში 15 მ-ს გა-
დის, ხოლო ერთუჯრედიანი ამება მასზე ათასჯერ უფრო ნელა მოძრაობს.

• რა უპირატესობას აძლევს მოძრაობის უნარი ცოცხალ ორგანიზმებს?

საქმიანობა 1. დააკვირდით სურათებზე გამოსახულ ცხოველებს და
უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ გარემოში ბინადრობენ ეს ცხოველები?
- როგორ გადაადგილდებიან ისინი?
- რა მნიშვნელობა აქვს მათთვის მოძრაობას?



გადაადგილების სხვადასხვა საშუალებები. მოძრაობა ცოცხალი არსებე-
ბისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია. როგორ
გადაადგილდებიან სივრცეში ცხოველები? ერთუჯრედიანი ცხოველი, ამება,
მოძრაობს ცრუფებების საშუალებით, რომლებიც ციტოპლაზმის უჯრედის
ერთი ნაწილიდან მეორეში გადადენის დროს წარმოიქმნება. სხვა ერთუჯ-
რედიანები შეიძლება მოძრაობის ტალღისებური მოძრაობით ან მრავალრიცხოვანი წამ-
ნამების შეთანხმებული რხევებით გადაადგილდება.


ერთუჯრედიანი ორგანიზმების მოძრაობის სხვადასხვა საშუალებები

ჩვეულებრივი ამება
ცრუფებების საშუალებით
გადაადგილდება



ინფუზორია –
ქალამანა ნამწამების
საშუალებით
გადაადგილდება



მწვანე ევგლენა
შოლტის საშუალებით
გადაადგილდება



მრავალუჯრედიანი ცხოველები განსხვავებული საშუალებებით მოძრა-
ობენ. მაგალითად, წვიმის ჭია (ჭიაყელა) რგოლური და გასწვრივი კუნთების
თანამიმდევრული (მორიგეობითი) შეკუმშვის შედეგად გადაადგილდება.

ჭიაყელას კუნთები და მათი შეკუმშვის შედეგი

- ა რგოლური კუნთები.
მათი შეკუმშვისას სხეული წვრილდება.



- ბ გასწროვი კუნთები.
მათი შეკუმშვისას სხეული მსხვილდება.

ჭიაყელას მოძრაობის სქემა

ზოგიერთ ზეალში მობინადრე ცხოველს (მედუზას, კალმარს), ახასიათებს ერთგვარი რეაქტიული მოძრაობა, რომელიც დაფუძნებულია სხეულიდან წყლის გამოდევნის ეფექტზე. მოძრაობის უნარი ცხოველებს ეხმარება საკვებისა და თავშესაფრის მოპოვებაში, მტრისგან თავის დაღწევაში და ა.შ.

საყრდენი სისტემა. ჩონჩხი ცხოველებს საკუთარი წონის ტარებასა და გარემოს მავნე ზემოქმედებისგან თავის დაცვაში ეხმარება. კიბოების, ობობებისა და მწერების სხეული გარედან დაფარულია მსუბუქი და მყარი ქიტინოვანი ჩონჩხით, რომელზეც შიგნიდან კუნთებია მიმაგრებული. ასეთი ტიპის ჩონჩხს გარეგანჩონჩხს უნიდებენ. ცხოველის ზრდის პროცესში გარეგანი ჩონჩხი პერიოდულად ირლვევა და ახლით იცვლება. თავიდან ახლი ჩონჩხი რბილია და მოგვიანებით მაგრდება. ზოგიერთი ცხოველის გარეგანი ჩონჩხი კირით იულინთება და მყარ ჯავშნად გადაიქცევა.

შინაგანი ჩონჩხი სხეულის შიგნით, კანისა და კუნთების ქვეშ არის მოქცეული. ასეთი ჩონჩხი აქვთ თევზებს, ამფიბიებს, ქვენარმავლებს, ფრინველებსა და ძუძუმწოვრებს. ჩონჩხის ზოგიერთი ნაწილი უძრავია, დანარჩენები კი სახსრებითაა შეერთებული (ძვლების მოძრავი შეერთება). მოძრაობა ჩონჩხზე მიმაგრებული კუნთების საშუალებით ხდება. კუნთების შეთანხმებულ მუშაობას – შეკუმშვასა და მოდუნებას – ნერვული სისტემა უწევს კოორდინირებას.

სხვადასხვა გარემოში მობინადრე ცხოველებს სხვადასხვანაირი კიდურები ჩამოუყალიბდათ. კიდურების საშუალებით ისინი დადიან, დარბიან, დახტიან, ხოხავენ, დაცურავენ და დაფრინავენ.

საყრდენი სისტემა



გარეგანი ჩონჩხი (კიბორჩხალა)



შინაგანი ჩონჩხი (ძალლი)

შექარილი ცოდნის გამოყენება

შეავსეთ ცხრილი:

| მფრინავი ცხოველები | მცურავი ცხოველები | მოსიარულე ცხოველები | | | |
|--------------------|--------------------|---------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| გარეგანი ჩონჩხი | შინაგანი ჩონჩხი | გარეგანი ჩონჩხი | შინაგანი ჩონჩხი | გარეგანი ჩონჩხი | შინაგანი ჩონჩხი |
| | | | | | |

კა შეიტყვათ

ცოცხალი ორგანიზმების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი — . — სხეულის შიგნით, კანისა და კუნთების ქვემაა. კიბობებისა და ობიექტების სხეული დაფარულია — . ერთუჯრედიანი ორგანიზმები გადაადგილდება — , — და — საშუალებით.

საკვანძო სიტყვები
ცრუფეხები
ნამწამები
შოლტები
მოძრაობა
გარეგანი ჩონჩხი
შინაგანი ჩონჩხი

შეაოცვათ თავისი ცოდნა

1. ჩანერეთ ცხოველების სახელწოდებები ცხრილის შესაბამის სკეტში.

| | |
|-----------------|-----------------|
| გარეგანი ჩონჩხი | შინაგანი ჩონჩხი |
| 1 | 2 |



2. წყალში გადაადგილების რა საშუალებები გააჩნიათ ამ ცხოველებს?



3. მოძებნეთ ტექსტში შეცდომები: а) ცხოველთა მოძრაობა მრავალფეროვანია. ამება სწრაფად ცურავს და ამისთვის მოხერხებულად იყენებს ნამწამებს, რომლებითაც მთელი მისი სხეულია დაფარული. თითქოს პატარა ნიჩბებით უსვამსო, მას შეუძლია გადაადგილდეს წინ და უკან ან ადგილზე გაშეშდეს. ბ) უამრავი ცხოველი, რომელიც შეეგუა წყალში ცხოვრებას, შესანიშნავად ცურავს. თევზები და ზოგიერთი მოლუსკი გადაადგილებისთვის ისეთ უჩვეულო მეთოდს იყენებს, როგორიცაა რეაქტიული მოძრაობა. ისინი სხეულიდან გამოდევნიან წყლის ნაკადს და ამის შედეგად წარმოქმნილი „ბიძგებით“ გადაადგილდებიან. გ) ბევრ უმარტივესს გააჩნია სხვა ტიპის „ძრავა“ შოლტების სახით. შოლტი, როგორც ხრახნი, ისე მუშაობს. ასე მოძრაობს ინფუზორია – ქალამანა.

29. მცენარეთა საყრდენი სისტემები

ზოგიერთი ხე სიმაღლით ათეულობით მეტრს აღწევს, უძლებს ქარიშხლებს, ფესვები მყარად იჭერს მცენარეს ნიადაგში, ნაყოფით დახუნდლული ტოტები იღუნება, მაგრამ არ ტყდება; ძლიერი ქარების დროსაც კი ხეებს ზაფხულობით ფოთლები არ სცვივა.

- რა ანიჭებს მცენარეს სიმტკიცეს?

საქმიანობა. ღეროს მდგომარეობა
სივრცეში. ყურადღება მიაქციეთ
სურათებზე გამოსახული
მცენარეების ზრდის მიმართულებას.
განსაზღვრეთ მათ შორის
განსხვავება.



- როგორ შეიძლება დავაჯვუფოთ ამ მცენარეების ღეროები სივრცეში მათი მდგომარეობის მიხედვით?
- რა მნიშვნელობა აქვს საყრდენ სისტემას მცენარისათვის?

მცენარეული ორგანიზმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება მათში საყრდენი სისტემის არსებობა, რომელიც საშუალებას აძლევს მცენარეს შეინარჩუნოს გარკვეული მდგომარეობა სივრცეში.

ღეროს მდგომარეობა. ღეროს ზრდის მიმართულების მიხედვით მცენარეები ორ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფში შედის სწორმდგომი ღეროს მქონე მცენარეები (ხეები, ბუჩქებისა და ბალახების უმრავლესობა). მეორე ჯგუფში შედის გართხმული მცენარეები, რომელთა ღეროს არ შეუძლია ვერტიკალური მდგომარეობის შენარჩუნება, რადგან მათში მცირე რაოდენობითაა მექანიკური ქსოვილი. ღეროს მდგომარეობის მიხედვით ისინი შეიძლება იყოს მხოხავი (საზამთრო, ნესვი, კიტრი, მარწვევი, თეთრი სამყურა), ხვიარა (ლობიო, ხვართელა) და მცოცავი (ვაზი, ბარდა, სურო). მცენარეებს, რომელთა ღეროებს ვერტიკალური მდგომარეობის შენარჩუნება არ შეუძლია, გაჩინია სპეციალური დამხმარე საშუალებები, მაგალითად, ულვაშებით ასეთი ღერო საყრდენს ემაგრება, ხვიარა ღერო კი საყრდენს გარს ეხვევა. ხვიარა ან მცოცავი ღეროს მქონე მცენარეებს ლიანებს უნიდებენ. მექანიკური ქსოვილი, რომელიც მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების საყრდენ სისტემას ქმნის, სხვადასხვანაირია აგებულებისა და მდებარეობის მიხედვით.

მცენარეთა საყრდენი სისტემა. მცენარის ფესვსა და ღეროში მექანიკური ქსოვილის მიერ შექმნილი ბოჭკოებია, რომლებიც სქელკედლიანი, შიგთავსის არმქონე მკვდარი უჯრედებისგან შედგება. ზოგიერთი ბალახოვანი მცენარის გულგული თანდათან გაიწოვება და ღრუიანი ღერო წარმოიქმნება. ასეთ ღეროს შიგნიდან მექანიკური ბოჭკოები აქვს რგოლების სახით, რომლებიც ქმნის კიდეც საყრდენს მცენარისთვის და არ აძლევს საშუალებას,

რომ გადატყდეს. ფესვსა და ფოთლის ძარღვებში მექანიკური ქსოვილი გამტარი ქსოვილის გარშემო მდებარეობს და სიმტკიცეს ანიჭებს მას.

უჯრედული ტურგორი. ზოგიერთი მცენარის უჯრედები დიდი რაოდენობით შეინოვს წყალს. ამის გამო მკვეთრად მატულობს უჯრედის შიგთავსის ზენოლა მის კედლებზე. შედეგად უჯრედის გარსის დაჭიმულობა იზრდება, რაც მცენარესა და მის ორგანოებს მეტ სიმტკიცეს აძლევს. ამ მოვლენას ტურგორი ეწოდება. (ლათ. *turgere* – შესივებული, სავსე). ტურგორი უზრუნველყოფს ლეროს მდგრად მდგომარეობას სივრცეში. თუ უჯრედული წნევა მცირდება, მცენარე კარგავს სიმტკიცეს და ჭკნობას იწყებს.

მცენარეებისა და სოკოების მოძრაობა. თითქმის არც ერთ მცენარესა და სოკოს არ ახასიათებს აქტიური გადაადგილებითი მოძრაობა. მაგრამ ამ ორგანიზმების ზრდის პროცესში გარკვეული სახის მოძრაობა შეინიშნება. ასე, მაგალითად, მცენარე მუდმივად ტრიალდება სინათლისკენ. ამის მიზეზი ის არის, რომ მცენარის განათებულ ნაწილში უჯრედები ნელა იყოფა, დაჩრდილულ ნაწილში კი – სწრაფად. ამიტომაც არის, რომ მცენარის ჩრდილში მყოფი მხარე უფრო სწრაფად იზრდება. ამას ამტკიცებს ბნელ ადგილზე მოთავსებული მცენარის ლეროს სწრაფი ზრდაც. ეს პროცესი მცენარეების მოძრაობის ერთ-ერთი სახეა. მოძრაობის მაგალითია მცენარის ფოთლების სინათლისკენ მიტრიალება, კოკრების გაშლა. ასეთი მოძრაობით მცენარეს შეუძლია, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა საჭირო რაოდენობის სინათლეზე, საკვებ ნივთიერებებზე, წყალზე. მცენარის მოძრაობის ზოგიერთი სახე გარე ფაქტორების ზემოქმედებით არის გამოწვეული, მაგალითად, მცენარის მთავარი ფესვი დედამიწის მიზიდულობის გამო ქვემოთ იზრდება, ხოლო ღერო მზის სხივების ზეგავლენით ზემოთ მიისწრაფვის.


მცენარის ლეროს მრავალფეროვნება

სწორმდგომი
ლერო



შეკვეთი ცოდნის გამოყოფა

დაათვალიერეთ სხვადასხვა მცენარის ღერო. განსაზღვრეთ ღეროს ტიპი მისი სივრცეში მდგომარეობის მიხედვით.



რა შეიძლება


ღეროს ზრდის მიმართულების მიხედვით
არჩევენ — და — მცენარეებს. გართხმული
ღეროები შეიძლება იყოს —, —, და —.
ზოგიერთ მცენარეს სიმტკიცეს — ანიჭებს.

საკვანძო სიტყვები

სწორმდგომი ღერო
გართხმული ღერო
მხოხავი
ხვიარა
მცოცავი
უჯრედული ტურგორი

რა არცვათ თევზი ცოდნა

1. მცენარეებს არ აქვს ნერვული სისტემა, მაგრამ ისინი **მგრძნობელობას** იჩინებ, ანუ რეაგირებენ გარკვეული ტიპის ზემოქმედებაზე. ეს რეაქცია გამოიხატება მცენარის ნაწილების გარკვეული შიმართულებით ზრდასა და მოძრაობაში. დააკვირდით სურათებს და უპასუხეთ კითხვას: რა სახის ზემოქმედებაზე რეაგირებს სურათზე გამოსახული თითოეული მცენარე?



2. შეავსეთ ცხრილი „საყრდენი სისტემის ფუნქციები“

| | |
|-----------------------------|------------------------------|
| ცხოველების საყრდენი სისტემა | მცენარეების საყრდენი სისტემა |
| | |

30. მცენარეების კვება ნიადაგიდან

ოთახის მცენარეების მოვლისათვის სკოლაში გამოყვეს მორიგეები – მე-6 კლასის მოსწავლეები. ერთ-ერთმა მათგანმა ჩათვალა, რომ ნიადაგში, რომელშიც მცენარე იზრდება, ბუნებრივი წყლით მორწყვის შედეგად ბაქტერიები შეიძლება მოხვდეს და გადაწყვიტა, მცენარე ანადუღარი ცივი წყლით მოერწყა. რამდენიმე დღის შემდეგ მცენარის ფოთლებმა ჭერბა და ხმობა დაიწყო, ხოლო ის მცენარეები, რომლებსაც აუდუღარი ბუნებრივი წყლით რწყავდნენ, კარგად ვთარდებოდა.

- რაში ცდებოდა მორიგე მოსწავლე? რა აკლდებოდა ამ მცენარეს?

საქმიანობა. ფესვური წნევის განსაზღვრა

ალტურვილობა: ოთახის მცენარე – ნემსინვერა ან ბეგონია, 3 სმ-ის სიგრძის რეზინის მილი, 20-25 სმ-ის სიგრძის მოხრილი მინის მილი.

მუშაობის მსვლელობა: 1. მცენარის ღერო გადაჭრით ისე, რომ დარჩენილი ღეროს სისალლე 2-3 სმ იყოს. 2. წამოაცვით რეზინის მილი, ხოლო მისი თავისუფალი ბოლო მიუერთეთ მინის მილს, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები. 3. მორწყეთ მცენარე თბილი წყლით.



ვიმსჯელოთ შედეგებზე:

- რით აიხსნება ის ფაქტი, რომ წყალი მაღლა იწევს და გარკვეული დროის შემდეგ მინის მილიდან იწყებს გადმოდინებას? • როგორ შეიწოვება მიწიდან წყალი?

მცენარეების კვება ნიადაგიდან. ცოცხალი ორგანიზმები საკვების გარეშე ვერ ძლებენ, ამიტომ მათ გარედან მუდმივად უნდა მიეწოდებოდეს საკვები ნივთიერებები. ამის შედეგად ორგანიზმი იზრდება, ვითარდება და მრავლდება. კვება ორგანიზმის მიერ მისი ცხოველებედებისთვის აუცილებელი საკვები ნივთიერებების გარემოდან მიღება და ათვისებაა. მცენარეთა უმრავლესობისათვის ამ პროცესში მთავარ როლს ფესვი ასრულებს, რომლის საშუალებითაც მცენარე წიადაგიდან წყალსა და მასში გახსნილ მინერალურ მარილებს შეიწოვს. ამ პროცესს წიადაგიდან კვებას უწოდებენ.

კვება ნიადაგიდან



ფესვის ბუსუსები

ფესვური წნევა. ფესვის ბუსუსების მიერ შთანთქმული წყალი და მინერალური ნივთიერებები ფესვის კანის უჯრედების გავლით ხვდება ჭურჭლებში, იქიდან კი ფესვური წნევის მოქმედებით – ღეროში. ამრიგად, ფესვური წნევა უზრუნველყოფს წყლისა და მინერალური მარილების გადაადგილებას ფესვიდან ღეროში. თუ მცენარეს თბილი წყლით მოვრწყავთ, ჭურჭლებში წყლის გადაადგილების სიჩქარე მოიმატებს, მაგრამ თუ წყლის ტემპერატურა დაიწევს, მისი შეწოვის სიჩქარეც დაიკლებს და შეიძლება საერთოდ შეჩრდეს კიდეც. ამ დროს ფესვური წნევის დონეც ეცემა.

მცენარისათვის საჭირო ნივთიერებები. მცენარეული უჯრედის ძირითადი შემადგენელი კომპონენტი წყალია. წყლის გარეშე მცენარე არსებობას ვერ შეძლებს. ზრდის პერიოდში მცენარე უფრო მეტ წყალს საჭიროებს, ნაყოფის მომწიფების დროს – ნაკლებს. ნიადაგი ამარაგებს მცენარეებს წყლითა და მინერალური ნივთიერებებით. მცენარისათვის აუცილებელი ნივთიერებებია აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის ნაერთები. მცენარეს შედარებით მცირე

რაოდენობით ესაჭიროება რკინა, იოდი, ბორი და სხვა ელემენტები. ნიადაგში ამ ელემენტთაგან თუნდაც ერთ-ერთის ნაკლებობა მცენარის ნორმალური ცხოველქმედების მკვეთრ დარღვევას იწვევს. სწორედ ამიტომ, მცენარეთა მოსავლანობის გასაზრდელად, გაზაფხულსა და შემოდგომაზე ნიადაგში სასუქი შეაქვთ.

სასუქები. არსებობს მინერალური და ორგანული სასუქები. ორგანულ სასუქებს მიეკუთვნება ნაკელი, ტორფი, ფრინველების სკორე, მცენარეთა და ცხოველთა გახრმნილი ნარჩენები. მინერალურ სასუქებს მიეკუთვნება კალი-უმიანი, აზოტიანი და ფოსფორიანი სასუქები.

| მინერალური სასუქები | თავისებურებები |
|------------------------|---|
| აზოტიანი | აჩქარებს ღეროებისა და ფოთლების ზრდას |
| ფოსფორიანი | აჩქარებს ყვავილობას, ნაყოფის ზრდასა და მომწიფებას |
| კალიუმიანი | აძლიერებს ფესვების, ბოლქვების, გორგლების და ძირხვენების ზრდას. ამაღლებს სიცივისა და სიცხის მიმართ გამძლეობას. |

მინერალური სასუქები მარილების სახით მზადდება, ამიტომ მცენარეები ადვილად ითვისებს მათ. საერთოდ ყველანაირი სასუქი ნიადაგში თესვამდე ან თესვის დროს, თანაც მკაცრად განსაზღვრული რაოდენობით შეაქვთ. სასუქების გადაჭარბებული რაოდენობის შეტანამ შეიძლება დააზიანოს როგორც მცენარე, ისე მისი მომხმარებელი ადამიანი.

შექმნილი ცოდნის გამოყენება

1. სწორად დაალაგეთ ნიადაგიდან მცენარეში არაორგანული ნივთიერებების (წყლისა და მინერალური მარილების) მიწოდების თანამიმდევრობა.



ა) ფოთლების უჯრედები, ბ) წყალი, მინერალური ნივთიერებები, გ) ფოთლის ჭურჭლები, დ) ფესვის ბუსუსები, ე) ფესვის ჭურჭლები, ვ) ფესვის უჯრედები, ზ) ღეროს ჭურჭლები.

სა შეიცვლელი

ნიადაგიდან მცენარეში წყლისა და მასში გახსნილი მინერალური ნივთიერებების გადასვლას — ეწოდება. — უზრუნველყოფს წყლისა და მინერალური მარილების ასვლას ფესვიდან ღერომდე.

საკვანძო სიტყვები
ნიადაგიდან კვება
ფესვური წნევა

შეამოვათ თევზი ცოდნა

1. აღნიშნეთ არასწორი მტკიცებები: ა) ფესვის ბუსუსები ფესვის მთელ სიგრძეზე მდებარეობს; ბ) ფესვის ბუსუსები ფესვის გამტარი ზონის გარეთა შრის უჯრედების ნანაზარდებია; გ) წყლისა და მინერალური მარილების შენოვა ფესვის შენოვის ზონაში მიმდინარეობს; დ) მცენარეში წყლის შენოვა ფესვის მოქმედებით ხდება; ე) მინერალური ნივთიერებები მცენარეში ზევიდან ქვევით გადაადგილდება.

2. შეაქსეთ ცხრილი:


| სახელწოდება | სახელწოდება |
|---------------------|-------------|
| ორგანული სასუქები | ? |
| მინერალური სასუქები | ? |

31. მცენარეთა კვება ჰაერიდან. ფოტოსინთეზი

ჰოლანდიულმა მეცნიერმა ვან ჰელმონტმა მცენარეთა კვების გამოსაკვლევად ცდა ჩაატარა: მან ცალ-ცალკე აწონა ქოთანში ჩასაყრელი მიწა და ტირიფი, რომელიც ქოთანში უნდა ჩაერგო. ამის შემდეგ იგი ხუთი წლის განმავლობაში რწყავდა და უვლიდა მცენარეს და მერე ხელმძღვანელ აწონა მიწაცა და ტირიფიც. აღმოჩნდა, რომ 2 კგ-იანი მცენარის მასა 74,5 კგ-მდე გაიზარდა, მაშინ, როცა მიწის წონა სულ რაღაც 57 გ-ით შემცირდა.

აქედან გამომდინარე, მეცნიერმა დაას-

კვნა, რომ მცენარე ზრდა-განვითა-
რებისთვის საჭირო ნივთიერებებს
იღებს არა ნიადაგიდან, არამედ
წყლიდან. ამავე დროს, ჩვენთვის ცნო
ბილია, რომ მცენარე ნიადაგიდან
ფესვების საშუალებით იღებს წყალსა
და მინერალურ ნივთიერებებს.



- როგორ წარმოიქმნება მცენარის ცხოველქმედებისთვის აუცილებელი ორგანული ნივთიერებები?


საქმიანობა. სახამებლის წარმოქმნა სინათლეზე.

ალფრევილობა: ოთახის მცენარე (ფურისულა ან ნემსინვერა), შავი ფერის ფურცელი, ნათურა, სპირტი, ადულებული წყალი, იოდის ხსნარი, პეტრის ფინჯანი, პინცეტი.

დდისთვის მომზადება:

1. მოათავსეთ მცენარე სიბნელეში 2-3 დღის განმავლობაში.
2. მცენარის ერთ-ერთი ფოთლის ორივე მხარეზე დაამაგრეთ შავი ქალალ-დდის ზოლები ისე, რომ ფოთლის რაღაც ნაწილი ღია დარჩეს (შეიძლება შავი ქალალდისგან ფიგურაც გამოჭრათ).
3. დადგით მცენარე განათებულ ადგილზე 8-10 საათის განმავლობაში.

მუშაობის მსვლელობა: 1) მოწყვიტეთ გამოსაკვლევი ფოთოლი და მოხსენით შავი ქალალდი. 2) იმისათვის, რომ დაადგინოთ ფოთლის რომელ ნაწილში წარმოიქმნა სახამებელი, მოათავსეთ იგი მდუღარე წყალში, შემდეგ კი ჩაუშვით სპირტში. რა შეამჩნიერ? 3) გარეცხეთ ფოთოლი წყლით და დაამუშავეთ იოდის სუსტი ხსნარით.




ვიმსჯელოთ შედეგებზე:

- რით განსხვავდება ერთმანეთისგან ფოთლის ღიად დარჩენილი და შავი ქალალდით დაფარული ნაწილები?
- როგორ ახსნით ამ მოვლენას?

ფოტოსინთეზი. ფოთოლი არის ძირითადი ორგანო, რომელიც მონაწილეობს მცენარის ჰაერიდან კვებაში. ბაგეების საშუალებით ფოთოლში შედის ჰაერი, რომლის შემადგენლობაშია მცენარის კვებისათვის საჭირო ნახშირორჟანგი. მნვანე მცენარეების უჯრედებში არსებული ქლოროპლასტები შეიცავს ქლოროფილს, რომელსაც მზის ენერგიის შთანთქმა შეუძლია. ფესვის ბუსუსებით შეწოვილი წყალი ჭურჭლების საშუალებით ადის ჯერდერში, შემდეგ კი ფოთლებში.

ფოტოსინთეზი



მზის ენერგიის გამოყენებით, გარკვეული ქიმიური გარდაქმნების შედეგად, მცენარე არაორგანული ნივთიერებებისგან (წყლისა და ნახშირორჟანგისგან) ქმნის რთულ ორგანულ ნაერთებს. ამ პროცესს ფოტოსინთეზი ეწოდება (ბერძ. fotos – სინათლე, sintez – შეერთება). სინათლეზე მიმდინარე ფოტოსინთეზის დროს ნარმოიქმნება მცენარისათვის საჭირო ორგანული ნივთიერებები და გამოიყოფა უანგბადი.

ფოტოსინთეზის უნარი მწვანე მცენარეებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა.

ფოტოსინთეზის პროცესის სქემა.

ნახშირორჟანგი ატმოსფეროდან + წყალი ნიადაგიდან




ორგანიზმებს, რომლებიც არაორგანული ნივთიერებებიდან ორგანულს ქმნის, ავტოტროფები (ბერძ. *autos* – თვითონ და *trophe* – კვება) ეწოდება. მწვანე მცენარეები ავტოტროფულ ორგანიზმებს მიეკუთვნება.

ფოტოსინთეზის მნიშვნელობა. მცენარეები, რომლებიც მზის ენერგიას იყენებს ორგანული ნივთიერებების სინთეზისათვის, წარმოადგენს საკვებს ცხოველებისათვის. გარდა ამისა, ფოტოსინთეზის დროს ჰამოიყოფა ჟანგბადი, რომლის გარეშეც ცოცხალი არსებები სუნთქვას ვერ შეძლებ-დნენ.

შეძლებილი ცოდნის გამოყენება

შეავსეთ სქემა:



რა შეიძლება?

ბაგების საშუალებით ძირითადი ქსოვილის უჯრედებში შედის —. სინათლის მოქმედებით ქლოროპლასტებში მიმდინარეობს — პროცესი. ასეთ კვებას — უწოდებენ.

საკვანძო სიტყვები
ჰაერიდან კვება
ნახშირორჟანგი
ფოტოსინთეზი

შეამოცათ თავარი ცოდნა

1. აღმოაჩინეთ ტექსტში შეცდომები:

ფოტოსინთეზი არის სინათლეზე ფოთლის ქლოროპლასტებში მიმდინარე პროცესი, რომლის დროსაც არაორგანული ნივთიერებებიდან წარმოიქმნება ორგანული ნივთიერებები. ფოტოსინთეზის მიმდინარეობისათვის საჭიროა შემდეგი პირობები: უაგებადის, წყლის, მწვანე ფოთლებისა და მზის სინათლის არსებობა. ფოტოსინთეზის დროს წარმოიქმნება არაორგანული ნივთიერებები. ფოტოსინთეზის პროცესის თანამდევი პროდუქტებია ნახშირორჟანგიდა წყალი.

2. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

- ბაგების საშუალებით ფოთლში აღწევს ...
- ფესვთა სისტემიდან მცენარეში აღწევს ...
- მზის სინათლე აღწევს მწვანე ქლოროპლასტებში, რომლებიც მდებარეობს
- ქლოროპლასტებში წარმოიქმნება ...
- ფოთლებიდან გარემოში გამოიყოფა ...

32. ცხოველთა კვება

- ერთი გომბეშო დღე-ლამის განმავლობაში დაახლოებით შვიდ მწერს ჭამს.
- ჭიამაიას მატლი თავისი ხანმოკლე, სამკვირიანი სიცოცხლის განმავლობაში 1000-მდე ბუგრს ჭამს, ხოლო მოზრდილი ჭიამაია დაახლოებით – 4000 ბუგრს.
- ცოცხალი ორგანიზმებისთვის დამახასიათებელ რა ნიშან-თვისებაზეა ლაპარაკი მოცემულ მაგალითებში?

საქმიანობა. დაათვალიერეთ სურათები. გაარკვით, რით იკვებებიან ეს ცხოველები.

ვიმსჯელოთ შედეგებზე:

- რატომ დებულობენ სხვადასხვა ცხოველები სხვადასხვა საკვებს?




ჰეტეროტროფული კვება. ორგანიზმები, რომლებიც საკვებად მზა ორგანულ ნივთიერებებს იყენებენ, ჰეტეროტროფულ ორგანიზმებს მიეკუთვნებიან. (ბერძნ. *heteros* – განსხვავებული, სხვა, *trophe* – საკვები).

საჭმლის მონელების პროცესი. ცხოველებში საჭმლის მონელების პროცესი საკვების გადაყლაპვისთანავე იწყება. ლოკოკინები კუნთოვან ხახაში აქუცმაცებენ საკვებს. ფუტკრები, პეპლები და ზოგიერთი ბუზი ყვავილთა ნექტრით იკვებებიან. გველები თავს ესხმიან ცოცხალ მსხვერპლს და მთლიანად ყლაპავენ. ბაყაყები მსხვერპლს წებოვანი ენით იჭერენ. ცხოველთა უმრავლესობას საკვების მოსანელებლად საჭმლის მომნელებელი სისტემა გააჩნია. ძუ-

ძუმწოვრებში ეს სისტემა შედგება პირის ღრუს, ხახის, საყლაპავი მილის, კუჭისა და წვრილი და მსხვილი ნაწლავებისგან. კუჭში საკვები უფრო მარტივ ნაერთებამდე იშლება, ნაწლავებში მთავრდება მონელება და საკვები ნივთიერებები შეინოვება. საჭმლის მომნელებელი სისტემის ყველაზე დიდი ჯირკვლებია ლვიძლი და პანკრეასი. ნაწლავებში დარჩენილი საჭმლის მოუნელებელი ნარჩენები მსხვილი ნაწლავების გავლით ანალური ხვრელით გამოიდევნება გარეთ.

ცხოველთა საჭმლის მომნელებელი სისტემა



ბალახისმჭამელი ცხოველები. ძუძუმწოვრების ნაწილი მცენარეული წარმოშობის საკვებით იკვებება. მცენარეულ საკვებს მიეკუთვნება ბალახი, თესლი, ნაყოფი, ნექტარი და ა.შ. ასეთ ცხოველებს ბალახისმჭამელებს უწოდებენ. მცენარეული საკვების მონელებას მეტი დრო ესაჭიროება, ამიტომ ბალახისმჭამელი ცხოველების ნაწლავები გრძელია. ბალახისმჭამელი ცხოველებია: მინდვრის თაგვი, ციყვი, კურდღლელი, ირემი, ჯეირანი, ძროხა, ცხვარი, თხა, კამეჩი და სხვ.

ბალახისმჭამელი ცხოველები



მტაცებელი ცხოველები. ზოგიერთი მწერი, თევზი, ფრინველი და ძუძუმწოვარი მტაცებლურ ცხოვრებას ეწევა, ანუ მათი საკვები სხვა ცხოველებია. წარმატებული ნადირობისათვის მათ გააჩნიათ ძლიერი კიდურები, მჭრელი კბილები, მახვილი თვალი. ცხოველური საკვების მონელება უფრო სწრაფად ხდება, ამიტომ მტაცებლების ნაწლავები შედარებით მოკლეა.

მტაცებელი ცხოველები




პარაზიტები. ცხოველებს შორის გვხვდება ისეთი სახეობები, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. ისინი სხვა ორგანიზმების (მასპინძლის) ხარჯზე არსებობენ. პარაზიტების უმრავლესობას განსაკუთრებული საშუალებები (ორგანოები) აქვთ მასპინძელთან დასაკავშირებლად, მაგალითად, კაუჭჭები ან მისაწოვრები. ტილები და რწყილები ცხოველის სხეულის ზედაპირზე პარაზიტობენ, ხოლო ისეთი ჭიები, როგორებიცაა, მაგ., ასკარიდა, ხარის სოლიტერი, ლვილის ორპირა სხვა ცხოველების ორგანიზმში ცხოვრობენ. პარაზიტების ნაწილს სუსტად აქვს განვითარებული საჭმლის მომნელებელი სისტემა, ზოგჯერ კი საერთოდაც არ გააჩნია, რადგან ისინი უკვე მონელებულ საკვებს იღებენ.

ლეშისმჭამელი და ნაირმჭამელი ცხოველები. სვავი, აფთარი, და ზოგიერთი სხვა ცხოველი ლეშით იკვებება, ამიტომ მათ ლეშისმჭამელ ცხოველებს უწოდებენ.

არსებობენ ისეთი ცხოველებიც, რომლებიც იკვებებიან როგორც ცხოველური, ისე მცენარეული საკვებით. ისინი ნაირმჭამელ ცხოველებს მიეკუთვნებიან. ასეთი ცხოველებია შიმპანზე, ზღარბი, მურა დათვი, ტახი.

ლეშისმჭამელი და
ნაირმჭამელი ცხოველები



შეიძლება ცოდნის გამოყენება

დაადგინეთ შესაბამისობა:

1. ჰეტეროტროფები
2. მტაცებლები
3. პარაზიტები
4. ნაირმჭამელები
5. ლეშისმჭამელები
6. ბალაზისჭამელები

- ა) ცხოველები, რომლებიც ბალაზისმჭამელებით იკვებებიან.
- ბ) ორგანიზმები, რომლებიც სხვებს ართმევენ საჭირო საკვებს ნივთიერებებს, სამაგიეროდ კი არაფერს გასცემენ;
- გ) ცხოველები, რომლებიც მცენარეებით, მათი თესლებით და ნაყოფით იკვებებიან;
- დ) ცხოვლები, რომლებიც იკვებებიან როგორც ცხოველური, ისე მცენარეული საკვებით;
- ე) ცხოველები, რომლებიც ლემით იკვებებიან;
- ვ) ორგანიზმები, რომლებიც საკვებად მზა არგანულ ნივთიერებებს იყენებენ.

რა შეიძლება

ორგანიზმებს, რომლებიც საკვებად მზა არგანულ ნივთიერებებს იყენებენ, — ორგანიზმები ეწოდება. მიღებული საკვების ხასიათის მიხედვით, ცხოველებს ყოფენ —, —, —, — და —.


საკვანძო სიტყვები
ჰეტეროტროფი
მტაცებელი
პარაზიტი
ლეშისმჭამელი
ნაირმჭამელი
ბალაზისმჭამელი

განაცხადთ თქვენი ცოდნა

1. გაანაწილეთ ცხოველები ცხრილში კვების ტიპის მიხედვით:
ლომი, აფთარი, მერცხალი, ტკიბა, მტრედი, ჯიქი, ზვიგენი, დათვი, არწივი, ციყვი, გიურზა, სვავი, ბუ, ყვავი, რწყილი, ადამიანი, ჟირაფი, ტილი.

| ბალაზისმჭამელები | მტაცებლები | პარაზიტები | ნაირმჭამელები | ლეშისმჭამელები |
|------------------|------------|------------|---------------|----------------|
| | | | | |

2. მოიყვანეთ ცხოველების ურთიერთკავშირის მაგალითები.
შეადგინეთ წინადადებები, რომლებშიც ასეთი კავშირის აღმნიშვნელი წყვილი ცხება იქნება გამოყენებული.



33. ბაქტერიუმისა და სოკონების კვეპა

ერთი ლეგენდის მიხედვით, არაბი ვაჭარი ქენანი დილაადრიანად გაემგზავრა შორეულ მხარეში და საგზლად საჭმელთან ერთად რძეც გაიყოლა. რძის ჭურჭლად მომთაბარეებისთვის ტრადიციული ცხვრის გამომშრალი კუჭი გამოიყენა. როცა მობნელდა, ვაჭარმა ღამის გასათევი ადგილი შეარჩია და ძილის წინ რძის დალევა გადაწყვიტა. მაგრამ რძის ნაცვლად ცხვრის კუჭიდან წყალივით სითხე (შრატი) გადმოდინდა, ჭურჭლში კი რალაც დიდი თეთრი კოლტი დარჩა. იმედგაცრუებულმა ქენანმა მაინც გასინჯა ეს თეთრი კოლტი და მისმა სასიამოვნო გემომ გააკვირვა. ასე მოევლინა ქვეყნიერებას ყველი.

- რატომ გადაიქცა რძე ყველად?

საქმიანობა 1.

ცდისთვის მომზადება: ჩაასხით სხვადასხვა ჭიქაში თანაბარი რაოდენობის ადულებული და აუდულარი რძე. დადგით ჭიქები სიბნელეში რამდენიმე საათის განმავლობაში.

მუშაობის მსვლელობა: აღნიშნეთ, რომელ ჭიქაში „გაფუჭდა“ რძე.

ვიმსჯელოთ შედეგებზე: რით შეიძლება აიხსნას ეს მოვლენა?


ბაქტერიუმის კვეპა. ბაქტერიების უმრავლესობა ჰეტეროფროფებია, ანუ მზა ორგანული ნივთიერებებით იკვებება. ზოგიერთი მათგანი მკვდარი ორგანიზმების ნარჩენებით იკვებება. ასეთ ბაქტერიებს საპროფიტებს უნიფერენ. საპროფიტო ბაქტერიები მონაწილეობს მკვდარი ნარჩენების ხრნის, რძის მანვნად ქცევის ან კომბოსტოს დამუავების პროცესში.

არსებობს ბაქტერიები, რომლებიც ცოცხალი ორგანიზმების – ადამიანის, ცხოველის, მცენარის – ქსოვილებში ცხოვრობს და სხვადასხვა დაავადებებს იწვევს. ასეთ ბაქტერიებს პარაზიტი ბაქტერიები ენოდება.

არსებობს ისეთი ბაქტერიებიც, რომლებშიც მცენარის მსგავსად, მზის ენერგიის მოქმედებით ფოტოსინთეზის პროცესი მიმდინარეობს. ეს ბაქტერიები ავტოფროფებია.

სიმპიოზი. პარკოსანი მცენარეების ფესვზე მცხოვრებ ე.წ. კოურის ბაქტერიებს შეუძლია ატმოსფერული აზოტის შებოჭვა (ფიქსაცია) და მისი გარდაქმნა მცენარეების მიერ ადვილად შესათვისებელ ორგანულ აზოტოვან ნაერთებად. თავად ბაქტერიები, თავის მხრივ, მცენარისგან იღებს ნახშირწყლებსა და მინერალურ მარილებს. ამრიგად, მცენარესა და ფესვის კოურის ბაქტერიებს შორის ყალიბება ურთიერთსასარგებლო თანა-

ბატერიების საშუალებით მიღებული რძის პროდუქტები



ცხოვრება, რომელსაც სიმბიოზს უწოდებენ (ბერძნ. *symbiosis* – თანაცხოვრება). პარკოსანი მცენარებისა და კოჟრის ბაქტერიების სიმბიოზის შედეგად ნიადაგი აზოტით მდიდრდება.

სოკოების კვება. სოკოები ჰეტეროტროფებია, რადგან ისინი მზა ორგანული საკვებით იკვებება. ტენიან და ორგანულ ნივთიერებებით მდიდარ გარემოში მცხოვრები სოკოების საკვები სწორედ ამ ნივთიერების ნარჩენებია.

საფუარი სოკოების საკვები შაქარია. ცომის გაფუების პროცესში ეს სოკოები შაქარს სპირტად გარდაქმნის. ამასთან ერთად გამოყოფა ნახშირორუანგი, რომლის ბუშტუკები ცომს ფორმვანს ხდის.



კოჟრის ბაქტერიები

საქმიანობა 2.

ალფურვილობა: მშრალი საფუარი, ჭიქა, შაქრის ფხვნილი.

მუქამბის მსვლელობა: 1. ჩაყარეთ ჭიქაში ერთი მწიკვი მშრალი საფუარი. 2. დაამატეთ ერთი ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი. 3. ჩაასხით ჭიქაში 2-3 სუფრის კოვზი თბილი წყალი. 4. მოათავსეთ ჭიქა თბილ ადგილზე 15 წუთის განმავლობაში.

ვიმსჯელოთ შედეგებზე: რა შეამჩნიეთ? როგორ ახსნით ამ მოვლენას?

მიკორიზა. ზოგიერთი ქუდიანი სოკო ხის ფესვებთან სიმბიოზს ქმნის. ასეთ თანაცხოვრებას მიკორიზა (ბერძნ. *mykes* – სოკო, *rhiza* – ფესვი) ეწოდება. მიკორიზაში წვრილი ძაფები – მიცელიუმი – რომელიც სოკოს სხეულს ქმნის, ფესვის შეწოვის ზონას შემოეხვევა, ზოგჯერ კი მის შიგნთაც იჭრება. სოკოს მიცელიუმი ნიადაგიდან შთანთქავს წყალსა და მასში გახსნილ მინერალურ მარილებს და მცენარის ფესვს აწვდის. სამაგიეროდ, მისგან იღებს მისთვის მნიშვნელოვან ორგანულ ნივთიერებებს.

პარაზიტი სოკოები. ზოგიერთი სოკო პარაზიტობს სხვა ცოცხალ ორგანიზმში და მის ხარჯზე იკვებება. ასეთი სოკოები ადამიანის ორგანოებშიც არსებობს და სხვადასხვა სოკოვან დაავალებებს იწვევს.



საფუარი სოკო
მიკორიზა



სოკოს მიცელიუმის სიმბიოზი
ხის ფესვებთან
(მიკორიზა)

შეაგით ცოდნის გამოყენება

შეაგვსეთ ცხრილი „ბაქტერიების როლი ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში“:

| | |
|---------------------|---------------------------------------|
| ორგანიზმები | როლი ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში |
| ლპობის ბაქტერიები | |
| კოჟრის ბაქტერიები | |
| პარაზიტი ბაქტერიები | |
| საფუარები | |
| ქუდიანი სოკოები | |

რა შეიძლება

სოკოები და ბაქტერიების უმრავლესობა კვების ტიპის მიხედვით წარმოადგენს — . სოკოებისა და მცენარეთა ფესვების სიმბიოზს — ენოდება.

საკვანძო სიტყვები
ჰეტეროტროფები
მიკორიზა

შეაოცეთ თქვენი ცოდნა

- ჩანსრეთ ცხრილის სვეტებში შესაბამისი წინადაღებების ნომრები:
- არ აქვს ქლოროფილი და პლასტიდები;
- აქვს შეუზღუდავი ზრდის უნარი;
- კვების ტიპის მიხედვით ჰეტეროტროფებია;
- ნაკლებად მოძრავია.

| | |
|---|--|
| ცხოველებისა და სოკოების საერთო ნიშნები | მცენარეებისა და სოკოების საერთო ნიშნები |
| | |

- შეასწორეთ მცდარი მტკიცებები:

- მიცელიუმი სოკოს სხეულია.
- სოკოები ავტოტროფული ორგანიზმებია, ანუ მათ მზა ორგანული ნივთიერებები ესაჭიროება.
- პარაზიტი სოკოები სხვა ცოცხალი ორგანიზმების ხარჯზე იკვებება.
- სოკოები უმდაბლესი მცენარეებია.
- ყველა სოკო მრავალუჯრედიანი ორგანიზმია.
- სოკოებს არ აქვს ქლოროპლასტები და სხვა პლასტიდები.
- მიცელიუმი არის ხის ფესვებისა და სოკოს სხეულის სიმბიოზი.
- სოკო მუდმივად იზრდება.

34. მცენარეთა სუნთქვა

როგორც კი მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მცენარეები ჰაერს „ასუფ-თავებს“, მაშინვე მოდაში შემოვიდა მათი ოთახებში დადგმა.

ერთმა მდიდარმა ქალბატონმა გადაწყვიტა, საკუთარ თავზე გამოეცადა ეს მეცნიერული აღმოჩენა. მან მოსამსახურეს უბრძანა, საძინებელში ბევრი ოთახის მცენარე დაედგა. დილით ქალი ძლიერმა თავის ტკივილმა გააღვიძა და მანაც გაბრაზებულმა განაცხადა, რომ ეს მეცნიერული აღმოჩენა ერთი დიდი ტყუილი იყო და სხვა არაფერი.

- თქვენი აზრით, რატომ შეექმნა ასეთი წარმოდგენა მდიდარ ქალბატონს?

საქმიანობა 1.

აღჭურვილობა: ოთახის მცენარე, დიდი ზომის მინის ჭურჭელი.

ცდისთვის მომზადება: 1. დიდი ზომის მინის ჭურჭელში მოათავსეთ ოთახის მცენარე. 2. დააფარეთ ჭურჭელს მინის სახურავი და 24 საათის განმავლობაში სიბრელეში დადგით.

მუშაობის მსვლელობა: 24 საათის შემდეგ გამოიტანეთ ჭურჭელი, სახურავი მოხადეთ და მასში ანთებული სანთელი ჩაუშვით.

ვიმსჯელოთ შედეგებზე: ა) რატომ მოვათავსეთ მცენარე სიბრელეში? ბ) რა მოუვა ანთებულ სანთელს?

ცოცხალი ორგანიზმების სუნთქვა. ცოცხალი ორგანიზმების უმრავლესობა ცხოველქმედების პროცესში შთანთქავს უანგბადს და გამოყოფს ნახშირორჟანგს. ამ პროცესს სუნთქვა ეწოდება. სუნთქვის პროცესში შთანთქმული უანგბადი მონაწილეობს ორგანული ნივთიერებების დაშლაში, რომლის საბოლოო პროდუქტები წყალი და ნახშირორჟანგია. ამ პროცესში გამოიყოფა ენერგია, რომელიც აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმის არსებობისთვის. ეს ენერგია ისეთ მნიშვნელოვან პროცესებზე იხარჯება, როგორიცაა ზრდა, განვითარება და გამრავლება.

საქმიანობა 2.

აღჭურვილობა: ოთახის მცენარე, ვაზელინი.

ცდისთვის მომზადება: 1. ორ-სამ ფოთოლს ორივე მხარეზე წაუსვით ვაზელინი. 2. დააკვირდით ფოთლებს ერთი კვირის განმავლობაში.

მუშაობის მსვლელობა:

- აღნერეთ ის ცვლილებები, რომლებიც ფოთლებს შეამჩნიეთ.

ვიმსჯელოთ შედეგებზე:

- როგორ ფიქრობთ, რა არის ამ ცვლილებების მიზეზი?

მცენარეების სუნთქვა. სუნთქვის დროს მცენარეც უანგბადს მოიხმარს და ნახშირორჟანგს გამოყოფს. ზოგიერთი მცენარე სუნთქვისთვის საჭირო უანგბადს სხეულის მთელი ზედაპირით შთანთქავს, მაგალითად, წყალმცენარეები წყალში გახსნილ უანგბადს სხეულის მთელი ზედაპირით შთანთქავს. მცენარეთა უმრავლესობა ბაგეებითა და მეჭუჭებით სუნთქავს. ბევრ მცენარეში ბაგეები ფოთლების ქვედა მხარეზეა მოთავსებული. ბაგეების გახსნისა და დაკეტვის შედეგად ფოთლებში შედის ჰაერი. რაც შეეხება

მცენარეთა სუნთქვა



მეჭეჭებს, ისინი საფევშია (კორპშია) მოთავსებული.

ხმელეთის მცენარეებში ჰაერი მეზობელი უჯრედების დაშლის შედეგად წარმოქმნილი დიდი საპარო ღრუების საშუალებით ხვდება. ეს უჯრედშორისი სივრცეები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მცენარეთა სუნთქვაში.

მცენარეთა ფესვების სუნთქვა. მცენარის სხვა ორგანოების მსგავსად, ფესვებიც უანგბადს შთანთქავს და ნახშირორუანგს გამოყოფს. მცენარეები, რომლებიც მკვრივ, თიხნარ ან დაჭაობებულ ნიადაგებზე იზრდება, უანგბადის ნაკლებობას განიცდის. ასეთი ნიადაგებში წყალი ჰაერს აძევებს და ასე აფერხებს მცენარეთა სუნთქვას. ტროპიკულ მცენარეებს უვითარდება ე.წ. საპარო ფესვები, რომლებიც უზრუნველყოფს უანგბადის დამატებით მიწოდებას.

იმისათვის, რომ ფესვებს ჰაერი შეუფერხებლად მიეწოდებოდეს, ზამთრის მიწურულს სასურველია, სკოლის ეზოში ან სახლის ახლომახლო მდგარ ხეებს გარშემო მიწა თოხით გავუფხვიეროთ.

შეკითხვის ცოდნის გამოყენება

გამოიყენეთ სურათი და შეავსეთ მოცემული ცხრილი. რა კავშირია ფოტო-სინთეზია და სუნთქვას შორის?



| შესადარებელი ნიშნები | ფოტოსინთეზი | სუნთქვა |
|------------------------|--|---------|
| მიმდინარეობის პირობები | მხოლოდ მზის სანათლის არსებობისას | |
| პროცესის ადგილი | მხოლოდ ქლოროფილის შემცველ მწვანე უჯრედებში | |
| უანგბადი | გამოყოფა | |
| ნახშირორუანგი | შთაინთქმება | |
| ორგანული ნივთიერებები | სინთეზირდება | |
| ენერგია | შთაინთქმება | |

ჩა შეიტყოთ

ცოცხალი ორგანიზმების უმრავლესობა ცხოველებული ბის პროცესში შთანთქავს უანგბადს და გამოყოფს ნახშირორუანგს. ამ პროცესს — ენოდება.

საკანძო სიტყვები
სუნთქვა

შეამოცათ თქვენი ცოდნა

1. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები: 1) მცენარეები სუნთქვისას შთანთქავს —. 2) მცენარეები სუნთქვისას გამოყოფს —. 3) სუნთქვისას ორგანული ნივთიერებები —. 4) მცენარეები სუნთქავს — განმავლობაში. 5) სუნთქავს მცენარის — ორგანოები. 6) ფოტოსინთეზის დროს უანგბადი — უფრო მეტია, ვიდრე სუნთქვის დროს —.

2. შეადგინეთ წინადადებები ამ ცნებების გამოყენებით. თითოეულ წინადადებაში გამოიყენეთ ორი ცნება.

ბაგები ქლოროპლასტები მინერალური ნივთიერებები ორგანული ნივთიერებები

35. ცხოველთა სუნთქვა

ადამიანს საკვების გარეშე 1–1,5 თვე შეუძლია გაძლოს, წყლის გარეშე – რამდენიმე დღე, ჰაერის გარეშე კი – მხოლოდ რამდენიმე წუთი. სუნთქვის შეჩერება 5-6 წუთის განმავლობაში სიკვდილს იწვევს.

საქმიანობა. შეიკავეთ სუნთქვა 20-30 წმ-ის განმავლობაში. რომელმა თქვენგანმა გაძლო უფრო დიდხანს? რას გრძნობდით ამ დროს?

ცხოველთა სუნთქვა. ცხოველები, მცენარეების მსგავსად, უანგბადით სუნთქავენ, რომელსაც ჰაერიდან ან წყლიდან ითვისებენ. ერთუჯრედიანები და ზოგიერთი მრავალუჯრედიანიც უანგბადს სხეულის მთელი ზედაპირით ითვისებს.

საბინადრო გარემო პირობების მიხედვით ცხოველებს განსხვავებული ტიპის სუნთქვის ორგანოები ჩამოყალიბდათ.



სუნთქვა წყალში. ცხოველთა სუნთქვის ორგანოები სხვადასხვანაირია. წყალში მცხოვრები ცხოველების უმრავლესობა ლაყუჩებით სუნთქავს. ლაყუჩები დაქსელილია უამრავი სისხლძარღვით, რომელთა საშუალებითაც წყალში გახსნილი უანგბადი სისხლში ხვდება, სისხლიდან წყალში კი – ნახშირორუჟანგი. ლაყუჩები აქვთ კიბოსნაირებს, თევზებსა და ზოგიერთ მოლუსკებაც.

სუნთქვა ხმელეთზე. ხმელეთის ცხოველების სუნთქვის ორგანოებია ტრაქეები და ფილტვები. ტრაქეები მილებია, რომელებიც მწერის მთელ სხეულს ქსელავს. მწერებს მუცელზე აქვთ სპეციალური ხვრელები, რომელთა საშუალებითაც მუცლის კუნთების შეკუმშვისას ჰაერი ორგანიზმში ხვდება.

ფილტვები, ისე როგორც ტრაქეები, ატმოსფერული უანგბადით სუნთქვისთვის გამოიყენება ზოგიერთი ცხოველის (ძუძუმნოვრების და ფრინველების) ფილტვები შედგება მრავალი თხელ-

სუნთქვა ხმელეთზე

სუნთქვა წყალში




კედლიანი ბუშტუკისაგან, რომლებიც სისხლძარღვებით არის დაქსელილი და სადაც მიმდინარეობს კიდეც ინტენსიური აირთა ცვლა.

წყალხმელეთა ცხოველები (ამფიბიები) ფილტვების გარდა, კანითაც სუნ-თქავენ.

შეძლებული ცოდნის გამოყენება

დააჯგუფეთ სურათზე წარმოდგენილი ცხოველები საცხოვრებელი გარემოს მიხედვით და დაასახელეთ მათი სასუნთქი ორგანოები.



რა შეიძლება

მწერების სასუნთქი ორგანოებია —, კიბოები სუნ-თქავენ —, ფრინველები კი —.

საკვანძო სიტყვები
ტრაქეები
ლაყუჩები
ფილტვები

შეამოხათ თქვენი ცოდნა

- დაასრულეთ წინადადებები. წყალში სუნთქვა ხორციელდება —, ხოლო ხმელეთზე —. მწერებში სასუნთქი სისტემა წარმოდგენილია —. კანის ტიპის სუნთქვა განვითარებულია —. ერთუკულური ანი არგანიზმები, ნაწლავდრუიანები და ზოგიერთი ჭია სუნთქვას —. სუნთქვისას არგანიზმში შედის — და გამოიყოფა —. უანგბადი აუცილებელია —.
- უპასუხეთ კითხვებს: ა) თუ თავკომბალას წყლიდან ხმელეთზე ამოვიყვანთ, ის დაიღუპება. ბაყაყი კი მშვენივრად გრძნობს თავს წყალშიც და ხმელეთზეც. როგორ ახსნით ამ მოვლენას? ბ) რატომ ამოდის წვიმის შემდეგ ჭიაყელა მინის ზედაპირზე?
- კანის ტიპის სუნთქვა ადამიანსაც აქვს, მაგრამ ბაყაყს ის უკეთ აქვს განვითარებული. თქვენი აზრით, რატომ?

შემაჯამებელი დავალებები

1. შეარჩიეთ სწორი პასუხი:

- ძალლს გააჩნია გარეგანი / შინაგანი ჩონჩხი.
- მექანიკური / გამტარი ქსოვილი მცენარის ჩონჩხს ქმნის.
- გარეგანი ჩონჩხი აქვს თხუნელას / კიბოს.
- ერთულები დიანი ორგანიზმები არ გადაადგილდება ნამწამების / კუნთების მეშვეობით.

2. დააღავეთ ცხოველები კვების ფიპის მიხედვით

| | |
|--------------|------------------|
| გარეული კატა | მტაცებლები |
| ჟირაფი | ბალახისმჭამელები |
| ლორი | |
| არწივი | |
| ზეპრა | ნაირმჭამელები |
| ზვიგენი | |

3. გამოტოვებული ადგილების მაგივრად ჩასვით საკვანძო სიტყვები: 1. — სახლობს პარკოსანი მცენარეების ფესვებზე, შეუძლია, ჰაერიდან შეითვისოს აზოტი და ისე გარდაქმნას, რომ მცენარემ გამოიყენოს. 2 — ხრწნის მკვდარი ცხოველებისა და მცენარეების ნარჩენებს, აქცევს მას ნეშმბალად და ასე მონაწილეობს ნიადაგის ფორმირებაში. 3. — სახლდება მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანების ორგანიზმებში და ინცევს დაავადებებს. 4. — ცხოველებების შედეგად ცომი იწყებს აფუებას. საკვანძო სიტყვები: ლპობის ბაქტერიები, საფუარები, კოურის ბაქტერიები, პარაზიტი ბაქტერიები.

4. შეასწორეთ მცდარი მტკიცებები: ა) ფოტოსინთეზის დროს შთანთქმება უანგბადი. ბ) ფოტოსინთეზის დროს იხარჯება ორგანული ნივთიერებები. გ) ფოტოსინთეზისთვის საჭიროა მზის ენერგია. დ) სუნთქვის დროს ნარმოიქმნება ორგანული ნივთიერებები.

5. ამოარჩიეთ სამი სწორი პასუხი, რომელიც დაკავშირებულია ფოტოსინთეზის მნიშვნელობასთან:

ა) გამოიყოფა უანგბადი, რომლითაც სუნთქავენ სხვა ცოცხალი ორგანიზმები. ბ) ხელი ეშლება ნიადაგის დაშლას. გ) შთანთქავს ნახშირორჟანგს, რომელსაც სუნთქვის დროს გამოიყოფენ სხვა ორგანიზმები, მათ შორის, მცენარეები. დ) ნარმოიქმნება ორგანული ნივთიერებები, რომლებსაც საკვებად იყენებენ სხვა ცოცხალი ორგანიზმები.

6. რა ნივთიერებები მიეწოდება მცენარეს ნიადაგიდან კვების შედეგად?

ა) უანგბადი და წყალი. ბ) წყალი და მინერალური ნივთიერებები. გ) ნახშირორჟანგი და წყალი. დ) ორგანული ნივთიერებები.

36. მცენარეთა მიერ წყლის აორთქლება. ფოთოლცვენა

გამოანგარიშებულია, რომ სხვადასხვა მცენარე სხვადასხვა რაოდენობის წყალს აორთქლებს. მაგალითად, ზრდასრული სიმინდი დღე-ღამის განმავლობაში 800 გ წყალს აორთქლებს, კომბოსტო – 1 ლ-ს, ჭადარი კი – დაახლოებით 60 ლიტრს.

- როგორ ფიქრობთ, რაზეა აორთქლების ინტენსივობა დამოკიდებული?

წყალი უჯრედის ძირითადი შემადგენელი კომპონენტია და რთული სასი-ცოცხლო პროცესების მიმდინარეობას უზრუნველყოფს. წყლის გარეშე უჯრედი იღუპება. ნიადაგიდან ფესვების საშუალებით მცენარეში მუდმივად შედის წყალი და მასში გახსნილი მინერალური მარილები. მთანთქმული წყალი, მასში გახსნილი მინერალური ნივთიერებებით, ჭურჭლების საშუალებით მიეწოდება ღეროს, ფოთლებსა და მცენარის სხვა ორგანოებს. წყლის ვერტიკალური მიმართულებით გადაადგილებას ფესვური წნევა და ფოთლების მიერ წყლის აორთქლება უზრუნველყოფს.

მცენარეთა მიერ წყლის აორთქლება. ნიადაგიდან შეწოვილი წყლის გარკვეული (მცირე) რაოდენობა ფოთლოსინთეზის დროს იხარჯება. უფრო დიდი რაოდენობა კი ძირითადად ფოთლის ბაგების საშუალებით ორთქლდება. მცენარეთა მიერ წყლის აორთქლების პროცესს ტრანსპირაცია ეწოდება. აორთქლების ინტენსივობა გარემო პირობებზეა დამოკიდებული. მაღალი ტემპერატურისა და მზის ძლიერი განთების პირობებში, აგრეთვე ქარის დროს აორთქლების სიჩქარე იზრდება, ხოლო წყარი, წვიმიანი ამინდის დროს კი – მცირდება.

საქმიანობა. მცენარეების მიერ წყლის აორთქლებაზე დაკვირვება.

ალქურვილობა. ოთახის მცენარე ნემსინვერა (ან ნებისმიერი სხვა), კოლბა, ბამბა.



მუშაობის მსვლელობა: 1. გადმოსწიეთ მცენარის ფოთლებიანი ტოტი

და მოათავსეთ წყლიან კოლბაში ისე, რომ ფოთლები არ მოაჭროთ. 2.

კოლბას თავი ბამბით დაუცეთ, რათა მასში ჰერმა არ შეაღწიოს. 3. დაკვირდით

რაღაც დროის შემდეგ როგორ აორთქლდება და წყლის წვეთებით დაიფარება

კოლბის კედლები.

ტრანსპირაციის რეგულაცია. ფოთლის ბაგების გახსნა და დაკეტვა საშუალებას აძლევს მცენარეს, გაზარდოს ან შეამციროს აორთქლების ინტენსივობა. მცენარეთა უმრავლესობის ბაგები, როგორც წესი, ლიაა დღის განმავლობაში და დახურულია ღამით (სიბნელეში). ტენის ნაკლებობისას ფოთლის ბაგები დღის განმავლობაშიც დახურულია. მცენარეებს, რომელიც ტენიან ადგილებში ბინადრობს (მაგ., ბეგონია, ფიკუსი), გააჩნია მსხვილი ფოთლები, დიდი რაოდენობის ბაგებით, და დაბალი ფესვური წნევა.



აორთქლების მნიშვნელობა. მცენარის ფოთლების მიერ

წყლის აორთქლების გამო მუდმივად მიმდინარეობს წყლისა და

მასში გახსნილი ნივთიერებების მოძრაობა ფესვიდან ფოთლე-

ასე გამოიყურება ბაგე მიკროსკოპით

ბისკენ. მცენარის მიერ მინერალური მარილების ათვისებასთან დათვალიერებისას

ერთად წყლის ნაკადით შემოსვლას იწყებს ახალი ნივთიერებები.

გარდა ამისა, აორთქელება მცენარეს გადახურებისგან იცავს. ზოგჯერ, მაღალი ტენიანობის პირობებში, აორთქელება მცირდება და შესაძლებელი ხდება ფოთლების ზედაპირზე წყლის წვეთების დანახვა. ამ მოვლენას გუტაცია ეწოდება.

ფოთოლცვენა. შემოდგომაზე, აცივებასთან ერთად, მცენარის ფესვური წნევა თანდათან ეცემა და წყლის შენოვაც მცირდება. შედეგად, წყლის მარაგის აორთქელების თავიდან ასაცილებლად იწყება ფოთოლცვენა. ამ დროს ლეროსა და ფოთლის ყუნწის შორის ჩნდება გაკორპებული გამყოფი ფენა. ფოთლებში ქლოროფილი იშლება და სხვა პიგმენტები უფრო და უფრო ჭარბობს. ფოთოლცვენა ზოგჯერ ზაფხულის ცხელ პერიოდშიც აღინიშნება, როცა მცენარეს ტენი არ ჰყოფნის.

ფოთოლმცვენი და მარადმწვანე მცენარეები. მცენარეებს, რომლებსაც წელიწადის ცივ პერიოდში ფოთლები სცვევა, ფოთოლმცვენი მცენარეები ეწოდება. იმ მცენარეებს კი, რომელთა ფოთლები სიმწვანეს ინარჩუნებს, — მარადმწვანე მცენარეები. მიუხედავად იმისა, რომ მარადმწვანე მცენარეებისთვის არ არის დამასასიათებელი ფოთოლმცვენა, მოძერებული ფოთლები პერიოდულად მაინც ცვიგა. მაგალითად, ფიქტის წინვების ცვენა 2-3 წელიწადში ერთხელ ხდება, ხოლო ნაძვის წინვებისა – 5-7 წელიწადში ერთხელ.



შემარტივდების გამოხარება

დაალაგეთ მოვლენები ბუნებაში მიმდინარე პროცესების თანამიმდევრობის მიხედვით: а) ფოთლებში იშლება ქლოროფილი; б) ფოთოლი ფერს იცვლის; გ) ფოთოლსა და ლეროს შორის ნარმოიქმნება გაკორპებული ფენა; დ) ფოთოლი ნაბლისფერი ხდება; ე) ფოთოლი ტოტს სწყდება; ვ) ფოთოლი ვარდება.

საშეიცვალო ტექნიკები

მცენარეთა მიერ წყლის აორთქელების პროცესს — ეწოდება. წყლის მარაგის აორთქელების ასაცილებლად იწყება —. ფოთოლცვენის დროს ლეროსა და ფოთლის ყუნწის შორის ჩნდება —.

საკვანძო სიტყვები
ტრანსპირაცია
ფოთოლცვენა
გამყოფი ფენა

შეამოხვათ თქვენი ცოდნა

1. უპასუხეთ კითხვებს: 1) მცენარეების უმრავლესობას ბაგეები განლაგებული აქვს ფოთლებშის ქვედა მხარეზე. როგორ ფიქრობთ, სად აქვს ბაგეები დუმფარას? 2) ზოგიერთი ტროპიკული მცენარის ქვეშ მზიან ამინდში შეუძლებელია თავის შეფარება, რადგან ჩრდილს არ იძლევა. რა დამცველობითი საშუალებები განუვითარდა ასეთ მცენარეებს გადახურების თავიდან ასაცილებლად?
2. ამოხსენით ამოცანები: а) თეთრთავიანი კომბოსტო დღე-ლამის განმავლობაში 5 ჭიქა წყალს აორთქელებს. რამდენი ვედრო წყალი იქნება 40 კომბოსტოს მოსარწყავად საჭირო, თუ ერთ ვედროში 10 ლ წყალი ჩადის, ხოლო ჭიქაში – 200 მლ წყალი. ბ) ცხელი დღის განმავლობაში არყის ხეზ ვედრო წყალს აორთქელებს. რამდენ ლიტრ წყალს აორთქელებს არყის ხე ზაფხულის განმავლობაში, თუ ერთი ვედრო 10 ლიტრ წყალს იტევს?

37. ცხოველთა სატრანსპორტო სისტემა

ერთუჯრედიან ორგანიზმებში, მაგალითად, ამებასა და ინფუზორია-ქალა-მანაში, სხვადასხვა ნივთიერებები სხეულის ერთი ნაწილიდან მეორეში ციტოპლაზმის გამუდმებული მოძრაობის საშუალებით გადაიტანება. მრავალუჯრედიანი ორგანიზმების უჯრედები კი ცხოველქმედებისთვის საჭირო ნივთიერებებს მათ გარშემო არსებული ქსოვილური სითხიდან იღებს. ზოგიერთ ჭიას, მწერსა და უხერხებლო ცხოველში ეს სითხე მთელ სხეულში ცირკულირებს და ჰემოლიმფა ეწოდება. ცხოველთა უმრავლესობაში ნივთიერებათა ტრანსპორტირება სისხლის მიმოქცევის სისტემით ხორციელდება.

- რატომ მოსდის ადამიანს სისხლი სხეულის ნებისმიერი ნაწილის გაჭრისას?
- რა უზრუნველყოფს სისხლის მოძრაობას სხეულში?
- რა მნიშვნელობა აქვს სისხლის მოძრაობას ორგანიზმისათვის?

საქმიანობა. ასწიეთ ერთი ხელი მაღლა, მეორე კი დაუშვით. ერთი წუთის შემდეგ ორივე ხელი მაგიდაზე დადეთ.

ვიმსჯელოთ შედეგებზე:


- რატომ გაფერმკრთალდა ანეული ხელი და განითლდა ჩამოშვებული?

ნივთიერებათა ტრანსპორტი ცხოველებში. ცხოველთა უმრავლესობას გააჩნია სატრანსპორტო სისტემა, რომელიც ორგანიზმში ნივთიერებების გადატანას უზრუნველყოფს. ეს არის სისხლის მიმოქცევის სისტემა, რომელიც გულისა და სისხლძარღვებისგან შედგება. სისხლძარღვებში სისხლი ცირკულირებს. ცხოველთა უმრავლესობის სისხლი შედგება უფერული სითხის – პლაზმისა – და ფორმიანი ელემენტებისგან. სისხლის ნითელი უჯრედები (ერითროციტები) სისხლს წითელ ფერს აძლევს. მათ უანგბადი უჯრედებამდე მიაქვს და მონაწილეობს ქსოვილებში დაგროვილი ნახშირორჟანგის ორგანიზმიდან გამოდევნაში. სისხლის თეთრი უჯრედები (ლეიკოციტები) ანადგურებს ორგანიზმში მოხვედრილ უცხო ნაწილაკებს, ავადმყოფობის გამომწვევ მიკროორგანიზმებს. სისხლის ფირფაფიტები, ე.წ. თრომბოციტები სისხლის შედედების პროცესში მონაწილეობს. ორგანიზმში მოცირკულირე სისხლს საკვები ნივთიერებები მიაქვს ქსოვილებთან, იქიდან კი დაგროვილი მავნე ნივთიერებები გამოაქვს.


არტერიული და ვენური სისხლი. ჩვეულებრივ, ხერხემლიანი ცხოველების სისხლის მიმოქცევის სისტემაში ორი სახის სისხლი ცირკულირებს – არტერიული და ვენური. უანგბადით გაჯერებულ სისხლს არტერიულს უნოდებენ, ხოლო ნახშირორჟანგით გაჯერებულს – ვენურს.

ძუძუმწოვრებსა და ფრინველებში არტერიული და ვენური სისხლი ერთმანეთში არ ირევა, მაგრამ

ძუძუმწოვრების სისხლის
მიმოქცევის სისტემა



სისხლის შემადგენლობა




ბაყაყებში, ხვლიკებსა და გველებში გულის ერთ-ერთ განყოფილებაში სისხლი ერთმანეთს ერევა. ასე რომ, სხეულის ორგანოების უმრავლესობას შერეული სისხლი მიეწოდება.

გული და სისხლძარღვები. ბევრი ცოცხალი არსების ორგანიზმში სისხლის მოძრაობა გულისა და სისხლძარღვების საშუალებით ხდება. სისხლძარღვები სამი სახისაა – არტერიები, ვენები და კაპილარები.

სისხლძარღვებს, რომელთა საშუალებითაც სისხლი გულისკენ მიედინება, ვენებს უწოდებენ, ხოლო სისხლძარღვებს, რომელთა საშუალებითაც სისხლი გულიდან გაედინება – არტერიებს. კაპილარები წვრილი სისხლძარღვებია, რომლებიც მთელ სხეულს ქსელავს. სწორედ მათი საშუალებით მყარდება კავშირი უჯრედებსა და სისხლს შორის. სისხლს, რომელიც კაპილარებში ნელა მიედინება, უჯრედებში ჟანგბადი და საკვები ნივთიერებები მიაქვს, იქიდან კი დაშლის უვარვისი პროცესები და ნახშირორჟანგი გამოაქვს. ასე მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა.

შექმნილი ცოდნის გამოყენება

განსაზღვრეთ სქემაზე მითითებული ცნებები.



რა შეიტყოთ

- სატრანსპორტო სისტემაა, რომელიც შედგება
- და — და უზრუნველყოფს ნივთიერებათა გადატანას ორგანიზმში. სისხლძარღვებს, რომელთა საშუალებითაც სისხლი გულისკენ მიედინება — უწოდებენ, ხოლო სისხლძარღვებს, რომლებითაც სისხლი გულიდან გამოედინება —. წვრილ სისხლძარღვებს, რომლებიც ვენებსა და არტერიებს აკავშირებს — უწოდებენ.

საკვანძო სიტყვები

სისხლის მიმოქცევის სისტემა
გული
სისხლძარღვები
არტერია
ვენა
კაპილარი

გამოცხათ თემაზე ცოდნა

1. დაასრულეთ განმარტებები: ა) ვენა სისხლძარღვია, რომლითაც სისხლი — მიედინება. ბ) არტერია სისხლძარღვია, რომლითაც სისხლი — გაედინება. გ) — უწვრილესი სისხლძარღვებია, რომლებშიც მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა უჯრედსა და სისხლს შორის. დ) არტერიული სისხლი გაჯერებულია —. ე) ვენური სისხლი გაჯერებულია —.
2. მოძებნეთ მართებული მტკიცებები: 1) სისხლი შედგება პლაზმისა და ფორმიანი ელემენტებისგან. 2) ყველა ცხოველში სისხლს გადააქვს მხოლოდ უანგბადი. 3) ხერხემლიანი ცხოველების სისხლის მიმოქცევის სისტემა შედგება გულისა და სისხლძარღვებისგან. 4) არტერიები უწვრილესი სისხლძარღვებია, რომლებშიც მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა.

38. გამოყოფა

ცხოველქმედების პროცესის შედეგად ორგანიზმი გროვდება დაშლის საბოლოო პროდუქტები – მომშამველი ნივთიერებები, ჭარბი წყალი და მარილები.

- ორგორ გამოიყოფა ორგანიზმიდან ეს ნივთიერებები?


გამოყოფი ორგანოები და სისტემა ცხოველებში. ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებების გამოსაყოფად ცხოველებს განუვითარდა გამომყოფი სისტემა. გამოყოფის პროცესი არის ორგანიზმის ცხოველქმედების შედეგად ნარმოქმნილი და დაგროვილი არასაჭირო ნივთიერებების გარემოში გამოდევნა. სუნთქვისა და საჭმლის მონელების პროცესთან ერთად, გამოყოფა ნივთიერებათა ცვლის მნიშვნელოვნი ნანილს წარმოადგენს.

ერთუჯრედიან ცხოველებში (ამება, ინფუზორია-ქალამანა და სხვ.) ჭარბი წყლისა და მავნე ნივთიერებების გამოყოფა ძირითადად მფეთქავი ვაკუოლის საშუალებით ხდება. ცხოველთა უმრავლესობას კი ამ მიზნისათვის გამომყოფი სისტემა გააჩნია. ჭიებში გამომყოფი სისტემა წარმოდგენილია წვრილი, დაკლაკნილი არხების სახით, მწერებში – მაღალი მილაკებით, ზოგიერთ კიბოსნაირს კი ამისთვის წყვილი მწვანე ჯირკვალი აქვს. ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის გამომყოფ სისტემას წყვილი თირკმელი წარმოადგენს. მათში იფილტრება სისხლი, რომელიც სხვადასხვა ქსოვილებიდან და ორგაზოებიდან აქ მოდის და ზედმეტი წყლისა და მინერალური მარილებისგან თავისუფლდება. ასე წარმოიქმნება შარდი, რომელიც შარდსანვეთების საშუალებით გროვდება შარდის ბუშტში. იქიდან კი შარდსადინარით გამოიყოფა გარეთ.


გამოყოფა მცენარეებში. მცენარეებში ცხოველქმედების საბოლოო პროდუქტების გამოყოფა სხვადასხვა გზით ხდება. მაგალითად, ერთუჯრედიან წყალმცენარეებში წყლისა და უვარგისი ნივთიერებების გამოყოფას მფეთქავი ვაკონოლის შეკეშვა უზრუნველყოფს; მრავალუჯრედიან წყალმცენარეებში ეს პროცესი სხეულის მოელი ზედაპირით მიმდინარეობს. ხმელეთის მცენარეებში დაშლის პროდუქტები სპეციალური ჯირკვლებში – სანექტრეებში, ბუსუსებში – გროვდება და იქიდან გამოიყოფა გარეთ. ეს გამოყოფილი ნივთიერებები იზიდავს მწერებს, რომელიც დამტვერვას უწყობენ ხელს, აგრეთვე ეს ნივთიერებები იცავს მცენარეებს სხვადასხვა მიკროორგანიზმისა და ბალაზის-მჭამელი ცხოველებისგან. ხები ფოთოლუცვენის საშუალებით თავისუფლდება ფოთოლუბში დაგროვილი უვარგისი ნივთიერებებისგან.

გამოყოფა ცხოველებში


ინფუზორია



ობობა



ადამიანი





საქმიანობა. გასრისეთ ხელით მანდარინის ქერქი, პიჭნის ფოთოლი ან ფიჭვის წიწვები. რა იგრძენით?

ნივთიერებათა ცვლა. ორგანიზმი მუდმივად იღებს და გამოყოფს გარემოში გარკვეულ ნივთიერებებს. მიღებული ნივთიერებების დაშლის, ახალი ნივთიერებების წარმოქმნის, ტრანსპორტირების, გამოყოფის პროცესების ერთობლიობას ნივთიერებათა ცვლა ეწოდება. ნივთიერებათა ცვლა ცოცხალი ორგანიზმების ერთ-ერთი უძნიშვნელოვანესი ნიშანია. ნივთიერებათა ცვლის შეჩერება ორგანიზმის სიკვდილს იწვევს.

შექმნილი ცოდნის გამოყენება

მოძებნეთ შესაბამისობა მოცემულ ცხოველებსა და იმ სტრუქტურებს შორის, რომლებიც გამოყოფის პროცესებს უზრუნველყოფს.



საშეიცვალო

ერთუჯრედიანი ორგანიზმების უმრავლესობა ჭარბ წყალსა და მავნე ნივთიერებებს გამოყოფს — საშუალებით. ცხოველური ორგანიზმების უმრავლესობას მავნე ნივთიერებების გამოსაყოფად განუვითარდა —. ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის გამომყოფი სისტემა წარმოდგენილია წყვილი —. მცენარეებს არასაჭირო ნივთიერებები —, — და — უგროვდება, შემდეგ კი გარეთ გამოიყოფა.

საკვანძო სიტყვები

გამომყოფი ორგანოები
მფეთქავი ვაკუოლი
სპეციალიზებული ჯირკვლები
სანექტრეები
ბუსუსები
თირკმელი

შეამოვათ თქვენი ცოდნა

1. დაალაგეთ ხერხემლიანთა გამომყოფი სისტემის ორგანოები მათში დაშლის პროდუქტების გავლის თანამიმდევრობის მიხედვით: შარდსაწვეთები, შარდის ბუშტი, თირკმლები, შარდსადინარი.



2. მოძებნეთ მართებული მტკიცებები: ა) ერთუჯრედიანი ორგანიზმები ცხოველქმედების პროდუქტებს სპეციალური არხების საშუალებით გამოყოფს. ბ) სპილოს გამომყოფი სისტემა შედგება თირკმლების, შარდსაწვეთების, შარდის ბუშტისა და შარდსადინარისგან. გ) თირკმელი ჭიაყელას გამოყოფის ორგანოა. დ) ამება უვარების პროდუქტებს სხეულის ზედაპირით გამოყოფს. ე) მცენარეებს არ აქვთ სპეციალიზებული გამომყოფი სისტემა. ვ) მწერებს არ აქვთ სპეციალიზებული გამომყოფი სისტემა და ცხოველქმედების პროდუქტებს სხეულის ზედაპირით გამოყოფენ. ზ) გამომყოფი სისტემა უზრუნველყოფს ნივთიერებათა ცვლის შედეგად დაგროვილი აიროვანი პროდუქტების გარეთ გამოყოფას.


39. უსქესონ გამრავლება

მიუხედავად იმისა, რომ ცოცხალი არსებები კვლებიან, სიცოცხლე დედა-მიწაზე გრძელდება.

- როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?

საქმიანობა.

დააკვირდით
სურათებს, მოძებნეთ
და ახსენით
შეუსაბამობები.



უსქესონ გამრავლების ფორმები. უსქესონ გამრავლებას უწოდებენ ისეთ გამრავლებას, რომელშიც ერთი მშობელი მონაწილეობს და არ წარმოიქმნება სასქესო უჯრედები – გამეტები. ამის გამო შვილეული ინდივიდი მშობლის ასლს წარმოადგენს. არსებობს უსქესონ გამრავლების შემდეგი ფორმები: გაყოფა, სპორებით გამრავლება, დაკვირტვა და ვეგეტატიური გამრავლება.


ისეთი ერთუჯრედიანი ორგანიზმები, როგორებიცაა, ჩვეულებრივი ამება, მწვანე ევგლენა, ბაქტერიები, მარტივი გაყოფით მრავლდება. ხავსები, გვიმრები, წყალმცენარეების უმრავლესობა და სოკოები სპორებით მრავლდება, საფუარები და მტკნარი წყლის ჰიდრა – დაკვირტვით.

ზაფხულობით ჰიდრას სხეულზე პატარა გამონაზარდები, კვირტები, ჩნდება. ისინი თანდათან იზრდება, უჩნდება პირის ხვრელი, საცეცები, შემდეგ კი წყდება დედა ორგანიზმს და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს.

ვეგეტატიური გამრავლება. მცენარეები, ზოგიერთი ცხოველი და სოკო სხეულის ნაწილებით მრავლდება. გამრავლების ამ ფორმას ვეგეტატიურს უწოდებენ. მაგალითად, თუ ჰიდრას რამდენიმე ნაწილად დავჭრით, თითო-

უსქესონ გამრავლება

შუაზე გაყოფა




ჩვეულებრივი ამება და მწვანე ევგლენა

სპორებით გამრავლება



ობის სოკო

დაკვირტვით გამრავლება




ჰიდრა

ეული ნაწილისგან ახალი ორგანიზმი განვითარდება. სოკოს მიცელიუმის ერთი ან რამდენიმე უჯრედისგან შეიძლება ახალი ორგანიზმი განვითარდეს.

შექმნილი ცოდნის გამოყენება

დაალაგეთ ევგლენას, საფუარებისა და ქუდიანი სოკოების უსქესო გამრავლების ეტაპები სათანადო თანამიმდევრობით.



სა შეიტყველო

არსებობს — შემდეგი ფორმები: —, —, — და —.

საკუთრივი სიტყვები

უსქესო გამრავლება / გაყოფა / სპორებით გამრავლება / დაკვირტვა / ვეგეტატიური გამრავლება.

შეიმოვალი თემითი ცოდნა

1. დაადგინეთ შესაბამისობა გამრავლების ფორმის მიხედვით:

1) ბაქტერიები, უმარტივესები, ერთუჯრედიანი წყალმცენარეები. 2) საფუარები, ჰიდრა. 3) სოკოები, ხავსები, გვიმრები.

❶ მშობლის ორგანიზმი იზრდება, იყოფა ორ ნაწილად და ნარმოიქმნება შვილეული ინდივიდები.

❷ დედის სხეულზე ნარმოიქმნება გამონაზარდი — კვირტი.

❸ სპორას აქვს ძალიან მკვრივი გარსი, რომელიც გარემოს არახელსაყრელი ფაქტორების მიმართ გამძლეა.

2. ამოარჩიეთ მცდარი მტკიცებები: 1) გამრავლება ყველა ცოცხალი ორგანიზმის დამახასიათებელი ნიშანია. 2) ყვავილი ვეგეტატიური ორგანოა. 3) უსქესო გამრავლების დროს სასქესო უჯრედები ნარმოიქმნება და ხდება მათი შერწყმა. 4) დაკვირტვა უსქესო გამრავლების ფორმაა. 5) სპორა სპეციალური ნარმონაქმნია უსქესო გამრავლებისათვის და შედგება რამდენიმე უჯრედისგან.

40. ყვავილოვანი მცენარეების ვეგეტატიური გამრავლება

ერთ ზაფხულის დილას ბაბუა ფერხადი აგარაკის ბალში დარგულ ხეებსა და ბუჩქებს ათვალიერებდა. მესრის გასწვრივ მოცხარის ბუჩქები იზრდებოდა. „კარგი იქნებოდა, მოცხარი მთელ ბალში რომ დამერგო“, – გაიფიქრა მოხუცმა.

- თქვენი აზრით, როგორ შეძლებს ბაბუა ფერხადი ამის გაკეთებას?

ვეგეტატიური გამრავლება. ბუნებაში მცენარეების ვეგეტატიური გამრავლება ფართოდა გავრცელებული. ადამიანები ხშირად იყენებენ მცენარეთა გამრავლების ამ ფორმას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ან დეკორატიული მცენარეების რაოდენობის გაზრდისთვის. ვეგეტატიური გამრავლების მეთოდებს მიეკუთვნება: კალმებით (ფესვის, ღეროს და ფოთლის), ულვაშებით, ფესვის ამონაყრით, სახეცვლილი ყლორტებითა და ფესვებით, დამყნობით გამრავლება.

საქმიანობა.

ლაბორატორიული სამუშაო. ოთახის მცენარეების გამრავლება ფოთლის კალმებით.

ალტურვილობა: ოთახის მცენარე უზამბარული ია, ქოთანი ნოტიო ქვიშით, მაკრატელი, წყლიანი ჭიქა, ჭიქა მცენარისთვის დასაფარებლად, რეზინის ხელთამანები.


მუშაობის მსვლელობა: 1. მცენარე უზამბარულ იას ფრთხილად მოაჭერით ფოთლი. 2. გააკეთეთ ქვიშაში ჩაღრმავება. 3. მოათავსეთ ფოთლის კალამი ჩაღრმავებაში და მიაყარეთ ქვიშა. 4. მორწყეთ მცირე რაოდენობის წყლით. 5. დააფარეთ კალამს ჭიქა.

კალმებით გამრავლება. კალამი არის მცენარის რომელიმე ორგანოს პატარა ნაწილი. ფესვისა და ღეროს კალმებით შეიძლება გავამრავლოთ ზოგიერთ მერქნიანი და ბუჩქოვანი მცენარე. გაზაფხულზე მცენარეთა (მოცხარის, ვარდის, ნემისინვერის) ახალგაზრდა ყლორტებს მომზადებულ ნიადაგში ან სველ სილაში გადარგავენ. მცენარის გამრავლება ფოთლის კალმითაც შეიძლება. ფოთლებზე განლაგებული დამატებითი კვირტებიდან ვითარდება მცენარის მინისზედა ყლორტები. ცირცლის, ვერხვის, იასამნის, ჟოლოს და სხვა ხეებისა და ბუჩქების ფესვების დამატებითი ყლორტებიდან ვითარდება ფესვის ამონაყრები.

მცენარის სახეცვლილი ორგანოებით გამრავლება. მცენარეები შეიძლება გამრავლდეს გორგლებით (კარტოფილი, მინავაშლა), ფესურით (ჭანგა, გლერტა), ბოლევებით (ხახვი, ნიორი), გორგლბოლებით (გლადიოლუსი, ზაფრანა) და ულვაშებით (მარწვი, ბაია).

ვეგეტატიური გამრავლებისას ზოგჯერ გადაწვენას მიმართავენ. გადაწვენა ნიშნავს მცენარის ყლორტების, ნიადაგში ჩარგვას, რათა მას დამატებითი ფესვები განუვითარდეს. ამისათვის მცენარეს გვერდზე, ნიადაგის პარალელურად გადა-

კალმებით გამრავლება



აწვენენ და მინას აყრიან.

მყნობა. მცენარის გამრავლების მეთოდს, რომლის დროსაც ერთი მცენარის ნაწილს გადანერგავენ მეორე მცენარზე, მყნობა ეწოდება. ამასთან, მცენარეს (როგორც წესი ველურს), რომელზეც ამყნობენ, საძირეს უწოდებენ, ხოლო მცენარის ნაწილს, რომლის გადანერგვაც სურთ – სანამყენეს.

უბრალო (მარტივი) მყნობის დროს საძირე და სანამყენე ნაწილიც ისე იქრება, რომ მიღებისას კარგად ერგებოდეს ერთმანეთს. შემდეგ ამ ადგილს ახვევენ. უბრალო მყნობა, როგორც წესი, გაზაფხულზე ხდება. კვირტით მყნობისას ყველაზე ხშირად ასეთ მეთოდს იყენებენ: სანამყენეზე ამოტვიფრავენ T-ს ფორმის ჭრილს, სადაც ათავსებენ სანამყენე კვირტს. მყნობით შეიძლება გავამრავლოთ ხეხილის უმრავლესობა.

ვეგეტატიური გამრავლების მნიშვნელობა პუნქტაში. პუნქტაში თესალით გამრავლება ყოველთვის არ არის შესაძლებელი. მაგალითად, ჩრდილიან ად-


გილებში მარწყვი არ ყვავილობს და ამიტომ ვერც ნაყოფსა და თესლს იძლევა. ასეთ პირობებში ვეგეტატიური გამრავლება ერთადერთი გზაა. ამრიგად, ვეგეტატიური გამრავლება მცენარეებს გარემოში სწრაფად გავრცელებასა და საბინადრო არეალის გაფართოებაში ეხმარება.

რადგან ვეგეტატიური გამრავლების დროს დედა ორგანიზმის ნიშან-თვისებები ნარჩუნდება, ამიტომ ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება მებალეობაში. ასე ძვირფასი თვისებები მემკვიდრეობით გადაეცემა მომავალ თაობას.




გადანერით გამრავლება

მყნობის მეთოდები



„გაპოპიტ“ მარტივი კვირტით

სახეცვლილი ორგანოები



მარწყვის ულვაშები



გეორგინის ფესვ-გორგლები



შროშანის ბოლქვები



შროშანას ფესურა

თესლით გამრავლების შემთხვევაში ეს ნიშან-თვისებები არ ნარჩუნდება და მცენარე ველურდება. გარდა ამისა, ვეგეტატიური გამრავლების დროს ახალი მცენარის მიღება შედარებით მოკლე დროში ხერხდება.

შეკვეთი ცოდნის გამოყენება

გადაიტანეთ ცხრილი რვეულში, ჩაწერეთ მცენარეთა სახელწოდებები, რომ-ლებიც მითითებული მეთოდით მრავლდება.

| | |
|---|-----------------------|
| მცენარის ვეგეტატიური გამრავლების მეთოდი | მცენარეთა სახელწოდება |
| ფოთლის კალმებით | |
| ფესვის კალმებით | ფესვი |
| ყლორტის მიწისქვეშა სახეცვლილებები | |
| 1. ფესურა | |
| 2. გორგლი | |
| 3. ბოლქვი | |
| ყლორტის მიწისზედა ნაწილები | |
| 1. ღეროს კალმები | |
| 2. ულვაშები | |

რა შეიძლება

ფესვის კალმებით გამრავლება — მიეკუთვნება. გამრავლების მეთოდს, რომლის დრო-საც ერთი მცენარის ნაწილს მეორე მცენარეზე გადანერგვენ — ეწოდება.

საკვანძო სიტყვები
ვეგეტატიური გამრავლება
მყნობა

შეამოცათ თქვენი ცოდნა

- ვეგეტატიური გამრავლების რომელი მეთოდია გამოსახული სურათზე?

გამოიყენეთ ვენის დიაგრამა და მიუთითეთ ამ მეთოდის ორ სახეს შორის მსგავსება და განსხვავება.



- რა მეთოდებით მრავლდება მოცემული მცენარეები? გაითვალისწინეთ, რომ ერთი და იგივე მცენარე რამდენიმე მეთოდით შეიძლება მრავლდებოდეს. მაგალითად, 1 – გ, დ, ე.
- ვაშლი 2 კარტოფილი 3 მოცხაოვი 4 ხახვი 5 ნიორი 6 ჟოლო 7 არყის ხე 8 ჭანგა 9 შროშანა 10 მარწყვი 11 ვარდი 12 ქლიავი 13 გლადიოლუსი

- მხოხავი ყლორტებით;
- სახეცვლილი მიწისქვეშა ყლორტებით;
- ფესვის ამონაყრით;
- ღეროს კალმებით;
- მყნობით.

41. დამტვერვა



თუ ბალი დიდ ფართობზეა გაშენებული, ყოველთვის ცდილობენ, ყვავილობის პერიოდში იქ ფუტკრის სკები დადგან.

- როგორ ფიქრობთ, რატომ ეტანებიან მცენარეთა ყვავილებს ფუტკრები, ბუზები და პეპლები?
- რა პროცესი მიმდინარეობს ამ დროს?

ყვავილოვანი მცენარეების დამტვერვა. განაყოფიერებისათვის საჭიროა, მტვრიანებში წარმოქმნილი მტვერი ბუტკოს დინგზე მოხვდეს. ყვავილოვან მცენარეებში მტვრიანებიდან მტვრის ბუტკოს დინგზე გადატანას დამტვერვას უწოდებენ.

საქმიანობა. მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი. დაკოკრების სტადიაში მყოფ ბარდისა და ვამლის ყვავილებს მარლის ტომსიკები დააფარეს. ყვავილობის შემდეგ ბარდას განუვითარდა ნაყოფი, ვაშლს კი — არა.

- როგორ ახსნით ამ მოვლენას?
- სქემატური ნახატის მიხედვით გაარკვიეთ, რომელია ვაშლის ყვავილი და რომელი — ბარდის.
- როგორ ხდება დამტვერვა ამ მცენარეებში?




თვითდამტვერვა. მტვრიანებიდან მტვრის იმავე მცენარის ბუტკოს დინგზე გადატანას თვითდამტვერვა ეწოდება. თვითდამტვერვა ორსქესიან ყვავილებში ხდება, ანუ ისეთ ყვავილებში, რომელთაც მტვრიანებიც აქვს და ბუტკოც. ორსქესიან ყვავილებში ბუტკო და მტვრიანები ერთდროულად მნიშვნელოვანია. თვითდამტვერვას ყვავილის აგებულებაც უნდა უწყობდეს ხელს — მტვრიანები ბუტკოს ზემოთ უნდა მდებარეობდეს. ასეთ ყვავილებს, როგორც წესი, არ აქვს სუნი და ნექტარი. ისეთ თვითდამტვერავ მცენარეებში, როგორებიცაა ხორბალი, ფეტვი, ქერი, ბრონჯი, ბარდა, შვრია, დამტვერვის პროცესი გაუხსნელ კოკორში ხდება, ხოლო სელის, კენაფისა და ბამბის ბუჩქის შემთხვევაში — ყვავილის გაშლის შემდეგ.

ჯვარედინი დამტვერვა. ერთი ყვავილის მტვრიანებიდან მეორე ყვავილის ბუტკოზე მტვრის გადატანას ჯვარედინი დამტვერვა ეწოდება. ბუნებაში ჯვარედინი დამტვერვა უფრო ხშირად გხვდება, ვიდრე თვითდამტვერვა. ასეთ ყვავილებში ბუტკო და

თვითდამტვერვის სქემა



ჯვარედინი დამტვერვის სქემა



მტვრიანები სხვადასხვა დროს მწიფდება, ბუტკო კი მტვრიანების თავზეა მოთავსებული. არსებობს ჯვარედინი დამტვერვის რამდენიმე სახე.

1. ქარით დამტვერვა. ასეთ ყვავილებს არ აქვს კაშკაშა ყვავილსაფარი. ყვავილები ულამაზოა, სუნისა და ნექტრის გარეშე. ყვავილების მტვრიანებს გრძელი მტვრიანის ძაფები აქვს. სუსტი ქარის დროსაც კი მტვერი ადვილად იფანტება. ასეთ მცენარეებს მიეკუთვნება არყის ხე, ტირიფი, მუხა, ალვის ხე, სიმინდი, ჭვავი და სხვ.

2. მწერებით დამტვერვა. მწერები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მცენარეთა დამტვერვაში. ასეთ მცენარეთა ყვავილებს, როგორც წესი, აქვს ნექტარი და მტვერი, რომელიც მწერებს იზიდავს. ტკბილ ნექტარს სპეციალური ჯირკვლები – სანექტრები გამოყოფს, რომლებიც, ჩვეულებრივ, ყვავილის შიგნით, ყვავილის ფურცლების ძირში არის მოთავსებული. მწერებს, რომლებიც ტკბილი ნექტრით იკვებებიან, სხეულებზე ეწებებათ მტვერი, რომელიც შემდეგ სხვა ყვავილზე გადააქვთ. ასეთ მცენარეებს ყურადღების მისაპყრობად კაშკაშა ყვავილსაფარი აქვს. მათი ყვავილები, როგორც წესი, დიდა.

ზოგიერთ მცენარეს, რომელსაც მწერები მტვერავენ, მაგალითად, ყაყაჩის ყვავილს, კაშკაშა ყვავილსაფარი აქვს, მაგრამ ნექტარი არ გააჩნია. მათ ყვავილებს ისეთი მწერები მტვერავენ, რომლებიც მათი მტვრით იკვებებიან.

გულისაბასა და თამბაქოს არომატული ყვავილები დაბნელებისას იშლება, ამიტომ მათ ღამის მწერები მტვერავენ. მწერებს მცენარეების მიერ გამოცემული ძლიერი სურნელი და სიბნელეში ადვილად შესამჩნევი თეთრი ყვავილები იზიდავს. მზესუმზირა, ასტრა, გეორგინი და აგრეთვე ხეხილის უმრავლესობა მწერების საშუალებით იმტვერება. კარგად დამტვერილი მცენარეები კარგ მოსავალს იძლევა.

3. ხელოვნური დამტვერვა. მცენარეთა ახალი ჯიშების შესაქმნელად და მოსავლიანობის გასაზრდელად ადამიანები თავად მტვერავენ მცენარეებს. ამას ხელოვნური დამტვერვა ეწოდება.

ცრევი თუ არა, რომ?

დამტვერვა ფრინველების მეშვეობით. ზოგიერთ ტროპიკულ მცენარეს ფრინველები მტვერავენ. ასეთია, მაგალითად, კოლიბრი, თუთიყუშის ზოგიერთი სახეობა. კოლიბრის ნისკარტი, რომელიც გრძელ ჩიბუხს წააგავს, ყვავილიდან ნექტრის ამოსაწუნადაა მომარჯვებული.

დამტვერვა ძუძუმწოვარი ცხოველების მეშვეობით. ზოგიერთი მღრღნელი, კენგურუ, ოპოსუმი და ღამურა ყვავილების ნექტრით კვებისას მათ დამტვერვაში მონაწილეობს.

შექმნილი ცოდნის გამოყენება

- მოძებნეთ შესაბამისობა:
- ყვავილები მცირე ზომისაა, ულამაზო, ყვავილსაფარი ცუდად არის განვითარებული;
- ყვავილებში ნექტარია;
- მტვრის ნაწილაკები მსხვილია, ზედაპირზე გამონაზარდები აქვს;
- მტვრის ნაწილაკები წვრილია, მშრალი;
- ყვავილებს მძაფრი სუნი აქვს;
- ყვავილებში ნექტარი არ არის;
- ყვავილები დიდი ზომისაა, ყვავილსაფარი კაშკაშა.
- ყვავილებს სუნი არ აქვს;
- ყვავილები პატარა ზომისაა, შეჯგუფებულია დიდ, შესამჩნევ ყვავილედად;
- მცენარეები ჯგუფებად იზრდება.

- ა) მწერითმტვერია
მცენარეები
ბ) ქარითმტვერია
მცენარეები
გ) თვითმტვერია
მცენარეები

საშინაო მტკუთხათ

მტვრის გადატანას მტვრიანებიდან იმავე ყვავილის ბუტკოზე — ენოდება. მტვრის გადატანას ერთი ყვავილის მტვრიანებიდან მეორე ყვავილის ბუტკოზე — ენოდება.

საკუანძო სიტყვები
თვითდამტვერვა
ჯვარედინი დამტვერვა

შეამოხეთ თქვენი ცოდნა

- უპასუხეთ შეკითხვებს: 1) რატომ ყვავილობს ფოთლების გამოჩენამდე რუსული ბზა და თხმელა? 2) რატომ აქვს გვირგვინი ყვითელი ან თეთრი მცენარეებს, რომლებიც ღამით ყვავილობს? 3) რატომ გამოიყოფა ნექტარი სანექტრეებიდან წვერნევეთობით (გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი ტროპიკული მცენარე, რომლებსაც ფრინველები მტვერავენ)?
- შეადარეთ მცენარეთა დამტვერვის მეთოდები.

| ყვავილის ნიშან-თვისებები | მწერით-მტვერია მცენარეები | ქარითმტვე-რია მცენარეები | თვითმტვე-რია მცენა-რეები |
|---------------------------|------------------------------|-----------------------------|--------------------------|
| 1. გვირგვინი | | | |
| 2. მტვრიანების მდებარეობა | | | |
| 3. ბუტკოს მდებარეობა | | | |
| 4. მტვერი | | | |
| 5. სუნი | | | |
| 6. ნექტარი | | | |

42. ორგანიზმების სქესობრივი გამრავლება

გაზაფხულის დადგომასთან ერთად მცენარეებში ძლიერდება წვენის მოძრაობა, ხეებსა და ბუჩქებზე კვირტები იბერება და მაღლე ყვავილებიც ჩნდება. ყვავილები იმტვერება ქარისა და მნერების მეშვეობით, ან თვით-დამტვერვა ხდება, მაგრამ ყვავილობაც მაღლე მთავრდება.

- რა წარმოიქმნება ყვავილების ადგილზე?

საქმიანობა.

ლაბორატორიული სამუშაო.

ალტურვილობა: ოთახის მცენარეების ცოცხალი ყვავილები (ფურისულა, ჭორტანა) ან ზაფხულში მომზადებული და სპირტში შენახული ალუბლის ან ვაშლის ყვავილები; ლუპა, პინცეტი, საპრეპარაციო ნემსი.

მუშაობის მსვლელობა: • პინცეტის დახმარებით ყვავილისგან განაცალკევეთ მტვრიანები და ბუტკო; • დაათვალიერეთ მტვრიანა, დაასახელეთ მისი ნანილები; • დაათვალიერეთ ბუტკო, ჩამოთვალეთ მისი ნანილები; • რა ფუნქცია აქვს ყვავილის ამ ნანილებს? • გაჭერით ნასკვი, დაათვალიერეთ ლუპით. ნანახი რვეულში ჩაიხატეთ.

ვიმსჯელოთ შედეგებზე.


- რა წარმოიქმნება ნასკვისგან გვირგვინის ფურცლების ჩამოცვენის შემდეგ?

ფარულთესლოვანი მცენარეების სქესობრივი გამრავლება დაკავშირებულია ყვავილის წარმოქმნასთან. ყვავილის ნანილები, რომლებიც გამრავლებაში მონაწილეობს, არის ბუტკო და მტვრიანები. მათში მიმდინარეობს რთული პროცესი და წარმოიქმნება სასქესო უჯრედები, რომლებიც მონაწილეობს სქესობრივ გამრავლებაში.

მტვრისა და ჩანასახოვანი პარკის წარმოქმნა. მტვრიანა სამტვრესა და მტვრიანას ძაფისგან შედგება. სამტვრეებში უჯრედები იყოფა და წარმოიქმნება მტვერი. მტვრის მარცვალს ზედაპირზე მრავალრიცხვობანი წანაზარდი და წვეტი აქვს, რომელთა სამუჟალებითაც იგი ადვილად მაგრდება ბუტკოს დინგზე. ბუტკოს ნასკვში წარმოიქმნება თესლკვირტი. მცენარეებს სხვადასხვა რაოდენობის თესლკვირტი აქვს. მაგალითად, ხორბალს, ჭვავს, ქერს ერთი თესლკვირტი აქვს, ყაყაჩოს – ათასობით. ყოველ თესლკვირტს გარსი გააჩინა. თესლკვირტის შიგნით ვითარდება ჩანასახოვანი პარკი, რომელშიც კვერცხუჯრედი და ცენტრალური უჯრედი წარმოიქმნება.

ყვავილოვანი მცენარეების განაყოფიერება. დამტვერვის შემდეგ მტვრის მარცვლები ბუტკოს წებოვან დინგს ეკვრის. მტვრის მარცვალი იბერება და მისგან წარმოიქმნება გრძელი სამტვრე მილი, რომელიც ჩაიზრდება ბუტკოს სვეტში და მიაღწევს თესლკვირტამდე. ამ დროს მილში წარმოიქმნება ორი მამრობითი სასქესო უჯრედი – სპერმიები, რომლებიც მილის გავლით აღწევს ჩანასახოვან პარკს. ერთ-ერთი სპერმია კვერცხუჯრედს შეერწყმება, მეორე კი – ცენტრალურ უჯრედს. ასე ხდება განაყოფიერება. მცენარეთა ასეთი ტიპის განაყოფიერებას ორმაგ განაყოფიერებას უწოდებენ. იგი 1898 წელს რუსმა მეცნიერმა ს.გ. ნავაშინმა აღმოაჩინა.

ფარულთესლოვანი მცენარეების ორმაგი განაყოფიერების პროცესი



ნაყოფისა და თესლის წარმოქმნა. ერთ-ერთი სპერმიის კვერცხუჯრედთან შერწყმის შედეგად წარმოიქმნება ზიგოტა. ზიგოტა იწყებს გაყოფას და შედეგად ვითარდება მრავალუჯრედიანი თესლის ჩანასახი. განაყოფიერებული ცენტრალური უჯრედის გაყოფის შედეგად წარმოიქმნება ენდოსპერმი, რომელშიც სამარაგო საკვები ნივთიერებები გროვდება. ეს ნივთიერებები ჩანასახის ზრდასა და განვითარებას უზრუნველყოფს. განაყოფიერების შემდეგ თესლკვირტიდან თესლი ყალიბდება. ამავე დროს ნასკვში აღწევს საკვები ნივთიერებები. ნასკვი თანდათან მსხვილდება და ნაყოფად გადაიქცევა. ნასკვის კედლებიდან ნაყოფსაფარი ვითარდება, რომელიც თესლს იცავს.

მრავალუჯრედიანი ცხოველების სქესობრივი გამრავლება. ცხოველებიც სქესობრივი გზით მრავლდებიან. გამრავლებამდე მათაც უვითარდებათ სასქესო უჯრედები – გამეტები. მამრობითი სასქესო უჯრედები ცხოველებში მამრობით სასქესო ორგანოებში – სათესლეებში – ვითარდება და სპერმატოზოიდები ენდება. მცენარეული მამრობითი სასქესო უჯრედების, სპერმიებისგან, განსხვავებით, სპერმატოზოიდებს შოლტი გააჩნია, რომლის მეშვეობითაც აქტიურად მოძრაობს.

მდედრობითი სასქესო უჯრედი – კვერცხუჯრედი – მდედრობით სასქესო ორგანოებში, საკვერცხეებში ვითარდება. ის დიდი ზომისაა და უძრავია. მასში დიდი რაოდენობითაა საკვები ნივთიერებები. განაყოფიერებისას გამეტები ერწყმის ერთმანეთს და წარმოქმის ზიგოტას, რომლისგანაც ფორმირდება ჩანასახი.

სქესობრივი გამრავლების უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ ახალი ორგანიზმი ორივე მშობლის ნიშნებს ატარებს, რაც მას საშუალებას აძლევს, უკეთ შეეგუოს გარემოს ცვლილებებს.



შექაილი ცოდნის გამოყალიბა

დაადგინეთ შესაბამისობა:

1. სასქესო უჯრედების შერწყმა.
2. წარმოიქმნება საკერძოებებში.
3. წარმოქმნის კვერცხუჯრედებს.
4. წარმოქმნის სპერმატოზოიდებს.
5. თავისი მსგავსის წარმოქმნა.
6. წარმოიქმნება სათესლეებში.

- a) გამრავლება;
- b) კვერცხუჯრედი;
- c) სპერმატოზოიდები;
- d) განაყოფიერება;
- e) სათესლეები;
- f) საკვერცხეები.

რა შეიძლება

განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს ეწოდება —
— ბუტკოს ნასკვეში წარმოიქმნება —.

სპერმიების შერწყმას კვერცხუჯრედსა და
ცენტრალურ უჯრედთან ეწოდება —.

საკვანძო სიტყვები


ზიგოტა

ჩანასახოვანი პარკი

ორმაგი განაყოფიერება

განამოვალი თავისი ცოდნა

1. ამოარჩიეთ დასახელებული ტერმინებიდან ისეთები, რომლებიც აღნიშნავს ყვავილის „მამრობით“ და „მდედრობით“ ნაწილს. დაალაგეთ მათი ციფრული აღნიშვნები მოცემული ნიშნების ქვეშ.



ყვავილის „მამრობითი“ ნაწილი

ყვავილის „მდედრობითი“ ნაწილი

1. მტვერი
2. კვერცხუჯრედი
3. ბუტკო
4. სპერმია
5. თესლკვირტი
6. სამტვრე პარკი
7. დინგი
8. სვეტი

2. შემოთავაზებული ტერმინებით შეადგინეთ წინადადება მცენარეთა გამრავლების ერთ-ერთი ფორმის შესახებ: სქესობრივი გამრავლება, გამეტა, სპერმია, კვერცხუჯრედი, ზიგოტა, განაყოფიერება, ჩანასახი.

3. ამოარჩიეთ სწორი მტკიცებები: 1) უსქესო გამრავლებაში მონაწილეობს ერთი ან რამდენიმე მშობელი; 2) სასქესო უჯრედებს ეწოდება კვერცხუჯრედი და სპერმატოზოიდი; 3) უსქესო გამრავლების დროს წარმოიქმნება ერთი ახალი ორგანიზმი; 4) სქესობრივი გამრავლების წესით მრავლდება ყველა მრავალჯრედიანი ორგანიზმი; 5) დაკვირტვით მრავლდება, როგორც ერთუჯრედიანი, ისე მრავალუჯრედიანი ორგანიზმები; 6) სპორებით მრავლდება სოკოები, ხავსები, წყალმცენარეები, ლიქენები; 7) გამრავლების სპეციალურ სახეცვლილ ორგანოებს წარმოადგენს გორგლები, ბოლქვები, ფესურები; 8) ცხოველთა სასქესო უჯრედები სასქესო ორგანოებში წარმოიქმნება.

43. თესლის გაღივება

გაზაფხულის დღესასწაულის, ნოვრუზის, დროს ყოველ ოჯახში, როგორც წესი არის „სიამიანი“. ყველას უნახავს, რა მალე ამოინვერება ხორბლის დამბალი მარცვლებიდან ხასხასა მწვანე ღივები.

- რა პირობებია საჭირო თესლის გაღივებისათვის?
- რომელი თესლი შეიძლება გაღივდეს?

საქმიანობა. თესლის გაღივებისათვის საჭირო პირობები.

მიზანი: წყლის, ტემპერატურისა და ჰაერის მნიშვნელობის განსაზღვრა გაღივებისათვის.

ალტროვილობა: ლობიოს ან ხორბლის თესლი, 3 ჭიქა.

ცდისთვის მომზადება:

სამ ჭიქაში მოათავსეთ გოგრის ან მზესუმზირის ათ-ათი თესლი.

- 1-ელ ჭიქაში წყალი არ ჩაასხათ, მე-2 ჭიქა პირთამდე გაავსეთ, ხოლო მე-3 ჭიქაში იმდენი წყალი ჩაასხით, რომ თესლები მხოლოდ დაასველოს.
- ჭიქებს მინის სახურავები დააფარეთ და გააჩერეთ თბილ ადგილზე 4 დღის განმავლობაში.



ჭიქა №1 ჭიქა №2 ჭიქა №3

მუშაობის მსვლელობა:

- დაათვალიერეთ თესლები 4 დღის შემდეგ.
- ცდის შედეგები აღწერეთ.

ვიმსჯელოთ შედეგებზე:

- რომელ ჭიქაში გაღივდა თესლები? როგორ ფიქრობთ, რატომ?

გაღივებისათვის საჭირო პირობები. თესლის გაღივებისათვის აუცილებელია წყალი, ჰაერი და სითბო. ყვავილოვანი მცენარეების უმრავლესობისათვის თესლის გასაღივებლად საჭიროა დიდი რაოდენობით ჰაერი, ამიტომ ასეთი თესლები წყალში არ ღივდება. ბრინჯისა და ტიმოთელას თესლი არ მოითხოვს ამდენ ჰაერს და შეუძლია წყლის ქვეშაც გაღივდეს. მათთვის საკმარისია ის ჰაერი, რომელსაც წყალი შეიცავს.

თესლის გაღივებისათვის გარკვეული ტემპერატურაა საჭირო. ხორბლის, ბარდის, ჭვავის თესლს შეუძლია 3°C -მდე ტემპერატურის დროსაც კი გაღივდეს. მცენარეების უმრავლესობას თესლის გაღივებისათვის $10-15^{\circ}\text{C}$



ახალი მცენარის განვითარება თესლისგან

და ზოგჯერ უფრო მაღალი ტემპერატურაც ესაჭიროება. გაღივებამდე თესლი წყლით იჯირჯვება. ბარდის თესლს შეუძლია თავისი მასის ტოლი წყალი შთანთქას, სიმინდის მარცვალს – თავის მასაზე ორჯერ ნაკლები, ხოლო ფეტვის მარცვალი თავის მასაზე ოთხჯერ ნაკლებ წყალს შთანთქავს.

ზოგჯერ, ხანგრძლივი შენახვის შემდეგ ან გამოშრობის შემთხვევაში, თესლი კი იჯირჯვება წყლით და იბერება, მაგრამ აღარ ღივდება. ჩანასახის დაზიანება შესაძლოა, სხვადასხვა მავნებლის ან ობის სოკოების ზემოქმედებით იყოს გამოწვეული. ამრიგად, თესლის გაღივების აუცილებელი პირობა დაუზიანებელი ჩანასახის არსებობაა.


თესლის დათესვის სიღრმე. ნიადაგის თვისებებისა და თესლში სამარაგო საკვები ნივთიერებების რაოდენობის გათვალისწინებით, თესლი ნიადაგში სხვადასხვა სიღრმეზე შეიძლება დაითესოს. ჩვეულებრივ მოზრდილ თესლს ღრმად თესენ, მომცრო ზომისას – ნიადაგის ზედაპირთან ახლოს. ზოგჯერ ღრმად დათესილი თესლები ჰაერის ნაკლებობის გამო იღუპება. თუმცა ნიადაგის ზედაპირთან ძალიან ახლოს დათესვაც არ ვარგა, რადგან ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედებით თესლი შეიძლება დაიღუპოს.

ღივის კვება და ზრდა. თავისი განვითარების საწყის ეტაპზე ჩანასახი მასშივე არსებული ან ენდოსპერმაში დაგროვილი ნივთიერებებით იკვებება, თანდათან იზრდება და ღივად გადაიქცევა. ჩანასახის განვითარება დაკავშირებულია უჯრედების გაყოფასა და ზრდასთან. გალივებისას (მაგ. ლობიოს თესლის) თავიდან თესლის კანი ირლვევა, შემდეგ გაზრდილი ფერს ნიადაგში მაგრდება. ამის შემდეგ ჩანასახოვანი ღერო იწყებს ზრდას, ნიადაგის ზემოთ ამოაქვს ლებნები და კვირტი, რომლისგანაც მიწისზედა ღერო ვითარდება.

ბარდისა და ზოგიერთი სხვა მცენარის ღერო სუსტად ვითარდება, ამიტომაც ასეთი თესლის ლებნები მიწაში რჩება, ხოლო მიწისზედა ღერო პატარა კვირტისაგან წარმოიქმნება. ღივის შემდგომი განვითარება ფოტოსინთეზის ხარჯზე ხდება.

შეძენილი ცოდნის გამოყენება

გადაიტანეთ სქემა სამუშაო რვეულში და კითხვის ნიშნების წაცვლად საკვანძო სიტყვები ჩასვით.



რა შეიძლება

თესლის გაღივებისათვის საჭიროა —, — და —.
ისეთი მცენარეები, როგორებიცაა ბრინჯი და
ტიმოთელა, შეიძლება განვითარდეს —.

საკვანძო სიტყვები
ტემპერატურა
ჰაერი
წყალი

შეამოხვათ თქვენი ცოდნა

1. განსაზღვრეთ მოვლენათა თანამიმდევრობა ლობიოს თესლის გაღივებისას:
 - ა) ლებნებისა და პატარა დაკვირტული ღეროს წარმოქმნა;
 - ბ) პატარა მწვანე ფოთლების წარმოქმნა;
 - გ) ფესვის წარმოქმნა;
 - დ) ლებნების გამოშრობა;
 - ე) წყლით გაჯირჯვებული თესლების დაბერვა.
2. შეარჩიეთ მართებული მტკიცებები:
 - ა) გაღივებისას თესლები შთანთქავს ნახშირორქანგს და გამოყოფს ჟანგბადს;
 - ბ) გაღივებისას ჩანასახი იკვებება ენდოსპერმში ან ლებნებში არსებული სამარაგო ნივთიერებებით;
 - გ) გაღივებულ ხორბლის მარცვლებს მოტკებო გემო აქვს;
 - დ) მცენარის ღივი წარმოიქმნება ჩანასახის უჯრედების გაყოფის შედეგად;
 - ე) პატარა ზომის თესლები უკეთ ღივდება და ძლიერ ღივსაც იძლევა;
 - ვ) მშრალი თესლები არ სუნთქავს;
 - ზ) თესლის გაღივებისათვის საჭიროა ტენი, ჰაერი და სითბო;
 - თ) ღივს პირველად ფესვი უვითარდება.

44. ცხოველთა ზრდა-განვითარება

ყოველწლიურად მცენარეები იზრდება და ახალ ტოტებს იპამს. ქვირითის-გან გამოჩეკილი ლიფსიტა ჯერ პანაზინა თევზად გადაიქცევა, შემდეგ კი ზრდასრულ ინდივიდად.

- როგორ ფიქრობთ, რით განსხვავდება ცხოველისა და მცენარის ზრდის პროცესი?

საქმიანობა.

დაადგინეთ სწორი თანამიმდევრობა.



- რა არის გამოსახული თქვენ მიერ დალაგებულ სურათებზე?

ახალი ორგანიზმის განვითარება. ცხოველებში განაყოფიერებული კვერცხუჯრედის განვითარება, ზოგჯერ დედის ორგანიზმის შიგნით მიმდინარეობს ზოგჯერ – მის გარეთ. კვერცხუჯრედი შეიცავს ყვითრს, რომელიც უზრუნველყოფს ჩანასახის კვებას განვითარების საწყის ეტაპზე. ქვენარმავლებისა (ხვლიკების, ნიანგების, კუების) და ფრინველების კვერცხი ყვითრს დიდი რაოდენობით შეიცავს. ჩვეულებრივ, ცხოველები კვერცხს მათვის ხელსაყრელ გარემოში დებენ. მაგალითად, მწერები კვერცხებს მცენარეთა ფოთლებზე ან კოკრებზე დებენ, ზოგჯერ კი პირდაპირ ნაკელში. ქვენარმავლები კვერცხებს ნიადაგსა და სილაში დებენ, თევზები და ბაყაყები ქვირითს წყალში ყრიან.

კვერცხი გარედან გარსითაა დაცული. გარემოს ტემპერატურის ზეგავლენით მასში ჩანასახი ვითარდება. ძუძუმწოვრების ჩანასახი დედის ორგანიზმის სპეციალურ ორგანოში – საშვილოსნოში – ვითარდება (გამონაკლისს წარმოადგენენ კვერცხის მდებლები და ჩანთოსანი ძუძუმწოვრები). ჩანასახის ასეთ განვითარებას საშვილოსნოს შიდა განვითარებას უწოდებენ. ასეთ პირობებში ჩანასახი უკეთ არის დაცული გარემოს არახელსაყრელი ზემოქმედებისგან.

ცხოველთა ინდივიდუალური განვითარება. იმ ცხოველების ინდივიდუალური განვითარება, რომლებიც სქესობრივი გზით მრავლდებიან, განაყოფიერების პროცესიდანვე იწყება. ცხოველთა ინდივიდუალურ განვითარებას პირობითად შემდეგ პერიოდებად ყოფენ: 1. განვითარების საწყისი პერიოდი. 2. ჩამოყალიბებისა და ზრდის პერიოდი. 3. ზრდასრულობისა და სიბერის პერიოდი.

ფრინველის ინდივიდუალური განვითარება



1. განვითარების საწყისი პერიოდი – განვითარების პირველი პერიოდია. იგი ზიგოტის დაყოფით იწყება, რომლის შედეგადაც მრავალუჯრედიანი ჩანასახი წარმოქმნება. შემდგომში ამ უჯრედებისგან ახალი ორგანიზმის ქსოვილები და ორგანოები ვითარდება.


ლანცეტას განვითარების საწყისი პერიოდი



2. ორგანიზმის ფორმირებისა და ზრდის პერიოდი. კვერცხიდან გამოჩეკის ან დაბადების შემდეგ იწყება ახალი ორგანიზმის ფორმირებისა და ზრდის პერიოდი. ამ პერიოდში ცხოველების განვითარების ორი გზა არსებობს – პირდაპირი და არაპირდაპირი.

პირდაპირი განვითარება. თუ შთამომავლობა თავისი ნიშან-თვისებებით ჰგავს მშობლებს და მათგან მხოლოდ ზომებით განსხვავდება, ასეთ განვითარებას პირდაპირს უწოდებენ. ამ ტიპის განვითარება ახასიათებს ფეხსახსრიანების ზოგიერთ წარმომადგენელს, ქვეწარმავლებს, ფრინველებს, ძუძუმწოვრებს. პირდაპირი განვითარების დროს არ არსებობს ლარვის სტადია.

პირდაპირი განვითარება



არაპირდაპირი განვითარება. სხვა ცხოველების ზრდისა და ფორმირების პერიოდი იწყება ლარვის სტადიით, რომლის დროსაც ცხოველი არ ჰგავს ზრდასრულ ინდივიდს. ასეთ განვითარებას არაპირდაპირს უწოდებენ. იგი ახასიათებს მწერების უმრავლესობას და ბაყაყებს.

არაპირდაპირი განვითარება

პეპელა თავის განვითარების გზაზე ოთხ სტადიას გადის: კვერცხი, ლარვა (მატლი), ჭუპრი და ზრდასრული ინდივიდი.

კვერცხი განვითარების პირველი სტადია. პეპლები სხვადასხვა რაოდენობის კვერცხებს დებენ.


ლარვა (მატლი) თავისუფალ ცხოვრებას ეწევა. აქტიურად იკვებება და საკვებ ნივთიერებებს აგროვებს განვითარების მომავალი სტადიებისთვის. ზრდას თან ახლავს კანის მრავალჯერადი ცვლა.

ზრდასრული ინდივიდი. ზრდასრული ინდივიდი ჭუპრიდან გამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ სქესობრივად მწიფდება და გამრავლებას იწყებს. გამრავლებს მახედვით ცოცხლობს რამდენიმე დღე ან კვირა.

ჭუპრი. გარსის საბოლოო ცვლის შემდეგ მატლი ჭუპრად გადაიქცევა. ჭუპრი არ მოძრაობს და აქტიურად არ იკვებება. ამ სტადიაზე მატლის ქსოვილები და ორგანოები იცვლება და თანდათან ზრდასრული ინდივიდისას ემსგავსება.

შექმნილი ცოდნის გამოყენება

შეავსეთ სქემა



რა შეიძლება

ინდივიდუალური განვითარება პირობითად შემდეგ პერიოდებად იყოფა: —, — და —. თუ შთამომავლობა თავის ნიშან-თვისებებით მშობლებს ჰგავს და მათგან მხოლოდ ზომებით განსხვავდება, ასეთ განვითარებას უწოდებენ —. თუ შთამომავლობა არ ჰგავს ამ ცხოველის ზრდასრულ ფორმას, ასეთ განვითარებას უწოდებენ —.

საკვანძო სიტყვები


ფორმირებისა და ზრდის პერიოდი / პირდაპირი განვითარება / არაპირდაპირი განვითარება / ზრდასრულობისა და სიბერის პერიოდი / განვითარების საწყისი პერიოდი.

შეამოხათ თავისი ცოდნა

1. გაანაწილეთ ცხოველები ცხრილის შესაბამის სვეტებში: პეპელა, ბაყაყი, კოდალა, კატა, ზუთხი, ნიანგი, გველი, სპილო, სირაქლემა, ლოქო.

| | | |
|-----------------|---------------|---------------------|
| კვერცხებს დებენ | ქვირითს ყრიან | ცოცხალმშობები არიან |
| | | |

2. შეადარეთ ცხოველებისა და მცენარეების განვითარება, ვენის დიაგრამაში ჩანარეთ მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები.



შემაჯამებელი დავალებები

1. გაასწორეთ მცდარი მტკიცებები: 1. აორთქლება დამოკიდებულია ფოთლის ზედაპირის ფართობზე. 2. ძლიერი მშრალი ქარის დროს აორთქლება უფრო ნაკლებია, ვიდრე წყნარ ამინდში. 3. აორთქლება დამოკიდებულია პარტიის ტენიანობაზე. 4. აორთქლება მცენარეს გადახურებისგან იცავს.

2. მოძებნეთ შესაბამისობა:

| | |
|--------------|---|
| არტერიები | სისხლის თეთრი უჯრედები, რომლებიც ორგანიზმს მიკრობებისგან იცავს. |
| ვენები | ყველაზე მსხვილი სისხლძარღვები, რომლებსაც სისხლი გულიდან გამოაქვს. |
| კაპილარები | სისხლძარღვები, რომლებსაც სისხლი გულისკენ მიაქვს. |
| ერითროციტები | სისხლის წითელი უჯრედები, რომლებიც უანგბადით ამარავებს მთელ ორგანიზმს. |
| ლეიკოციტები | უწვრილესი სისხლძარღვები. |
| პლაზმა | სითხე, რომელიც სისხლის შემადგენლობაში შედის. |

3. დააჯგუფეთ ორგანიზმები უსქესო გამრავლების ფორმების მიხედვით.

| | | |
|---------------------|---------------------|-----------|
| უჯრედის ორად გაყოფა | სპორულით გამრავლება | დაკვირტვა |
|---------------------|---------------------|-----------|

1. ამება. 2. ხავსი. 3. ჰიდრა. 4. საფუარები. 5. მწვანე ევგლენა. 6. გვიმრა.

4. შეარჩიეთ სწორი პასუხები: ა) მცენარის ნაწილებით გამრავლებას **კეგე-ტატიური / გენერაციული** გამრავლება ეწოდება. ბ) მცენარის გამრავლებისათვის იყენებენ **ლეროს კალმებით / ფესვის კალმებით** მყნობას. გ) **ლეროს კალმებით** მრავლდება **მოცხარი / კარტოფილი.**

5. გამოტოვებული ადგილების ნაცვლად ჩაწერეთ საკვანძო სიტყვები:

- ა) — მცენარის მტვერი მშრალი უნდა იყოს.
ბ) — ხორციელდება ადამიანის მიერ.
გ) — უწვრილებენ ერთი მცენარის მტვრიანებიდან მეორე მცენარის ბუტყოს დინგზე მტვრის გადატანას.
დ) — მცენარეების ყვავილს კაშკაშა ფერის გვირგვინი აქვს.
ე) — უწვრილებენ ყვავილის საკუთარი მტვრით დამტვერვას.

საკვანძო სიტყვები: ქარითმტვერია, მწერითმტვერია, კვარედინი დამტვერვა, თვითდამტვერვა, ხელოვნური დამტვერვა.

ორგანიზმი და
გარემო

4

თავი 7

გარემოს გავლენა ორგანიზმზე და ბუნებრივი
თანასაზოგადოებები

45. ცოცხალი ორგანიზმების გავრცელება და
განსახლება გარემოში
46. გარემოსა და ორგანიზმის
ურთიერთდამოკიდებულება
47. ბუნებრივი თანასაზოგადოებები
48. ადამიანი და ცოცხალი ბუნება
49. აზერბაიჯანის ნაკრძალები
 - შემაჯამებელი დავალებები

თავი 8

ცხოველთა და მცენარეთა როლი ადამიანის
ცხოვრებაში

50. კულტურული მცენარეების მნიშვნელობა
ადამიანის ცხოვრებაში
51. სამკურნალო მცენარეები
52. ცხოველთა მოშინაურება და მათი როლი
ადამიანის ცხოვრებაში
53. ცოცხალი ორგანიზმების გავლენა ადამიანის
ჯანმრთელობაზე
54. სწორი კვება
 - შემაჯამებელი დავალებები



45. ცოცხალი ორგანიზმების გავრცელება და განსახლება გარემოში

ალბათ შეგინიშვნავთ, როგორ დაფრინავს ზაფხულში ბამბის მსგავსი ალვის ბუსუსები, მდელოზე ლივლივებს ბაბუანვერას „პარაშუტები“. არანაკლებ საოცარია თესლებისა და ნაყოფების სხვადასხვანაირი სამაგრები, რომელთა საშუალებითაც ისინი კარგად ეჭიდება ადამიანს ტანსაცმელზე.



- როგორ ფიქრობთ, რატომ აქვს მცენარეთა თესლებსა და ნაყოფებს ბუსუსები ან კავები, რომელთა საშუალებითაც ისინი მჭიდროდ ეკვრის ცხოველებსა და ადამიანებს?
- რისთვის სჭირდებათ მცენარეებს ასეთი საშუალებები?

საჭირობა. სქემაზე მცენარეები დაჯგუფებულია გავრცელების ხერხების მიხედვით. როგორ ფიქრობთ, რატომ ვრცელდება თითოეულ ჯგუფში მითითებული მცენარეები ამ კონკრეტული ხერხით?

- 5 ვრცელდება ცხოველების დახმარებით.



- 6 ვრცელდება ქარის საშუალებით.



- 8 ვრცელდება დაუხმარებლად (თვითგავრცელება).



მცენარეთა გავრცელება. ბუნებაში მცენარები თესლებისა და ნაყოფების საშუალებით ვრცელდება. ეს მცენარებს საშუალებას აძლევს, ახალ ადგილებში განსახლდეს. ნაყოფები და თესლები ძირითადად ორი სერზით ვრცელდება: დაუხმარებლად (თვითგავრცელებით) და სხვადასხვა ფაქტორების დახმარებით.


მცენარები, რომლებიც სხვა ფაქტორების დაუხმარებლად ავრცელებს თესლს. ზოგიერთი მცენარე დამოუკიდებლად ახერხებს თესლის გავრცელებას. ასე, მაგალითად, ზრდასრული კიტრანა თესლებს ნაყოფში დაგროვილ ლორწოსთან ერთად გამოისვრის გარეთ. მომწიფებისას უძრახელას, ლობიოსა და ყაყაჩოს ნაყოფსაფარი ხმება, შემდეგ სკდება და თესლებიც გარეთ იყრება.

თესლების გავრცელება სხვადასხვა ფაქტორების დახმარებით. მცენარეთა თესლები შეიძლება სხვადასხვა ფაქტორების – ქარის, წყლის, ცხოველების, ადამიანის – დახმარებით გავრცელდეს. ქარით გავრცელებისათვის ზოგიერთ მცენარეს განუვითარდა სპეციალური საშუალებები: ბუსუსების კონა თესლების გარშემო, ფრენიები და ფრთისებრი წანაზარდები. მაგალითად, ტრიოფისა და ალვის თესლებს ბუსუსები აქვს, ბაბუანვერას თესლებს – ფრენიები. ნეკერჩელის, ცაცხვის, იფინის ნაყოფს ფრთები აქვს, რომლებიც ფრენის დროს ბრუნავს. წყალში მცხოვრები დუმფარის ან ელოდეის და ნაპირზე მობინადრე მურყნის თესლი და ნაყოფი წყლის დახმარებით ვრცელდება.

მოცხარს, უოლოსა და მაყვალს კაშკაშა ფერის ნაყოფი აქვს და ამიტომ ადვილად იზიდავს ცხოველებს, ხოლო ოროვანდისა და ვირისტერფას ნაყოფს პატარა კავისებრი წანაზარდები აქვს, რომლებითაც ცხოველებს ეკვრის.

ცხოველთა განსახლება. ზოგიერთი ფრინველი, მწერი, თევზი და ძუძუმწოვარი ცდილობს, ახალი საბინადრო ადგილები დაიკავოს და ამიტომ მუდმივად გადაადგილდება, ანუ მიგრირებს.

მცენარეები, რომელთა თესლებიც დაუხმარებლად ვრცელდება




მცენარეები, რომელთა თესლი და ნაყოფი ქარის მეშვეობით ვრცელდება

პარაშუტები
(ბაბუანვერა)



ნეკერჩელი



იფანი

ცხოველთა მიგრაცია



ბაქტიერიებისა და სოკონების გავრცელება. ბაქტიერიების გავრცელება სპორების საშუალებით ხდება, რადგან ისინი კარგად უძლებს გარემოს არა-ხელსაყრელ პირობებს. სოკონებიც სპორებით ვრცელდება. დიდ მანძილზე სპორები ქარს, მწერებს ან ცხოველებს გადააქვს.

ამრიგად, განსახლებისა და ახალი საბინადრო ადგილების დაკავების უნარი ცოცხალი ორგანიზმების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა.

შექმნილი ცოდნის გამოყენება

შეიტანეთ ცხრილში ტექსტში განხილული მცენარეების ნაყოფებისა და თესლების გავრცელების გარკვეულ ხერხთან მისადაგებული სამარჯვების თავისებურებები.

| | | |
|--------------------------|--|-------------------|
| მცენარეთა სახელწოდება | გავრცელებისთვის მისადაგებული სამარჯვები | გავრცელების ხერხი |
| ნეკერჩალი | ნაყოფს აქვს ფრთისებრი წანაზარდები | ქარის დახმარებით |

რა შეიძლება

კიტრანის, ლობიოსა და ყაყაჩოსთვის დამახასიათებელია თესლის დაუბმარებლად — . მიგრაციის დროს ხდება ცხოველთა — ახალ ტერიტორიებზე.

საკვანძო სიტყვები
გავრცელება
განსახლება

შეამოხეთ თქვენი ცოდნა

1. დაასრულეთ წინადადებები: ნაყოფები და თესლები შეიძლება გავრცელდეს —, —, —, — და — მეშვეობით. მცენარეებს თესლების გავრცელებისთვის აქვს —. არყს, იფასა და ნეკერჩალს — დახმარებით გავრცელებისათვის აქვს —. სოკონები ვრცელდება — მეშვეობით.

2. დაადგინეთ შესაბამისობა:

ნაყოფებისა და თესლების აგებულების თავისებურებები

1. პატარა და მსუბუქი თესლები. ფრთისებრი წანაზარდების, ბუსუსების და ფრენიების წარმოქმნა

2. ნაყოფის გავსება წვენით, რომელიც ნაყოფის კედლებზე ახდენს ზენოლას

3. კავები, ეკლები, ბენვები

ნაყოფებისა და თესლების გავრცელების საშუალებები

ა) ქარით

ბ) ცხოველების საშუალებით

გ) თვითგაფანტვით

დ) ადამიანის დახმარებით

46. ორგანიზმების კავშირი გარემოსთან

„...მე ჩრდილში დავდექი, მზის მწველი სხივებისგან რომ დამეცვა თავი. სინოტივე იყო, მაგრამ ამ ტენს სიგრილე მოჰქონდა. ხის ტოტებიდან ჩიტების ულურტული ისმოდა“.

- ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების რომელ ფაქტორებზეა ლაპარაკი ამ ნაწყვეტში?
- თქვენი აზრით, რა ჰქვია ამ ფაქტორთა ერთობლიობას?

საქმიანობა. გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და ცხოველთა სახელნოდებები შესაბამის სტრიქონში ჩაწერეთ: არწივი, ღამურა, ჭიაყელა, მერცხალი, ჯეორანი, უირაფი, ბუ, თხუნელა, ვეფხვი, თუთიყუში, ბეღურა.

- რა გავლენას ახდენს დღის სინათლე ამ ცხოველების ცხოვრების წესზე?

| | |
|-----------------------|--|
| დღის ცხოვრებას ეწევა | |
| ღამის ცხოვრებას ეწევა | |
| ნიადაგში ცხოვრობს. | |

გარემოს ფაქტორები. ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ყველა ფაქტორი, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებს გარს აკრავს, ერთად ქმნის გარემოს. ისეთი პროცესები, როგორებიცაა კვება, სუნთქვა, ზრდა-განვითარება და გამრავლება, გარკვეულ გარემოში მიმდინარეობს. არაცოცხალი ბუნების ფაქტორებს მიეკუთვნება სინათლე, ტემპერატურა, ტენიანობა, ნიადაგი და ჰაერი. ცოცხალი ბუნების ფაქტორებს ბაქტერიების, სოკოების, მცენარეებისა და ცხოველების ზემოქმედება ქმნის. სადღეისოდ ადამიანის საქმიანობას გარემოს ცალკე ფაქტორად განიხილავენ.

გარემოს ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს ცოცხალ ორგანიზმებზე, ეკოლოგიურ ფაქტორებს უწოდებენ. მეცნიერებას, რომელიც ცოცხალი ორგანიზმების ერთმანეთთან და გარემოსთან დამოკიდებულებას შეისწავლის, ეკოლოგია ეწოდება.

არაცოცხალი ბუნების ფაქტორების მოქმედება ორგანიზმებზე. ცოცხალ ორგანიზმებზე მოქმედი ძირითადი არაცოცხალი ფაქტორებია: სინათლე, ტემპერატურა და ტენიანობა.

სინათლის ზეგავლენა. მცენარეებისათვის უმნიშვნელოვანესი ფოტოსინთეზის პროცესი მხოლოდ სინათლეზე მიმდინარეობს. რაც შეეხება ცხოველების დამოკიდებულებას განათებასთან, მათი ნაწილი დღის ცხოვრებას ეწევა, ნაწილი კი – ღამის ცხოვრებას.

ტენიანობის ზეგავლენა. წყლის სიჭარბე ან ნაკლებობა თვალსაჩინო გავლენას ახდენს ცოცხალ ორგანიზმებზე. მაგალითად, წყლის ნაკლებობის შემთხვევაში ზოგიერთი მცენარე ფოთლებს იცილებს, ზოგიერთი ბალახოვანი მცენარის მიწისზედა ნაწილები ხმება. მღრღნელები და კუები წყლის ნაკლებობისას ზაფხულის ძილს ეძლევიან.

არაცოცხალი ბუნების ძირითადი ფაქტორები

სინათლე



ტენიანობა



ტემპერატურა



ტემპერატურის ზემოქმედება. ყოველი ცოცხალი ორგანიზმი გარკვეულ ტემპერატურულ დიაპაზონში ცხოვრებას ეგუება. ზოგიერთი ცხოველის (ბაყაყის, ხვლიკის) სხეულის ტემპერატურა მუდმივი არ არის და დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე. ფრინველებისა და ძუძუმწოვრების ტემპერატურა მუდმივია და არ არის გარემოს ტემპერატურაზე დამოკიდებული, ამიტომ ისინი მთელი წლის განმავლობაში აქტიურ ცხოვრებას ეწევიან.

ზამთრობით, საკვების ნაკლებობისას, დათვები, ზღარბები, მაჩვები ზამთრის ძილს ეძლევიან. ზოგიერთი ფრინველი თბილ ქვეყნებში მიფრინავს, სადაც საკვები საკვარისია.

ცოცხალი ბუნების ზეგავლენა ორგანიზმებზე. ორგანიზმებზე სხვა ცოცხალი ორგანიზმებიც ზემოქმედებს. შედეგად, ორგანიზმთა შორის გარკვეული ურთიერთობა მყარდება.

შექმნილი ცოდნის გამოყენება

შესაბამის სვეტებში
ჩამონერეთ ცოცხალ
ორგანიზმებზე მოქმედი
ფაქტორები.



კი შეიტყვათ

გარემოს ყველა ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს ცოცხალ ორგანიზმებზე, — უწოდებენ. მეცნიერებას, რომელიც ცოცხალი ორგანიზმების ერთმანეთთან და გარემოსთან დამოკიდებულებას შეისწავლის, — ეწოდება.

საკვანძო სიტყვები
ეკოლოგიური ფაქტორები
ეკოლოგია

შეამოცათ თქვენი ცოდნა

1. გადაიტანეთ ცხრილი რვეულში. პირველ სვეტში ჩანს ფაქტის ნომერი, მეორეში იმ ფაქტორის სახელწოდება, რომელზეც ტექსტშია ლაპარაკი:

| ფაქტი | ფაქტორის სახელწოდება |
|-------|----------------------|
| ა) | |
| ბ) | |

ა. ნიანგის კრუხობისას მისი ტემპერატურის ერთი გრადუსით მომატება ნაშიერის სქესს განაპირობებს. ბ. წითელი და შავი მოცვის თესლები მხოლოდ იმ შემთხვევაში ღივდება, თუ მას ცხოველის საჭმლის მომნელებელი სისტემა აქვს გამოვლილი. გ. მღრნელები მარცვლოვან კულტურებს ჭამენ და ამით მათ მოსავლიანობას ამცირებენ. დ. ბევრ ცხოველს დღისით სძინავს და ღამით აქტიურდება. მათ კარგად აქვთ განვითარებული ღამით ნადირობისათვის საჭირო საშუალებები და ჩვევები.

2. გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ:

| | | |
|------------------------------|----------------------------|---------------------------|
| არაცოცხალი ბუნების ფაქტორები | მცენარეთა საპასუხო რეაქცია | ცხოველთა საპასუხო რეაქცია |
| | | |

47. ბუნებრივი თანასაზოგადოებები

რამიზმა მეგობარს მოთხრობიდან ნაწყვეტი წაუკითხა: „...მე ცოტა ხნით შევყოვნდი ლელქაშით დაფარული ჭაობის პირას. ჭრიჭინები ისე დაფრინავდნენ მის თავზე, თითქოს დაჭერობანას თამაშობენო. უცებ ჭაობიდან ბაყაყი ამოხტა და ფოთოლზე მჯდარი ქინქლა ენით თვალის დახამხამებაში დაიჭირა. ამ დროს ლელქაშიდან ყანჩა გამოვიდა. შეშინებულმა ბაყაყმა ისევ ჭაობში ჩახტომა სცადა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფრინველის გრძელ ნისკარტს ვერ დაუსხლტა“.

- რომელი ცოცხალი არსებებია აღწერილი ნაწყვეტში?
- რა იზიდავს მათ ჭაობში საცხოვრებლად?

საქმიანობა. დაალაგეთ ტბისა და ტყის ბინადრების აღმნიშვნელი ნომრები ცხრილის შესაბამის სვეტებში:

| ტყის ბინადრები | ტბის ბინადრები |
|---|----------------|
|  1. Hummingbird 2. Thrush 3. Ant 4. Squirrel 5. Pine tree 6. Beetle 7. Rabbit 8. Water plant 9. Fish 10. Mole 11. Oak tree 12. Snail 13. Dragonfly 14. Spider 15. Bear | |

• როგორ არიან ისინი დაკავშირებული ერთმანეთთან და საცხოვრებელ გარემოსთან?

ცოცხალი ორგანიზმების ბუნებრივი თანასაზოგადოებები. ტყეებში, ველებსა თუ ჭაობებში მობინადრე ცოცხალი არსებები შეგუებული არიან გარკვეულ ჯგუფებად ერთად ცხოვრებას. ცოცხალი ორგანიზმების ჯგუფი, რომელიც შეგუებულია გარკვეულ ტერიტორიაზე ცხოვრებას, ქმნის ბუნებრივ თანასაზოგადოებას. ბუნებრივ თანასაზოგადოებაში ორგანიზმები კავშირშია როგორც ერთმანეთთან, ისე არაცოცხალი ბუნების ფაქტორებთან (ნიადაგთან, წყლის რეჟიმთან და ა.შ.)

ეკოლოგიური სისტემა. ცოცხალი ორგანიზმები და მათი საცხოვრებელი გარემო ერთიანობაში ქმნის **ეკოლოგიურ სისტემას**. ნებისმიერი ეკოსისტემის საფუძველს ორგანული ნივთიერებების „მწარმოებელი“ მწვანე მცენარეები წარმოადგენს. ეკოსისტემის შემადგენელი ორგანიზმები, იკვებებიან რა სხვა ორგანიზმებით, ქმნიან კვებით ჯაჭვებს. მარტივი კვებითი ჯაჭვები, როგორც წესი, ერთიანდება და ქმნის რთულ კვებით ქსელს.

ბუნებრივი თანასაზოგადოებები



ბუნებრივ თანასაზოგადოებებში გარკვეული ურთიერთობები ყალიბდება. ეს ურთიერთობები უზრუნველყოფს კი-დეც ორგანიზმების თანაცხოვრებას.


კონკურენცია (მეტოქეობა). ერთი სახეობის ან სხვადასხვა სახეობის ინდივიდებს შორის, რომლებსაც მსგავსი მოთხოვნილებები აქვთ, ურთიერთდაპირისპირება ყალიბდება. ასეთ ურთიერთობას კონკურენცია ეწოდება. ორგანიზმები, რომლებიც კონკურენციას ვერ უძლებენ, იღუპებიან.

ურთიერთდამოკიდებულება „მტაცებელი – მსხვერპლი“. ბუნებრივ თანასაზოგადოებაში არსებობს ურთიერთდამოკიდებულება, რომელსაც „მტაცებელი – მსხვერპლი“ ეწოდება. ხელ-საყრელ პირობებში (საკვების სიჭარბე) მსხვერპლთა რაოდენობრივ მატებასთან ერთად იზრდება მტაცებელთა რაოდენობაც. ზოგჯერ მტაცებელი, გარკვეულად, სანიტრის როლსაც თამაშობენ – ჭამენ ავადმყოფ ცხოველებს და ამით დაავადებების გავრცელებას უშლიან ხელს.

ურთიერთდამოკიდებულება „პარაზიტი – მასპინძელი“. ბუნებრივ თანასაზოგადოებაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ერთი ორგანიზმი მეორეს იყენებს საცხოვრებლად და მის სარჯზე იკვებება. ასეთ ორგანიზმს პარაზიტს უწოდებენ, ხოლო ორგანიზმს, რომლის სარჯზეც პარაზიტი ცხოვრობს – მასპინძელს.

ურთიერთსასარგებლო ურთიერთობები (სიმბიოზი). თანასაზოგადოებაში ერთად ცხოვრების გამო მცენარეებსა და ცხოველებს, მცენარეებსა და მიკროორგანიზმებს, ცხოველთა სხვადასხვა სახეობებს შორის ჩამოყალიბდა ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა. მაგალითად, პეპლები მცენარეებს მტვერავენ, ამავე დროს მათი

ეკოლოგიური სისტემა



მარტივი კვებითი ჯაჭვი



მარტივი კვებითი ჯაჭვებისგან შემდგარი რთული კვებითი ქსელი

კონკურენცია (მეტოქეობა)



ურთიერთდამოკიდებულება „მტაცებელი – მსხვერპლი“.



ნექტრით იკვებებიან.

მთავარი მიზეზი იმისა, რომ ცოცხალი ორგანიზმები ბუნებრივ თანასაზოგადოებებს ქმნიან, არის ხელსაყრელი საბინადრო პირობების არსებობა.

ურთიერთსა-
სარგებლო
ურთიერთობა



შეკვეთი ცოდნის გამოყენება

| | | |
|-----------------------------------|--|-------------|
| ურთიერთდამოკიდებულების სახეები | ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფი ორგანიზმები | მნიშვნელობა |
| მტაცებელი – მსხვერპლი | | |
| პარაზიტი – მასპინძელი | | |
| კონკურენცია | | |

ჩა შეიტყოთ

— არის ცოცხალი ორგანიზმების ჯგუფი, რომელიც შეგუებული არიან გარკვეულ ტერიტორიაზე ერთად ცხოვრებას. საბინადრო გარემოსთან ერთად ორგანიზმების ასეთი ჯგუფები ქმნის ერთიან — სისტემას.

საკვანძო სიტყვები

ბუნებრივი თანასაზოგადოება
ეკოლოგიური სისტემა

შეამოვათ თაქვენი ცოდნა

1. დაათვალიერეთ სურათები. სურათებზე გამოსახული ცხოველებითა და მცენარეებით შეადგინეთ 3-5 რგოლისგან შემდგარი რამდენიმე კვებითი ჯაჭვი.



2. დაადგინეთ შესაბამისობა: ნიმუში: 1 - 8 - 2

ბუნებრივი
თანასაზოგადოებები

- I. ჭაობი
- II. ტყე
- III. უდაბნო
- IV. ტბა

განმარტება

- დაბლობი ადგილი, მცირერაოდენობის ნალექები, ქვიანი ნიადაგი, ხანგრძლივი ცხელი ზაფხული, ხანმოკლე ცივი ზამთარი, დაბალი ტენიანობა.
- სხვადასხვა სახის მცენარებით – ხებით, ბუჩქებით, ბალახით – დაფარული ხელებითი ნაწილი.
- წყალსატევი დამდგარი წყლით, ტენიანი, უნაყოფო (მწირი) ნიადაგით.
- წყალსატევის ნაწილი გამდინარე მტკნარი წყლით.

ცხოველები და მცენარეები

- 1 იღიმი, მურა დათვი, ციყვი, მგელი, ტახი, მუხა.
- 2 ბაყაყი, რუხი ყნჩა, წურბელა, ლელქაში, ცვრანა.
- 3 ბაყაყი, კოლო, ლელქაში, ისარა.
- 4 ხელიკი, მორიელი, საქსაული, კაქტუსი.

48. ადამიანი და ცოცხალი ბუნება

უკანასკნელი წლების სტატისტიკური მანაცემების მიხედვით, სასუნთქი გზების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების, ნერვული აშლილობების რიცხვი ქალაქის მცხოვრებთა შორის უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე სოფლის მცხოვრებთა შორის. დაავადებების მატებას სიკვდილის შემთხვევათა მატებაც მოჰყენა.

- როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია დიდ ქალაქებში დაავადებათა რიცხვის მომატება?
- თქვენი აზრით, რა არის გარემოს დაბინძურების ძირითადი მიზეზები?

საქმიანობა. დაათვალიერეთ სურათები. გარემოზე მოქმედი რომელი ფაქტორებია მათზე გამოსახული? რა შეიძლება გამოიწვიოს ამ ფაქტორებმა?



ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე. ძველ დროში ადამიანის საქმიანობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენდა ბუნებაზე. უძველესი ადამიანი მცენარეების შეგროვებითა და ცხოველებზე ნადირობით იყო დაკავებული. დღეისათვის კი ადამიანის ზემოქმედებამ ბუნებაზე ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ბუნებაში არსებულ ბალანსს (წონასაწორობას) საფრთხე დაემუქრა. ამიტომ კაცობრიობა სერიოზულად დაფიქრდა ბუნების დაცვის საკითხებზე.



„ნიკოლოზ ნიგნი“. 1948 წელს შეიქმნა ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირი. 1963 წელს ამ ორგანიზაციის სპეციალურმა კომისიამ გამოსცა პირველი „ნიკოლოზ ნიგნი“. ეს ნიგნი მუდმივმოქმედი სახელმწიფო დოკუმენტია, რომელიც შეიცავს მონაცემებს იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ცოცხალი ორგანიზმების შესახებ. აზერბაიჯანის პირველი „ნიკოლოზ ნიგნი“ 1990 წელს შეიქმნა.

დაცული ტერიტორიები. იშვიათი სახელმწიფოს დაცვისა და შენარჩუნებისათვის შეიქმნა დაცული ტერიტორიები – ნაკრძალები, აღკვეთილები და ეროვნული პარკები. აზერბაიჯანში არსებობს 9 ეროვნული პარკი, 11 ნაკრძალი და 24 აღკვეთილი.

ნაკრძალი განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიაა, სადაც აკრძალულია ადამიანის ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა, საქონლის ძოვება, ნადირობა, ხეების გაჩეხა, ტურიზმი და სხვ.

აღკვეთილი დროებით დაცული ტერიტორიაა ზოგიერთი სახელმწიფის შესანარჩუნებლად. აღკვეთილში დაშვებულია ადამიანის ისეთი საქმიანობა, რომელიც ზიანს არ აყენებს ცოცხალი ორგანიზმების დაცულ სახელმწიფს.

ასეთ ტერიტორიაზე რამდენიმე წლის განმავლობაში ან წლის გარკვეულ დროს ტარდება ღონისძიებები ამა თუ იმ სახეობის ცხოველის ან მცენარის დასაცავად.

ეროვნული პარკის ნაწილში, ნაკრძალისგან განსხვავებით, დაშვებულია დასვენება და ტურიზმი, მაგრამ ტერიტორიის გარკვეული ნაწილი დაცულია.

კაცობრიობა ცდილობს, გამოიყენოს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევები და მათი გამოყენებით უფრო ეფექტურად დაიცვას ბუნებრივი გარემო. ამისათვის ხორციელდება ტყეების აღდგენა, ინარმოება და მონტაჟდება გამწმენდი ნაგებობები, მუშავდება ახალი, ნაკლებად დამაბინძურებელი (უნარჩენო) ტექნილოგიები.

შექმნილი ცოდნის გამოყენება

ჩამოთვალეთ ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ბუნებაზე.

| | |
|-----------------------|------------------------|
| დადებითი ფაქტორები | უარყოფითი ფაქტორები |
|-----------------------|------------------------|

რა შეიძლება

იშვიათი სახეობების შენარჩუნებისა და დაცვი-სათვის შექმნილია დაცული ტერიტორიები: — , — , — . სახეობები, რომლებიც დაცვას საჭირო-ებენ, შეტანილია — .

საკვანძო სიტყვები
ნაკრძალები
აღკვეთილები
ეროვნული პარკები
„წითელი წიგნი“

შეამოვათ თქვენი ცოდნა

1. ახსენით სიმბოლოების მნიშვნელობა.



2. შეიტანეთ ცხრილში დაცული ტერიტორიების სახელწოდებები და თავისებურებები:

| დაცული ტერიტორიები | ? | აღკვეთილები | ? |
|-----------------------|--|-------------|---|
| თავისებურებები | განსაკუთრებულად დაცული ტერიტორია, სადაც აკრძალულია ადამიანის ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა | ? | ? |

49. აზერბაიჯანის ნაკრძალები

ნაკრძალი სახელმწიფოს მიერ დაცული ტერიტორიაა, რომელიც უზრუნველყოფს არსებული ბუნებრივი კომპლექსების შენარჩუნებას. ნაკრძალებში დაცულია იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მცენარეები, ცხოველები და ბუნებრივი კომპლექსები.


საქმიანობა. ცხრილის შესაბამის სტრიქონში შეიტანეთ ცხოველებისა და მცენარეების სახელწოდებები: თხა, ქურციკი, ძროხა, ცხენი, თაგვი, კურ-დღელი, შველი, ჯიტი, დათვი, მგელი, სელაპი, ტახი.

მოითხოვს განსაკუთრებულ დაცვას ფართოდ გავრცელებული ცხოველებია

- როგორ ფიქრობთ, რისგან (ვისგან) და როგორ უნდა დავიცვათ ეს ცხოველები?

აზერბაიჯანის ნაკრძალები. რესპუბლიკის ბუნებრივი ლანდშაფტებისა და იქ მობინადრე ცხოველებისა და მცენარეების სახეობების დაცვისა და შენარჩუნების საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ნაკრძალები. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქმედებს 11 სახელმწიფო ნაკრძალი.

ყიზილაღავის სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალი ყველაზე დიდია აზერბაიჯანში. მისი ფართობი 88 360 ჰექტარია. ის მსოფლიო მნიშვნელობის ნაკრძალია, რომლის ლანდშაფტი წყალში მცურავი და ჭაობის ფრინველების საარსებო გარემოა. კლიმატი ზამთარში ზომიერია, ზაფხულში – მშრალი და



აზერბაიჯანის დაკლოი ტერიტორიების რეკუ

ცხელი. ნაკრძალის ტერიტორიაზე გავრცელებულია წყლის, ჭაობის, ნახევარუდაბნოსა და ველის მცენარეები.

ნაკრძალის ტერიტორიაზე ბინადრობს დაახლოებით 20 სახეობის ფრინველი (ქოჩირიანი და ვარდისფერი ვარხვები, შავი ყანჩა, ფსოვი, ანუ თეთრკულდა არწივი, ბექობის არწივი, მთის არწივი, დურაჯი, სავათი, სარსარაკი, პორფირიონი, ანუ ხონთქრის ქათამი, ვარდისფერი ფლამინგო და სხვ.), რომელებიც შეტანილია „აზერბაიჯანის რესპუბლიკის წითელ წიგნში“.

ნაკრძალის ულამაზესი ბუნების, მცენარეთა და, განსაკუთრებით, ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, სამომავლოდ იგეგმება ყიზილალაჯის სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიებით გაფართოება. შედეგად შეიძლება შეიქმნას ეროვნული პარკი, რომელიც საუკეთესო ადგილი იქნება როგორც ტურისტების, ისე ადგილობრივი მოსახლეობის მისაზიდად.

შექმნილი ცოდნის გამოყენება

ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს გამოყენებით შეაგროვეთ მასალა დედამიწაზე მობინადრე გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისა და მცენარეების სახეობების შესახებ. ამ მასალის მიხედვით მოამზადეთ პრეზენტაცია შემდეგი გეგმით:

გეგმა

- მცენარის ან ცხოველის სახელწოდება;
- საბინადრო ადგილი;
- რიცხოვნობის შემცირების მიზეზები;
- თავისებურებები (რაოდენობა, ცხოვრების ნირი და ა. შ.);
- სახეობის გადასარჩენად დასახული ღონისძიებები;
- თქვენ მიერ სახეობის გადასარჩენად რეკომენდებული დამატებითი ღონისძიებები.

რა შეიძლება

იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისა და მცენარეების სახეობების დასაცავად აზერბაიჯანში მოქმედებს — . ყველაზე დიდი ნაკრძალი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არის — .

საკვანძო სიტყვები

**ნაკრძალები
ყიზილალაჯის ნაკრძალი**

შეამოვათ თევანი ცოდნა

1. რა ღონისძიებები ტარდება გადაშენების პირას მყოფი ცხოველების გადასარჩენად?
2. რა მეთოდებით უნდა შევაგროვოთ ინფორმაცია ამ ცხოველებზე?

შემაჯამებელი დავალებები

1. შეისწავლეთ ეკოლოგიური ფაქტორების ცოცხალ ორგანიზმებზე ზემოქმედების ფაქტები. ჩასვით ფაქტის ნომერიცხრილის შესაბამის უჯრაში.

1. ჰაერის მასების გადაადგილება მნიშვნელოვან როლს ასრულებს თესლებისა და სპორების გავრცელებაში, აფართოებს უძრავი ორგანიზმების განსახლების შესაძლებლობას. 2. ტროპიკული ტყეების მცენარეებისათვის $+5\dots+8^{\circ}\text{C}$ ტემპერატურა დამდუცველია. 3. ზოგიერთ ორგანიზმს ცხოვრება შეუძლია ცხელ წყაროებში $+85\dots+90^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის პირობებში. 4. ქარიანი ამინდის დროს ზედაპირიდან აორთქლება იზრდება, რაც ორგანიზმებს გადახურებისგანიცავს.

| ეკოლოგიური ფაქტორი | მცენარეები | ჰაერის გადახურები | სოკობი |
|--------------------|------------|-------------------|--------|
| | | | |

2. განსაზღვრეთ ურთიერთობის ტიპი, რომელიც ორგანიზმების თანაცხოვრებას უზრუნველყოფს.



მტაცებელი –
მსხვერპლი

მეტოქეობა
(კონკურენცია)

ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა

პარაზიტი –
მასპინძელი

3. უპასუხეთ კითხვას: „რა მოხდება, ჭაობი რომ დაშრეს?“ და შემოგვთავაზეთ ბუნებრივ კომპლექსებზეადამიანის ზემოქმედების 3-4 შესაძლებელი შედეგი.

4. შეასწორეთ კვებითი ჯაჭვები:

- პეპლები \Rightarrow ყვავილები \Rightarrow ობობები \Rightarrow მტაცებელი ფრინველები \Rightarrow ხელიკები
- მარცვლოვნები \Rightarrow ბაყაყები \Rightarrow კალიები \Rightarrow ძერა
- გველი \Rightarrow თაგვი \Rightarrow ბუ \Rightarrow მარცვლეული

5. შეგუების რა საშუალებები აქვს წყლის გარემოში მობინადრე მცენარეებს? ამოარჩიოთ 3 პასუხი:

- ა) სუსტად განვითარებული ფესვთა სისტემა;
- ბ) სუსტად განვითარებული მექანიკური ქსოვილი;
- გ) ღრმად ნასული ფესვები;
- დ) დიდი თხელი ფოთლები;
- ე) ცვილისებრი ნაფიფქი ფოთლებზე.

თავი 8

მცენარეებისა და ცხოველების როლი ადამიანის
ცხოვრებაში

50. კულტურული მცენარეების როლი ადამიანის ცხოვრებაში

მცენარეებში მიმდინარე ფოტოსინთეზის პროცესი ცოცხალ ორგანიზმებს საჭირო რაოდენობის ჟანგბადით ამარაგებს. მცენარეები არბილებს კლიმატს, ასუსტებს ქარის სიძლიერეს, ფესვთა სისტემით იცავს ნიადაგს გამოფიტვისგან.

- თქვენი აზრით, როგორ აისახებოდა დედამიწაზე მობინადრე სხვა ცოცხალ არსებებზე მცენარეული საფრის განადგურება?

კულტურული მცენარეები. ჯერ კიდევ უძველეს დროში ადამიანები ასხვა-ვებდნენ სამყურნალო, საკუვებ და ესთეტიკური დანიშნულების მცენარეებს. თავიდან ადამიანები იკვებებოდნენ საცხოვრებლის სიახლოვეს არსებული მცენარეებით, მოგვიანებით კი თავად დაიწყეს მათი მოყვანა. ათასობით წლის განმავლობაში მცენარეებმა მრავალგვარი ცვლილება განიცადეს, რის შედეგადაც მივიღეთ კულტურული მცენარეები. კულტურულ მცენარეებს ადამიანის მიერ მოყვანილ მცენარეებს უწოდებენ. უძველეს კულტურულ მცენარეებს მიეკუთვნება ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი და სხვა მარცვლეული მცენარეები.

საქმიანობა 1. დაამატეთ სქემაზე მოყვანილ პირობით ჯგუფებში გაერთი-ანებულ მცენარეთა ჩამონათვალს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავრცელებული თქვენთვის ნაცნობი სხვა მცენარეების სახელწოდებები.

დეკორატიული მცენარეები:
ვარდი, ასტრა...

ცხოველთა საკვები
მცენარეები: სამყურა,
ხანჭკოლა...

სანელებლები: მდოგვი,
კვლიავი...

მარცვლეული: ხორბალი,
ქერი...

ბოსტნეული: პომიდორი,
კომბოსტო...

ტექნიკური მცენარეები:
შაქრის ქარხალი...

სამკურნალო მცენარეები:
უენშენი, კატაბალახა...

კაკლისებრი ნაყოფის მქონე
მცენარეები: კაკალი, თხილი...

ბალჩეული: საზამთრო, ნესვი...

ხილ-კენკროვანი მცენარეები:
ვაშლი, ყურძენი...

კულტუ-
რული
მცენა-
რეები

დეკორატიული მცენარეები. ადამიანები დეკორატიულ მცენარეებსა ეს-თეტიკური მიზნით ამრავლებენ. რაღაც ითახის მცენარეთა უდიდესი უმრავლესობა ტროპიკულია, მოვლისას მათთვის ჩვეული ბუნებრივი პირობების შექმნაა საჭირო.

ითახის მცენარეების გამოყენება შეიძლება სხვადასხვა მიზნით, მაგალითად, კალანტონეს, საათას, ვეფხისტყავას, ალოეს ანთების საწინააღმდეგო თვისებები აქვს. ნიუკას და კალას „ითახის ბარომეტრს“ უწოდებენ.
სამკურნალო თვისებების
მქონე მცენარეები

ამინდის ცვლილებისას, წვიმის დაწყებამდე, კალის ფოთლებიდან წყლის წვეთები გადმოდის. ქლოროფიტუმი და ნეფროლებისი ჰაერს წმენდას



კალანტონე

საათა

ვეფხისტყავა

ალოე

და უანგბადით ამდიდრებს. ერთი ქლოროფიტუმიც კი საკმარისია სამზარეულოში ჰაერის გასაწმენდად. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კაქტუსი რადი-აქტიური გამოსხივებისაგან გვიცავს. თუმცა ითახის ისეთი მცენარეები, როგორებიცაა რძიანა ან დიფენბახია, შხამიანია და მათთან ფრთხილად მოპყრობაა საჭირო.

დეკორატიული მცენარეები



ნიუკა

ქლოროფიტუმი

გვიმრა
ნეფროლებისი

დიფენბახია

ოთახის მცენარეების მოვლა

1. მცენარეები მოვრწყათ ოთახის ტემპერატურის წყლით.
 2. იმისათვის, რომ მცენარის ფესვებს ჰაერი კარგად მიეწოდოს, ნიადაგი ფესვებთან სისტემატურად გავაფხვიეროთ (შევეცადოთ, გაფხვიერებისას ფესვები არ დავაზიანოთ).
 3. პერიოდულად მცენარის ფოთლები სველი ნაჭრით გავწმინდოთ.
 4. გამხმარი ტოტები და ფოთლები მცენარეს მოვაცილოთ. ქოთანი ხშირად გავასუფთავოთ.
 5. მცენარის მოვლისას გავითვალისწინოთ მისი თვისებები.
- ოთახის მცენარეები გამუდმებულ მოვლას მოითხოვს. გვახსოვდეს, შინაური ცხოველები ოთახის შხამიან მცენარეებს უნდა მოვარიდოთ.

შემძლებელი ცოდნის გამოყოფა

რომელი დეკორატიული მცენარეები გაქვთ სკოლის ბაღში, საკლასო ოთახში, სახლში? გაითვალისწინეთ ზემოთ მოყვანილი წესები და კარგად მოუარეთ მათ.

რა შეიძლება

ადამიანების მოყვანილ მცენარეებს უწოდებენ —. ბინაში გაზრდილ მცენარეებს უწოდებენ —.

საკვანძო სიტყვები
კულტურული მცენარეები
დეკორატიული მცენარეები

შეამოვავთ თქვენი ცოდნა

1. სურათებზე გამოსახული საგნებიდან რომელს აქვს მცენარეული ნარმომავლობა?



2. ამოარჩიეთ საჭირო ვარიანტი:

- ოთახის მცენარეები უნდა მოვრწყათ ოთახის ტემპერატურის/ცივი წყლით.
- ოთახის მცენარეები უნდა მოვრწყათ ლეროსთან ახლოს/ლეროსგან მოშორებით.
- ოთახის მცენარეები ხშირად უნდა მოვრწყათ ზაფხულში/ზამთარში.
- ოთახის მცენარეების უმრავლესობა უნდა დავდგათ ლუმელთან/სინათლესთან ახლოს.

51. სამკურნალო მცენარეები

ძველი ინდური ლეგენდის მიხედვით, ერთხელ ცნობილმა მკურნალმა თავისი მოწაფე ჩარაკია ტყეში გაგზავნა რამდენიმე სრულიად უსარგებლივ მცენარის მოსატანად. უკან დაბრუნებულმა მოწაფემ მკურნალს უთხრა: „მასწავლებელო, სამ ტყეში ვიყავი, მაგრამ ერთი უსარგებლივ მცენარეც კი ვერ ვნახე!“

- რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მცენარეებს ადამიანისათვის?

საქმიანობა. დაათვალიერეთ სურათებზე გამოსახული მცენარეები. გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და ჩანსრეთ მასში ინფორმაცია ამ მცენარეების შესახებ.



უოლო ბეგქონდარა ასკილი პიტნა გვირილა მრავალძარღვა

| | |
|----------------------|--|
| მცენარის სახელწოდება | რა იცით ამ მცენარის სამკურნალო თვისებების შესახებ? |
|----------------------|--|

ცნობები სამკურნალო მცენარეების შესახებ ჯერ კიდევ 6000 წლის წინანდელ შუმერულ ტექსტებში გვხვდება. თანამედროვე მეცნიერებმა დააღინეს, რომ სადღეისოდ ცნობილია 21000 მცენარის სახეობა, რომლებსაც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხი სამკურნალო მიზნით იყენებდა. აზერბაიჯანში ამ სამკურნალო მცენარეების უმეტესობა იზრდება.

კულტურული და ველური სამკურნალო მცენარეები გვხვდება ხეების, ბუჩქებისა და ბალახეულის სახით. ეს მცენარეები იყოფა ორ ჯგუფად: კულტურულ მცენარეებად და ველურ მცენარეებად.

ა) ველური სამკურნალო მცენარეები ტყეებსა და მინდვრებში იზრდება. ასეთი მცენარეებია: ასკილი, უოლო, კუნელი, სალბი, ბეგქონდარა, გვირილა, მზიურა, მრავალძარღვა, მინდვრის შვიტა.

ბ) კულტურული სამკურნალო მცენარეები ადამიანის მიერაა მოყვანილი. ასეთებია, მაგალითად, პიტნა, გოგრა, ზაფრანა, გულყვითელა. სამკურნალო მიზნით გამოიყენება მცენარის სხვადასხვა ნაწილი (გოგრის თესლი, კომშის თესლი, სიმინდის ფორჩი და ლერო). ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი პირობები, მცენარეებისთვის ხელსაყრელი ტემპერატურა და ტენიანობა დიდი რაოდენობის სამკურნალო მცენარეების მოყვანის საშუალებას იძლევა. მაგალითად, აფშერონზე წლების მანძილზე მოჰყავთ ზაფრანა.

საკურნალო მცენარეები

მზიურა



სალბი



გულყვითელა



მცენარეების სამკურნალო დანიშნულება. ზაფრანა წარმატებით გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებების შემთხვევაში, გამომყოფი და სასქესო სისტემების პათოლოგიების დროს. გოგრის თესლით მკურნალობენ პარაზიტული ჭიებით დაავადებებს, შაქრიან დიაბეტს, გულისა და თირკმლების პათოლოგიებს.

შხამიანი სამკურნალო მცენარეები. ისეთი მცენარეები, როგორებიცაა ხეშავი, ლემა, ბელადონა, ქრისტესისხლა, ძალლყურძენა სამკურნალო მიზნით გამოიყენება, თუმცა ისინი შხამიანია და საკვებად მათი გამოყენება სახიფათოა. მაგალითად, ბელადონით მონამვლის შემთხვევაში ადამიანს აღენიშნება გულისრევა, ლებინება, გუგების გაფართოება. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ უცნობი მცენარეების გასინჯვა არ შეიძლება. ზოგჯერ ასეთი მცენარეების წვენი კანში აღწევს, სისხლში ხვდება და მონამვლას იწვევს. ამიტომ შეხების შემთხვევაშიც კი ხელები საგულდაგულოდ უნდა დავიბანოთ.

ჩვენს ქვეყანაში სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად გამოიყენება ასკილის ნაყოფი, გვირილის, ბეგერნდარას, თავშავას, ფარსმანდუკის, კუნელის ყვავილი და ნაყოფი, მუხის ქერქი და ა. შ.



შეპარიტი ცოდნის გამოყენება

გადაიტანეთ ცხრილი რევულში და შეავსეთ:

| | | | |
|--|--|--|--|
| სამკურნალო მცენარის სახელწოდება | | | |
| როგორი მცენარეა (ხე, ბუჩქი, ბალახი) | | | |
| მცენარის რომელი ნაწილები გამოიყენება სამკურნალოდ | | | |
| სამკურნალო ეფექტი | | | |

საშემოქმედო სამკურნალო მცენარეები

მცენარეებს, რომლებსაც სამკურნალო მნიშვნელობა აქვს, ეწოდება – სამკურნალო მცენარეებს შორის გვხვდება როგორც –, ისე –.

საკვანძო სიტყვები

სამკურნალო მცენარეები

ველური და კულტურული სამკურნალო მცენარეები

შეამოვათ თქვენი ცოდნა

1. გამოიცანით სამკურნალო მცენარეების სახელწოდებები:
მინდისი, ლვალძარვამრა, რილაგვი, სკილია, ტერვირისფა, ლიკუნე, ბილსა
2. უპასუხეთ კითხვებს:
 - რომელ მცენარეებს უწოდებენ სამკურნალოს?
 - მცენარის რომელ ნაწილებს იყენებენ სამკურნალო მიზნით?
 - რა მნიშვნელობა აქვს სამკურნალო მცენარეებს ადამიანისათვის?
 - თქვენ რომელ სამკურნალო მცენარეებს იცნობთ?
 - რა აქვს საერთო და განსხვავებული ამ მცენარეებს?

52. ცხოველთა მოშინაურება და მათი როლი ადამიანის ცხოვრებაში

პირველყოფილი ადამიანები საკვების მოსაპოვებლად გარეულ ცხოველებზე ნადირობდნენ. ზოგჯერ მათ მოკლული ცხოველის ნაშიერი სახლში მიჰყავდათ და ზრდიდნენ. ადამიანის გვერდით ცხოვრებისას ცხოველის ქცევა და ჩვევები თანდათან იცვლებოდა. ისინი ადამიანს ეჩვეოდნენ და შინაურდებოდნენ. ასე გაჩნდნენ შინაური ცხოველები. ითვლება, რომ პირველი მოშინაურებული ცხოველი ძალია.

- რა დანიშნულებით იყენებენ დღეს ძალლებს?
- რატომ ჰყავთ შინაური ცხოველები?

საქმიანობა. როგორ ეხმარებიან ადამიანებს სურათზე გამოსახული ძალლები?



ცხოველების მოშინაურება. ცხოველთა მოშინაურების პროცესი უძველეს დროში დაიწყო და დღემდე გრძელდება. ადამიანებმა ჯერ კიდევ 10000 წლის წინ მოიშინაურეს ტური და მისგან გამოიყვანეს მსხვილფეხა საქონლის ჯიშები. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ძროხისა და კამერის შორეული წინაპარი სწორედ ტური უნდა ყოფილიყო, რომელიც ევრაზის ტერიტორიაზე დაახლოებით ამ პერიოდში ცხოვრობდა. მსხვილფეხა საქონელს ადამიანები ძირითადად ხორცისა და რძისათვის იყენებენ, თუმცა მას ჯერჯერობით არც გამწევი ძალის ფუნქცია დაუკარგავს.

აზერბაიჯანში მეცხოველეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია მეცხვარეობა. ცხვარს მატყლის, ტყავის, ხორცისა და რძისთვის აშენებენ.

გარკვეულ როლს ადამიანების ცხოვრებაში ჯერ კიდევ თამაშობს ცხენი. სავარაუდოდ, თანამედროვე ცხენის წინაპარი პრუევალსკის ცხენი და ტარპანი უნდა იყოს, რომლებიც ადრე ველურ ბუნებაში ბინადრობდნენ. ამჟამად აზერბაიჯანში ძირითადად საცხენოსნო ჯიშის ცხენებს აშენებენ (ყარაბაღული, ყუბური, ყაზახური დილიბზი).

მოშინაურებულ მწერებს მიეკუთვნებიან ფუტკარი და თუთის აბრეშუმხვევია. ფუტკრებს აშენებენ თაფლის, ფუტკრის შხამის, პროპოლისის, ცვილისა და ფუტკრის რძისათვის, ხოლო თუთის აბრეშუმხვევიას პარკების გან აბრეშუმს აწარმოებენ.

შინაური ცხოველების მოვლა და ჰიგიენა. შინაურ ცხოველებს ესაჭირობათ გამუდმებული მოვლა და ყურადღება, საკვების მომზადება, სადგომის

დასუფთავება.

ადამიანი შეიძლება შინაური ცხოველებისგან დასწროვნდეს. მაგალითად, აუდუღარი რძის ან დაუმარილებელი ყველის საკვებად გამოყენება ზოგჯერ ბრუცელოზს იწვევს. ამიტომ შინაურ ცხოველებთან ურთიერთობისას გარკვეული ჰიგიენური წესების დაცვაა საჭირო.

შინაური ცხოველების მოვლის წესები

1. პერიოდულად დასუფთავება ესაჭიროება როგორც შინაურ ცხოველებს, ისე მათ სადგომს.
2. ცხოველებისთვის საკვები წინასწარ უნდა მოვიმარავოთ.
3. პროფილაქტიკის მიზნით ცხოველებს პერიოდულად სამედიცინო შემოწმება და აცრა უნდა ჩაუტარდეთ.
4. ცხოველებს კარგად უნდა მოვუაროთ, ურთიერთობისას ზიანი არ მივაყენოთ.

შეპარილი ცოდნის გამოყენება

დაასახელეთ იმ ცხოველის ნომერი (ნომრები), რომლისგანაც სურათზე წარმოდგენილი პროდუქტები მზადდება ან მიიღება.



რა შეიძლება

გარეული ცხოველისაგან შინაური ცხოველის მიღებას ეწოდება —. აუდუღარი რძის ან დაუმარილებელი ყველის საკვებად გამოყენების შემთხვევაში ადამიანი შეიძლება დაავადდეს —.

**საკვანძო სიტყვები
მოშინაურება
ბრუცელოზი**

შეამოვათ თქვენი ცოდნა

1. მოძებნეთ ცხოველი შესაბამისი დახასიათების მიხედვით:

| | | | | |
|-------|-------------------|-------|---|---|
| ტურა | ძაღლი | ცხენი | ბ | პირველი მოშინაურებული ცხოველი, რომლის წინაპარიც იყო მგელი. |
| მელა | თუთის აბრეშუმვევა | | ბ | შინაური ცხოველი, რომელიც ტარპანის მოშინაურების შედეგად მივიღეთ. |
| ბაზი | მეთაფლია ფუტკარი | | ბ | შინაური ცხოველი, რომელიც იძლევა აბრეშუმს. |
| ზეპრა | კომბოსტოს თეთრულა | | | |

2. უპასუხეთ შეკითხვებს თქვენი შინაური ცხოველის შესახებ: 1) რა ჰქვია? 2) როგორ უვლი? 3) რა მნიშვნელობა აქვს ამ ცხოველს ადამიანისთვის? 4) რა ცხოველი იყო მისი გარეული წინაპარი?

53. ცოცხალი ორგანიზმების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

ბავშვობიდან მშობლებისგან ხშირად გესმით:

- არ შეიძლება აუდუღარი წყლის დალევა; • არ შეიძლება გაურეცხავი ხილის ჭამა;
- ჭამის წინ ხელები უნდა დაიბანოთ.

• როგორ ფიქრობთ, რაში გვჭირდება ამ წესების დაცვა?

საქმიანობა.

განსაზღვრეთ, როგორ მოქმედებს ადამიანზე სურათზე გამოსახული ორგანიზმები.

გადაიტანეთ ცხრილი სამუშაო რევულში და შეავსეთ.

პარაზიტი მნერები

პარაზიტი ჭიები

შხამიანი სოკოები

ბაქტერიები

| ცოცხალი ორგანიზმი | საცხოვრებელი გარემო | როგორ მოქმედებს ადამიანზე |
|-------------------|---------------------|---------------------------|
| | | |

მონამვლა. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მოსავლიანობის გასაზრდელად ნიადაგში სასუქები შეაქვთ. მაგრამ ჭარბი რაოდენობით სასუქის შეტანა შეიძლება საშიში ალმირნდეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მაგ., აზოტის დიდი რაოდენობა მცენარეულ საკუებ პროდუქტებში იწვევს მძიმე მონამვლას. ზოგჯერ მონამვლა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სოკოში. შხამიან სოკოებს მიეკუთვნება ცრუ მიქლიო, წითელი შხამასოკო, თეთრი შხამასოკო. ადამიანი შეიძლება გადაბერებული სოკოებითაც მოინამლოს.

პარაზიტები. დაავადებების გამომწვევი მიკროსკოპული სოკოები ხშირად კანის სოკოვან დაავადებებს იწვევს. სოკოები ადვილად გადაეცემა ადამიანიდან ადამიანს იმ ნივთებით, რომლებითაც ის სარგებლობს – ფეხსაცმლით, პირსახოცით, ნინდებით, თეთრეულით და ა. შ.

გარეგანი პარაზიტები. ტილები, რწყილები და ტკიპები გარეგან პარაზიტებს მიეკუთვნებიან. მუნის გამომწვევი ტკიპა ადამიანიდან ადამიანს გადაეცემა შეხებისას და იწვევს მუნს. ამ დაავადებას ძლიერი ქავილი ახასიათებს.

შინაგანი პარაზიტები. შინაგან პარაზიტებს მიეკუთვნება ადამიანის ასკარიდა, მახვილა, ხარის სოლიტერი, ღვიძლის ორპირა, რომლებიც ადამიანის საჭმლის მომნელებელ სისტემაში პარაზიტობენ. ისინი სახლდებიან ცალკეულ ორგანოებში და ადამიანის ცხოველებმედების ნორმალურ პროცესს არღვევენ. ცხოველთა ზოგიერთ



რწყილი



ტილი

შინაგანი პარაზიტები



ადამიანის ასკარიდა

შინაგან პარაზიტს სპეციალური საშუალებები (მისაწოვრები და კაუჭები) აქვს იმისათვის, რომ მიემაგროს მასპინძლის შინაგან ორგანოებს.

ერთუჯრედიანი პარაზიტები. ადამიანის სისხლში მოხვედრის შემდეგ ერთუჯრედიანი პარაზიტები მომშეამვევლ ნივთიერებებს გამოყოფენ და მძიმე დაავადებებს იწვევენ, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სიკვდილითაც დამთავრდეს. მაგალითად, მალარიის გამომწვევი პარაზიტი ადამიანის ორგანიზმში მაღარის კოლოს კბენის შედეგად ხვდება და იწვევს საშიშ დაავადება მალარიას. აფრიკული ბუზის, ცეცქს, კბენის შედეგად ადამიანის ორგანიზმში ხვდება კიდევ ერთი საშიში ერთუჯრედიანი პარაზიტი – ტრიპანოსომა, რომელიც ძილის დაავადებას იწვევს. ერთუჯრედიანი დიზენტერიის ამება, რომელიც დიზენტერიას იწვევს, ადამიანის ორგანიზმში სასმელ წყალთან ერთად ხვდება. მალარიის პარაზიტი, ტრიპანოსომა, დიზენტერიის ამება ერთუჯრედიანი ცხოველებია, რომლებიც შინაგან პარაზიტებს მიეკუთვნებიან.

დაავადებათა პროფილაქტიკა. ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა პირადი ჰიგიენის ნესების დაცვა. პარაზიტების გამავრცელებლებთან საბრძოლველად გამოიყენება ისეთი ლონისძებები, როგორებიცაა: ფაობების დაშრობა, ტერიტორიების დასუფთავება და დეზინფექცია და სხვ. გარდა ამისა, ასეთ საშიშ ადგილებში მცხოვრებ ადამიანებს პერიოდულად აცრები უტარდებათ.

შემარტივი ცოდნის გამოყოფა

გადაიტანეთ ცხრილი სამუშაო რვეულში და შეავსეთ ნიმუშის მიხედვით.

| | | | |
|----------------------|-------------------------------|------------------------|---------------------|
| პარაზიტის დასახელება | გარეგანი ან შინაგანი პარაზიტი | ორგანიზმშე ზემოქმედება | როგორ დავიცვათ თავი |
| ტრიპანოსომა | შინაგანი | ძილის დაავადება | აცრა |

რა შეიტყოთ

ცრუ მიქლიოსა და თეთრი შხამასოკოს საკვებად გამოყენება იწვევს — ტილი და რწყილი — მიეკუთვნება, ასკარიდა და ხარის სოლიტერი კი —.

საკვანძო სიტყვები

მონამვლა

გარეგანი პარაზიტები

შინაგანი პარაზიტები

შეამოხვეთ თქვენი ცოდნა

1. შეადგინეთ სამახსოვრო დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ, ამისათვის გამოიყენეთ შემდეგი შესიტყვებები: ბინძური ხელები; აუდულარი წყალი; გაურეცხავი ხილი და ბოსტნეული; ახლო ურთიერთობა ქუჩის ცხოველებთან; პირადი ნივთები.

2. განსაზღვრეთ, ჩამოთვლილი პარაზიტებიდან რომელია გარეგანი და რომელი — შინაგანი: ტილი, რწყილი, ასკარიდა, მახვილა, სოლიტერი.

| | |
|---------------------|---------------------|
| გარეგანი პარაზიტები | შინაგანი პარაზიტები |
| | |


54. სწორი კვება

ცნობილი მოგზაურის, ალონსო დე ოხედას, ერთ-ერთი ექპედიციის დროს გემზე რამდენიმე მეზღვაური ავად გახდა. ისინი რომელიმაც კუნძულზე დატოვეს. რამდენიმე თვის შემდეგ მოგზაურები დაბრუნდნენ კუნძულზე. მათდა გასაკვირად, მეზღვაურები ცოცხლები და ჯანმრთელები დახვდნენ. ამ ამბის აღსანიშნავად კუნძულს კიურასაუ უწოდეს (პორტუგალიურად „კიურ“ განკურნებას ნიშნავს).

- თქვენი აზრით, რა იყო მეზღვაურების გამოჯანმრთელების მიზეზი?

საქმიანობა 1. მითითებების მიხედვით ააგეთ თქვენი კვების პირამიდა. ჩამოითვლილი პროდუქტები ჩანაცემებში კლებადობის პრინციპით. მაგალითად, ხმირად გამოყენებული პროდუქტი ჩანერეთ პირამიდის პირველ დონეზე, შედარებით ნაკლებად გამოყენებული პროდუქტები – მეორე დონეზე, კიდევ უფრო ნაკლებად გამოყენებული – მესამეზე, ხოლო მეოთხეზე ის პროდუქტები ჩანერეთ, რომლებსაც ძალიან იძვიათად იყენებთ.

ა) ცხმი და ტყჰლული
ბ) სილი და ბოსტოული
გ) ბურლულული და ფენილი ნანქომი
დ) ხორცი და რძეს პროდუქტები



ვიმსჯელოთ შედეგებზე: რომელ საკვებს იღებთ ყველაზე ხშირად? ყველაზე იშვიათად? რა განსხვავება აღმოაჩინეთ თქვენ მიერ შედგენილ კვების პირამიდასა და თანაკლასელების მიერ შედგენილ პირამიდებს შორის?

სწორი კვება და კვების რაციონი. კვება არის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ენერგიისა და ნივთიერებათა ცვლის უწყვეტობას ადამიანის ორგანიზმსა და გარემოს შორის. ყველაფერი, რასაც ადამიანი ჭამს და სვამს დღის განმავლობაში, შეადგენს მისი კვების რაციონს. ორგანიზმის ზრდისა და აქტიურობისათვის საკვები უნდა შეიცავდეს ცილებს, ცხიმებსა და ნახშირწყლებს. მათ საკვებ ნივთიერებებს უწოდებენ. გარდა ამისა, ორგანიზმს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება ვიტამინები, მინერალური ნივთიერებები და ნიალი. ვიტამინები ორგანიზმში ერთვარი რეგულატორის როლს ასრულებს, რაც

| ვიტა-მინები | ვიტამინების შემცველი საკვები პროდუქტები | ავტომინზის შედეგები |
|----------------|--|---|
| A | ისპანახი, ღვიძლი, ნალების კარაქი, თევზის ქონი, რძე | კანის სიმშრალე, სუსტი მხედველობა, ზრდის შეფერხება |
| B ₁ | არაქისი, კარტოფილი, ხორცი, ღვიძლი, კვერცხის ცილა, თხილი | გულის მუშაობის შესუსტება, დაავადება ბერი-ბერი, ნერვული სისტემის აძლილობა, კუნთების სისუსტე |
| B ₂ | ხაჭო, კვერცხი, რძე, ღვიძლი, ქაჭო, სალათა | საერთო სისუსტე, გულისრევა, სისხლნაკლებობა, ნერვული სისტემის მუშაობის მოშლა |
| B ₆ | მარცვლეული, ქლიავი, თევზი, კვერცხი, ღვიძლი | ნერვული სისტემის მუშაობის მოშლა, კუნთების სისუსტე, თმის ცვენა |
| C | ხილი და ბოსტნეული | დაავადება სურავანდი, სისხლდენა ღრძილებიდან, კანქვეშა სისხლჩაქცევები, სისხლნაკლებობა, კბილების ცვენა |
| D | ღვიძლი, რძე, კვერცხის გული, ბოსტნეული, ხილი, თევზის ქონი | რაქიტი ბავშვებში, ძვლების გამრუდება |

უზრუნველყოფს მის ზრდასა და განვითარებას. მათი ნაკლებობა ორგანიზმში (ავიტამინოზი) სერიოზულ დარღვევებს იწვევს.

კვების პირამიდა. საკვების შემადგენელ ნივთიერებებს შორის გარკვეული ბალანსი უნდა იყოს დაცული. საკვები პროდუქტების სწორი შერჩევის ერთ-ერთ მეთოდს კვების პირამიდა წარმოადგენს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულია ყოველდღიური კვების პირამიდის შემადგენელი პროდუქტების შემდეგი თანაფარდობა: ოთხი სექციისგან შემდგარი კვების პირამიდის საფუძველს ქმნის მარცვლოვნები (ფქვილის ნაწარმი და ბურლულეული), მეორე დონეს – ხილი და ბოსტნეული, მესამე სექციი უკავია ხორცსა და რძის პროდუქტებს, მეოთხე კი – ცხიმებსა (მცენარეულსა და ცხოველურს) და ტკბილეულს.

კვების პირამიდა

რძე და რძის
პროდუქტები



ცხიმები და ტკბილეული
ხორცი, თევზი,
ფრინველი

ბოსტ-
ნეული

ხილი

ფქვილის ნაწარმი

ჰერიტაჟი ცოდნის გამოყენება

შეადარეთ თქვენ მიერ შედგენილი კვების პირამიდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულს. რა ცვლილებები უნდა შეიტანოთ თქვენი ყოველდღიური კვების რაციონში იმისათვის, რომ ნორმალურად იკვებოთ?

რა შეიცვალოთ

დღის განმავლობაში ადამიანის მიერ მიღებული საკვები მის – შეადგენს. ორგანიზმის ზრდისა და ნორმალური ცხოველქმედებისათვის საკვები სათანადო რაოდენობის – და – უნდა შეიცავდეს.

საკვანძო სიტყვები
კვების რაციონი
საკვები ნივთიერებები
ვიტამინები

შეამოვათ თქვენი ცოდნა

სურათზე გამოსახულ საკვებ პროდუქტებს შესაბამისი ადგილი მიუჩინეთ კვების პირამიდაში. ამ პროდუქტებიდან რომლები უნდა მივიღოთ შედარებით იშვიათად?



გაუკვითილის შეაღეთ

გამოიყენეთ დამატებითი ლიტერატურა, მოიძიეთ შესაბამისი მასალა ინტერნეტის საშუალებით და მოამზადეთ ინფორმაცია საკვები პროდუქტების რომელიმე ერთი ჯგუფის (მაგალითად, ხორცის პროდუქტები: შებოლილი ან მოხარული ძეხვი, სოსისი, თევზი, ქათამი, საქონლის ხორცი, ჰამბურგერი და ა. შ.) შესახებ.

შემაჯამახებელი დაცვლებები

1. მოძებნეთ შესაბამისობა:

| |
|-----------------|
| მარცვლოვნები |
| ბახჩეული |
| ხილ-კენკროვნები |

ბრინჯი; ქლიავი; ნესვი;
მოცხარი; ხორბალი;
სიმინდი; ლელვი;
საზამთრო; მდოგვი

2. ამოარჩიეთ სწორი პასუხი:

- ბეგეონდარა ველური/კულტურული სამცურნალო მცენარეა.
- პარაზიტული ჭიებით გამოწვეული დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება გოგრის კანი/თესლი.
- ზაფრანა მოჰყავთ აფშერონზე/ლენქორანში.
- საკვებად გამოყენების შემთხვევაში ბელადონა/კუნელი მძიმე მოწამვლას იწვევს.

3. სურათებზე გამოსახულ საგნებს შორის რომელს აქვს მცენარეული ნარმომავლობა?



4. გამოტოვებულ ადგილებზე ჩასვით საჭირო სიტყვები:

- ...დღევანდელი ჯიშების წინაპრად ითვლება ტური, რომელიც უძველეს დროში ევროპასა და აზიაში ბინადრობდა.
- ...წინაპრად ითვლებიან პრუევალსკის ცხენი და ტარპანი, რომლებიც ველურ ბუნებაში ბინადრობდნენ.
- ადამიანის მიერ მოშინაურებული მწერებია...
- აუდულარი რძისა და დაუმარილებელი ყველის საკვებად გამოყენების შემთხვევაში ადამიანი შეიძლება დაავადდეს...

საკვანძო სიტყვები: ძროხა, კამეჩი, თუთის აბრეშუმხვევია, ფუტკარი, ბრუცელოზი, ცხენი.

5. დაათვალიერეთ სურათები. ცხრილში ჩანერეთ პარაზიტების სახელწოდებები:



| გარეგანი პარაზიტები | შინაგანი პარაზიტები |
|---------------------|---------------------|
| | |

6. შეასწორეთ მცდარი მტკიცებები:

- ნახშირწყლებს, ცილებსა და ცხიმებს საკვები ნივთიერებები ეწოდება.
- A ვიტამინის ნაკლებობამ შეიძლება რაქიტი გამოიწვიოს.
- კვების პირამიდის მეოთხე დონე უკავია ცხიმებსა და ტკბილეულს.
- კვების რაციონში ხორცისა და რძის პროდუქტები უნდა ჭარბობდეს.

Biologiya – 6
*Ümumtəhsil məktəblərinin 6-ci sinfi üçün
Biologiya fənni üzrə dərslik
Gürcü dilində*

Tərtibçi heyət:

| | |
|------------------|--|
| Müəlliflər: | Yaşar Mədət oğlu Seyidli Xumar Elçin qızı Əhmədbəyli Nailə İlyas qızı Əliyeva |
| Elmi redaktor | Q.Quliyev , biologiya üzrə elmlər doktoru |
| Tərcüməçi | S.Nozadze |
| Redaktor | L.Bakradze |
| Bədii redaktor | T.Məlikov |
| Texniki redaktor | Z.İsayev |
| Dizayner | E.Çikarişvili |
| Rəssamlar | M.Hüseynov, E.Məmmədov |
| Korrektor | N.Mçedlisvili |

Dərsliyin gürcü dilində nəşri “Deogene” nəşriyyatı ilə birgə həyata keçirilmişdir.

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin qrif nömrəsi: 2017-034


© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 8. Fiziki çap varəqi 10. Səhifə sayı 160.
Kağız formatı $70 \times 100^1/_{16}$. Ofset kağızı. Məktəb qarnituru. Ofset çapı.
Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017

“Bakı” nəşriyyatı
Bakı, AZ1001, H.Seyidbəyli küç. 30

Pulsuz



Əziz məktəbli !

Bu dərslik sənə Azərbaycan dövləti tərəfindən bir dərs ilində istifadə üçün verilir. O, dərs ili müddətində nəzərdə tutulmuş bilikləri qazanmaq üçün sənə etibarlı dost və yardımçı olacaq.

İnanırıq ki, sən də bu dərsliyə məhəbbətlə yanaşacaq, onu zədələnmələrdən qoruyacaq, təmiz və səliqəli saxlayacaqsan ki, növbəti dərs ilində digər məktəbli yoldaşın ondan sənin kimi rahat istifadə edə bilsin.

Sənə təhsildə uğurlar arzulayıraq!